

178/3
179

Handwritten signature
საქართველოს
საბჭოთავო

ISSN 0132-5981

178/3

საქართველო

62

საგარეო



თბილისი - 1979



საქართველო საქართველო

№ 1

იანვარი
თებერვალი
1979 წელი

ქურნალი გამომდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კრიკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-კრატტიკული ქურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები	3
განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუცია	
ა. აბესაძე — პიროვნების უფლებების საკითხი მსოფლიოს ორი სისტემის იდეოლო- გიურ ბრძოლაში	8
ბ. სავანელი — სასამართლო პრაქტიკის ნორმატიული ძალის პრობლემა საბჭოთა სამართლის თეორიაში	15
შ. ფაფავილი — განუხრელად დავიცვათ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ლენინური პრინციპები	21
ა. შიქაძე — გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო განსაზღვრის სრულყოფისათვის	31
ა. სულავა — რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკა რევიდიფულ დანაშაულობათა საქმეებზე	43
ც. ხომერიკი — მოქალაქე არქივში მოვიდა	58
სოციალისტურ მშენებარში	
ა. სეუპინსკი — თავისუფლების შეზღუდვა — სასჯელის სრულიად ახალი ზომა პოლო- ნეთის სისხლის სამართალში	61
ბ. ფუტყარაძე — ქართული სამართლის ისტორიის გულმოდგინე მკვლევარი	72
ლ. ქანტურია — 30 წელი ადმინისტრაციულ ორგანოებში	77
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	
რეცენზია ქართული სწავლული იურისტის ნაშრომზე უნგრულ ქურნალში	79
არბიტრაჟის პრაქტიკა	85
ინფორმაცია	87
მეგობართა ხსოვნას	
თამარ გრიგოლის ასული დადიანი	92
ვარლენ გიორჯის ძე ურატაძე	93
ბიბლიოგრაფია	94



СОДЕРЖАНИЕ

Выборы Верховного органа государственной власти 3

КОНСТИТУЦИЯ РАЗВИТОГО СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО ОБЩЕСТВА

А. Абесадзе — Вопрос о правах личности в идеологической борьбе двух мировых систем 8

Б. Саванели — Проблемы нормативной силы судебной практики в теории советского права 15

Ш. Папиашвили — Неукоснительно соблюдать ленинские принципы борьбы с бюрократизмом 21

А. Микадзе — К совершенствованию законодательного определения неосторожности 31

А. Сулава — Судебная практика республики по делам о рецидивных преступлениях 43

Д. Хомерики — Гражданин обратился в архив 58

В СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ СТРАНАХ

И. Скупинский — Ограничение свободы — совершенно новая мера наказания по польскому уголовному праву 61

Я. Путкарадзе — Исследователь истории грузинского права (Д. Пурцеладзе) 72

Л. Чантурия — 30 лет в административных органах (Г. Жордания) 77

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Рецензия на работу грузинского ученого юриста в венгерском журнале (О книге Г. Ткешелиадзе «Судебная практика и уголовный закон».) 79

Арбитражная практика 85
Информация 87

ПАМЯТИ ДРУЗЕЙ

Тамара Григорьевна Даднани 92

Варден Георгиевич Уратадзе 93

Библиография 94



სარედაქციო
კოლეგია:

- ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი) ა. ბარაბაძე,
- გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლეკვეიშვილი,
- გ. ფვანია, გ. ტყეშელიაძე, ვ. ქვაჩახია,
- ა. შუშანაშვილი, დ. შენგელია (პ/მდივანი), თ. წერეთელი,
- ს. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი, თბილისი, კლდბანოვოს პრ. 103. ტ. 95.58.87, 95.88.49.

გადაეცა ასაწყობად 15.1.79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.11.79 წ.,
ფორმატი 70×102/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 8,4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87
შეკვ. № 191 ტირაჟი 16650 უფ 07865

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს პარლამენტი

კვირას, 4 მარტს გაიმართება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. საბჭოთა ხალხი ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ წლეულს პირველად წარგზავნის თავის წარმომადგენლებს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. ეს ფაქტი კიდევ უფრო მეტად ზრდის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ არჩევნების მნიშვნელობას.

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს პარლამენტის არჩევნები ეწყობა ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო სისტემის საფუძველზე. სულ ცოტა ხნის წინათ, 1978 წლის ივლისში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო კანონი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების შესახებ. ამ კანონის პირველი მუხლით, „სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დებუტატები ირჩევიან საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით“.

მხოლოდ სოციალიზმის პირობებში ეძლევა ხალხს უფლება გამოხატოს თავისი ნება-სურვილი, რეალურად, მთელი სისრულით განახორციელოს თავისი ძალაუფლება. სოციალისტური სახელმწიფო ქვეყნის მართვა-გამგეობაში ფართოდ იზიდავს მშრომელთა მასებს, სახელმწიფოს მმართველობაში დამოუკიდებელ მონაწილეობას აღებინებს ათმილიონობით მშრომელს, ყოველმხრივ ავითარებს ხალხის წარმომადგენლების აქტიურობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ამაღლებს აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას სახალხო დებუტატთა და მთლიანად ხალხის წინაშე.

ჩვენს ქვეყანაში მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დებუტატთა საბჭოების მეშვეობით. ისინი შეადგენენ სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს.

გ. ი. ლენინმა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე წინასწარ განჭვრიტა ის როლი, რომელიც მომავალ სოციალისტურ რევოლუციაში უნდა შეესრულებინა საბჭოებს. გ. ი. ლენინის ეს გენიალური ვარაუდი გამართლდა. 1917 წლის ოქტომბერში საბჭოები მართლაც იქცა გამარჯვებული პროლეტარიატის სახელმწიფო ხელისუფლების ფორმად. „რევოლუციური კლასების ხალხურ შემოქმედებას რომ საბჭოები არ შეექმნა, — წერდა გ. ი. ლენინი, — პროლეტარული რევოლუცია რუსეთში უიმედო საქმე იქნებოდა, რადგან ძველი აპარატით პროლეტარიატი, უეჭველად ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებდა, ხოლო ახალი აპარატის ერთბაშად შექმნა შეუძლებელია“.

გ. ი. ლენინმა გვიჩვენა საბჭოების რევოლუციური, დემოკრატიული, ნამდვილად წარმომადგენლობითი და ნამდვილად მასობრივი აპარატის ბუნება, რაც

1 გ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 107.

ქ. მარქსის სახ. სახ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

ერთიანობაში ახალი ტიპის დემოკრატიას ქმნის. „ეს პირველი შემთხვევაა, ამბობდა ვ. ი. ლენინი, — რომ დემოკრატია ემსახურება მასებს, იგი აღარ არის დემოკრატია მდიდრებისათვის, როგორადაც რჩება დემოკრატია ყველა ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში, ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკებშიც კი. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ხალხის მასები წყვეტენ, ათეულ მილიონობით ადამიანების მასშტაბით პროლეტარებისა და ნაწევარპროლეტარების დიქტატურის ამოცანას, ამოცანას, რომლის გადაუწყვეტლადაც ლაპარაკიც კი არ შეიძლება სოციალიზმზე“².

ჩვენი სახელმწიფოს სამოცი წლის გამოცდილება, ევროპისა და აზიის სოციალისტური ქვეყნების არსახული წარმატებები, რომლებიც მათ მოპოვებული აქვთ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროში, სულ რაღაც ოცდაათი წლის მანძილზე, ცხადყოფს, რომ ხალხის ხელისუფლება, ნამდვილი დემოკრატია, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სოციალისტური წყობილების პირობებში. მხოლოდ სოციალიზმში უზრუნველყოფს არჩევნებში ხალხის ნებისყოფის თავისუფალი გამოხატვის საშუალებას.

ამის მსგავსი არაფერი არ არის და არც შეიძლება იყოს ბურჟუაზიულ სამყაროში, სადაც ხდება მშრომელთა პოლიტიკური და სხვა უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა, ტრადიციული დემოკრატიული ინსტიტუტების არარობამდე დაყვანა, საარჩევნო სისტემაში რეაქციული რეფორმების შეტანა, მმართველობის აშკარა ტერორისტული მეთოდების დანერგვა.

ბურჟუაზიული ქვეყნების პარლამენტები თუმცა არჩევნების გზით იქმნება, მაგრამ საარჩევნო კანონები ისეთ ცენზებს აწესებს, წინასაარჩევნო კამპანიების მოწყობა იმდენ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომ არჩევნებში გამარჯვება უზრუნველყოფილი აქვთ გაბატონებული კლასების წარმომადგენლებს. ამავე დროს ბურჟუაზიული პარლამენტი პრაქტიკულად უკვე აღარ არის სახელმწიფო მექანიზმის მთავარი შემადგენელი ნაწილი, არსებითად მთელ პოლიტიკურ ცხოვრებას წარმართავენ მსხვილი მონობოლიები, სამხედრო შტაბები, აღმასრულებელი ხელისუფლება. „შეხედეთ, რომელსაც გნებავთ პარლამენტალურ ქვეყანას, ამერიკიდან შვეიცარიამდე, საფრანგეთიდან ინგლისამდე, ნორვეგიამდე და სხვ... ნამდვილ „სახელმწიფოებრივ“ მუშაობას კულისებში ეწევიან და ასრულებენ დეპარტამენტები, კანცელარიები, შტაბები. პარლამენტში კი მხოლოდ ლაყბობენ იმ სპეციალური მიზნით, რომ ატყუონ „მდაბიო ხალხი“³.

სულ სხვაგვარი მდგომარეობაა ჩვენს ქვეყანაში. სადაც ხელისუფლების დაახლოებით 50 ათასი წარმომადგენლობითაა ორგანოა, რომელთა მეშვეობითაც მილიონობით საბჭოთა მოქალაქე მართავს თავის სახელმწიფოს. წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობა საესებით გამოხატავს საბჭოთა სახელმწიფოს სახალხო ხასიათს: მარტო ადგილობრივ საბჭოებში 2 მილიონზე მეტი დეპუტატია არჩეული. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მიმდინარე არჩევნებში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან ერთად დასახელებული არიან მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების მუშაეთა ყველაზე საუკეთესო წარმომადგენლები.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 70.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 522.

საბჭოების შემადგენლობა გამოხატავს ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ინტერესებს, განასახიერებს მათ ერთიანობასა და მჭიდრო დარაზმულობას. საბჭოების დებუტატთა შორის ასზე მეტი ეროვნების წარმომადგენელია. ჩვენი ქვეყნის მრავალეროვნული ხასიათი სავსებით არის გათვალისწინებული როგორც საბჭოების შექმნისას, ისე მათს საქმიანობაში.

ბოლო ხანს საბჭოები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად სულ უფრო აძლიერებენ კონტროლს აღმასრულებელ და განმკარგულებელი ორგანოებისადმი. საბჭოების საქმიანობის გაღრმავებისა და გაფართოების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, კერძოდ აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოების ფუნქციების სფეროში, არის საბჭოების საერთოდ, მათ შორის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობის გააქტიურება. მუდმივი კომისიები თვითონ თანდათანობით კისრულობენ საბჭოს საქმიანობის ამა თუ იმ დარგის ოპერატიულ ხელმძღვანელობას. ცხადია, მომავალში საბჭოების მუდმივი კომისიების საქმიანობა კიდევ უფრო დაიხვეწება და სრულყოფილი გახდება.

მოკმედი კანონმდებლობით, საბჭოები უფლებამოსილი არიან ახორციელებდნ კონტროლს მმართველობის ორგანოების საქმიანობისადმი. ამის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საინგარიშო მოხსენებაში პარტიის XXIII ყრილობისადმი ნათქვამია: პრაქტიკაში უნდა შემოვიღოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენებების განხილვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიებზე, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიებზე; სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისა — მშრომელთა დებუტატების შესაბამისი საბჭოების სესიებზე.


საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების წინ ტრადიციულად ანგარიშს აბარებს ხალხს გაწეული მუშაობის შესახებ, აჯამებს არჩევნებიდან არჩევნებამდე მიღწეულ შედეგებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნებიდან განვლილ პერიოდშიც უდიდესი ცვლილებები მოხდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. 1974-1978 წლებში წარმოებულა 1,9-ჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე წინა ხუთწლეულში. ამასთან მთელი მატების ოთხი მეხუთედი შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით არის მიღებული.

განუზრებლად ვითარდება სოფლის მეურნეობა, დიდი ღონისძიებები ხორციელდება, რათა იგი ეკონომიკის მაღალგანვითარებულ სექტორად გადაიქცეს. კიდევ უფრო აყვავდა საბჭოთა მეცნიერება, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მოწინავე პოზიციებზე დგას. წარმოებაში სულ უფრო ფართოდ ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები⁴.

სულ სხვა სურათია კაპიტალიზმის სამყაროში, სადაც „ძლიერდება ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაცია, დღენიდავ ფესქვეშ ითელება მშრომელთა უფლებები, მიჭინვარებს ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია, ქრონიკული უმუშევრობა. სისასტიკე და თვითნებობა, მშრომელ ადამიანთა ბედისადმი გულგრილობა, საზოგადოების ზნედაცემულობა — აი, რა არის თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება. ამიტომ განსაკუთრებით ცინიკურად გა-

⁴ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა სსრ კავშირის ყველა ამომრჩევლისადმი, ყველა მოქალაქისადმი, გაზ. „კომუნისტი“, 1979 წ. 3 თებერვალი.



მოიყურება კაპიტალიზმის თავისუფალ საზოგადოებად წარმოსახვის ცდები... კაპიტალიზმი ეს არის საზოგადოება, რომელიც ადამიანის უფლებებს ახშობს. ეს არის უღლეური საზოგადოება⁵.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების წყალობით, წინა არჩევნების შემდეგ განვიღო პერიოდში არნახული წარმატებანი მობოვა ჩვენმა რესპუბლიკამაც. საქართველოს სსრ საწარმოო ძალებმა მიღწიეს თავისი განვითარების უფრო მაღალ საფეხურს, რომლის დამახასიათებელი ნიშანია ეკონომიკური და სოციალური ზრდის ტემპის დაჩქარება. „სახალხო მეურნეობის განვითარების დინამიზმი და სტაბილურობა უწინარეს ყოვლისა ვლინდება ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით სახელმწიფო საგეგმო დავალებებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებული შესრულების მყარი ტენდენციით⁶. 1976-1978 წლებში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო-წლიური წარმოება წინა ხუთწლედის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 37,1 პროცენტით გაიზარდა. 1978 წელს რესპუბლიკის ერთ სულ მოსახლეზე წარმოებულია 20 პროცენტით მეტი ეროვნული შემოსავალი ვიდრე 1975 წელს.

ამ სასახლო წარმატებებისათვის ჩვენი რესპუბლიკა ზედისედ მეექვსედ დაჯილდოვებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ისევე როგორც ყოველთვის, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების დროს, მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ხალხის ყურადღებას მიაპყრობს ჭერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს, სიძნელეებს, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ყველა ამომრჩევლისადმი, ყველა მოქალაქისადმი ნათქვამია: „მიღწეულს რომ აღნიშნავს, პარტია ამასთანავე ხედავს არსებულ ნაკლოვანებებსა და გადასატრელ პრობლემებსაც. ჩვენ მნიშვნელოვანწილად უნდა ვავაუმჯობესოთ კაპიტალური მშენებლობა, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ქვეყნის მზარდი მოთხოვნილება ლითონსა და სათბობზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, სრულყოთ ტრანსპორტის მუშაობა, განვამტკიცოთ საგეგმო, ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინა, მომჭირნოთ გამოვიჩინოთ ყველაფერში, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება და წარმოების ეფექტიანობა⁷.

წინასაარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებაში დიდაა ჩვენი რესპუბლიკის სწავლულ იურისტთა და პრაქტიკოს მუშაკთა როლი. ისინი მოვალენი არიან ღრმად განუმარტონ ამომრჩევლებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკა, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებები, უმაღლესი საბჭოს არჩევნების კანონი, ამ ცოტა ხნის

⁵ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა ამომრჩევლისადმი, ყველა მოქალაქისადმი, გაზ. „კომუნისტი“, 1979 წ. 3 თებერვალი.

⁶ ე. ა. შევარდნაძე, სიტყვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 161 თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქის წარმომადგენელთა კრებაზე, გაზ. „კომუნისტი“, 1978 წლის 8 თებერვალი.

⁷ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა სსრ კავშირის ყველა ამომრჩევლისადმი, ყველა მოქალაქისადმი, გაზ. „კომუნისტი“, 1979 წ. 3 თებერვალი.

წინათ მიღებული კანონი სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ და სხვა ნორმატიული აქტები. პროკურატურის, სასამართლო ორგანოების, იუსტიციის და წესებულებათა მუშაკებმა უნდა მოაწყონ ამომრჩევლებისათვის ლექციები, კითხვა-პასუხის საღამოები, კონსულტაცია გაუწიონ საარჩევნო კომისიის წევრებს სამართლებრივ საკითხებზე, მოაწყონ ამომრჩეველთა დასახმარებლად კონსულტაციები, საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა და სხვა.

ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა ვაითვალისწინონ, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში, დეპუტატებთან შეხვედრის დროს ამომრჩევლები აყენებენ ბევრ საქმიან წინადადებას სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესების თაობაზე, დამნაშავეობასთან და უყაირათობასთან ბრძოლის, სოციალისტური საკუთრების დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, პიროვნების კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის საკითხებზე. საჭიროა ამ კრიტიკული შენიშვნებიდან სათანადო დასკვნები იქნეს გამოტანილი. იგი საუფუძვლად უნდა დაედოს ადმინისტრაციული ორგანოების ყველა რგოლის საქმიანობის გარდაქმნას, სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.

მიმდინარე საარჩევნო კამპანია დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. იგი წარმოებს მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში. საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მთლიანად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტიბიუროს დიდ და ნაყოფიერ მუშაობას.

ეჭვი არ არის, რომ არჩევნები გადაიქცევა კომუნისტთა და უპარტიოთა ურდვევი ბლოკის გამარჯვების, საბჭოთა საზოგადოების იდეური და მორალური პოლიტიკური ერთიანობის, ჩვენი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ჭეშარი მეგობრობისა და თანამშრომლობის კიდევ ერთ ნათელ დემონსტრაციად. ხალხის მიერ ლენინური პარტიის კურსის ერთსულოვანი მხარდაჭერა ამის საიმედო საწინდარია.



საქართველოს სოციალისტური საზოგადოებრივი კონსტიტუცია

პიროვნების უფლებების საკითხი მსოფლიოს ორი სისტემის იდეოლოგიურ ბრძოლაში

ბ. აბაშაძე,

საქართველოს სსრ რუსტიციის მინისტრის მოადგილე

მსოფლიოს ორი სისტემის იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში უაღრესად აქტუალური გახდა პიროვნების უფლებების საკითხი, რომელიც კომუნიზმის მტრებმა სპეკულაციის საგნად და სოციალიზმთან ბრძოლის ამოსავალ პრობლემად აქციეს. პიროვნების უფლების დარღვევის მომიზეზებით საერთაშორისო იმპერიალიზმი უპირველეს ყოვლისა ცდილობს სახელი გაუტეხოს სოციალიზმს, ჩაერიოს საბჭოთა კავშირის, აგრეთვე სხვა სოციალისტური ქვეყნების საშინაო საქმეში, მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშოროს მოქალაქეთა უფლებების იმ უხეშ ხელყოფას, რაც ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

თუ თვალს გადავავლებთ სახელმწიფოსა და პიროვნების სამართლებრივი ურთიერთობის ისტორიას ანტიკური პერიოდიდან დღემდე — თვალნათლივ დავინახავთ, რომ ეს პრობლემა, რომელიც ყოველთვის ადგევდა კაცობრიობას, საბოლოო ანგარიშით ყველაზე სამართლიანად სოციალიზმმა გადაწყვიტა.

რატომ გადაიქცა „პიროვნების უფლების დარღვევის“ საკითხი გააფთრებული პოლიტიკური ბრძოლის ობიექტად, რატომ აირჩია კაპიტალისტურმა სამყარომ, პირველ რიგში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ადამიანის უფლებებისათვის ზრუნვა სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ თავიანთი იდეოლოგიური ლაშქრობის მთავარ მიმართულებად?

მოქალაქის უფლებათა ისტორია იწყება იმ დროიდან, როდესაც წარმოიშვა სახელმწიფო, რომელიც ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველთვის იყო კლასობრივ წინააღმდეგობათა შეუირიგებლობის პროდუქტი და გამოხატულება.¹ ექსპლოატატორული სახელმწიფო ეკონომიკურად გაბატონებულ კლასს სჭირდებოდა, როგორც პოლიტიკური ბატონობის იარაღი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის დასათრგუნავად. ცხადია, ასეთ ვითარებაში შეუძლებელი იყო სწავადასხვა კლასის პიროვნების უფლებების რაიმე თანასწორობაზე ლაპარაკი. ახასიათებდა რა უფლებებისა და თავისუფლებების საკითხს ანტიკურ ქვეყნებში, ფ. ენგელსი აღნიშნავდა: „ბერძნებსა და რომაელებს შორის ადამიანთა ურთიერთობანი ბევრად უფრო დიდ როლს ასრულებდნენ ვიდრე რაიმე თანასწორობა. ძველებს აუცილებლად გიჟურად მოეჩვენებოდათ ის აზრი, რომ ბერძნებსა და ბარბაროსებს, თავისუფლებსა და მონებს, სახელმწიფო მოქალაქეებსა და შემოიხიზნულებს, რომის მოქალაქეებსა და რომის ქვეშევრდომებს (ფართო გამოთქმა რომ ვიხმართ) შეუძლიათ პრეტენზია განაცხადონ თანასწორ პოლიტიკურ მნიშვნელობაზეო.“²

¹ იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 472.

² ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, სახელგამი, 1952, გვ. 123.

ანტიკურ სამყაროს იმ დროისათვის შედარებით სრულყოფილი პოლიტიკური მმართველობის მიუხედავად, გარიყული ჰყავდა პიროვნება. თუ ამას დავამატებთ, რომ მონათმფლობელური საზოგადოების აუცილებელი ატრიბუტი — მონა არ ითვლებოდა მოქალაქედ და ნივთთან იყო გათანაბრებული, გასაგები გახდება, რომ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ ამ საზოგადოებაში შეუძლებელი იყო უფლებათა რაიმე თანასწორობაზე ლაპარაკი. „ქველ რომში — აღნიშნავდა კ. მარქსი, — კლასობრივი ბრძოლა წარმოებდა მხოლოდ პრივილეგიური უმცირესობის შიგნით, თავისუფალ მდიდრებსა და თავისუფალ ღარიბებს შორის, მაშინ როდესაც მოსახლეობის დიდი მწარმოებელი მასა, მონები, მებრძოლთათვის მხოლოდ პასიურ კვარცხლბეკს შეადგენდა“.³

სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების ამოსავალი წყარო იყო ხალხის თვითმმართველობა ე. წ. სახალხო კრების სახით, რომელსაც მხარს არ უმაგრებდა ამ საზოგადოებაში მცხოვრები პიროვნება თავისი უფლებებით. სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად ამ გარემოებამ შემდგომ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმას, რომ ხალხის თვითმმართველობა თითქმის უბრკოლველად გარდაქმნილიყო ერთმართველურ თვითმპყრობელად, ანუ დესპოტიად, რომლის ანტიდემოკრატიული ბუნება ყველაზე კარგად გამოჩნდა რომაელი იმპერატორების მაგალითზე.

საზოგადოების განვითარების შემდგომ საფეხურზე, კერძოდ, გერმანული ფეოდალიზმის პირობებში სახელმწიფოსთან ურთიერთობაში თანდათანობით გამოიკვეთა პიროვნების იდეა და ჩამოყალიბდა მანამდე უცნობი ურთიერთობანმი სიუზერენსა და ვასალს შორის, რომელიც სათავეს იღებდა მიწაზე კერძო საკუთრების უფლებიდან.

ფ. ენგელსის მიხედვით, ფეოდალური ევროპის სახელმწიფოთა განვითარების დაახლოებით თანაბარმა დონემ და აქედან გამომდინარე თანასწორობამ, ცალკე სახელმწიფოს საზღვრების გადამილახავი ხასიათი მიიღო, საიდანაც შემდგომ თავისუფლება და თანასწორობა ადამიანურ უფლებებად იქნენ გამოცხადებულნი.⁴

ფეოდალური საზოგადოება, პიროვნებებს ყოფდა რა წოდების მიხედვით, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე მათ სხვადასხვა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალისტურ ფუნქციას აკისრებდა. თვითოეული ეს ფუნქცია თავის გამოხატულებას პოულობდა პიროვნების განსხვავებულ უფლება-მოვალეობებში, რომელიც სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში არ იყო ერთნაირი. მაკიაველის ტიპის ფეოდალურ სახელმწიფოს, რომელშიც პოლიტიკა განთავისუფლებული იყო ზნეობრივი ნორმებისაგან და სადაც მიზნის მისაღწევად დაშვებული იყო ყველა საშუალების გამოყენება⁵, არ შეეძლო თავის არსებობაში ჰქონოდა პიროვნების უფლებათა გარანტიების დემოკრატიული სისტემა. ფეოდალური ჩაგვრის ყველა საშუალების გამოყენებასთან ერთად გაბატონებული კლასი ეკლესიის დახმარებით ცდილობდა სრულ მორჩილებაში ჰყოლოდა პიროვნება.

მაგრამ პირველი დარტყმა სამეფო ხელისუფლებამ პიროვნებასთან ურ-

³ იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბილისი 1963 წ. გვ. 265.

⁴ იხ. ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბილისი, 1952 წ. გვ. 126.

⁵ ლაწკ. იხ. Л. М. Ваткин, Макьявелли: опыт и умозрение, ж. «Вопросы философии», № 12, стр. 116.

თიერთობაში სწორედ აქ განიცადა. შუა საუკუნეების რეფორმაციამ, რომლის უდიდესი წარმომადგენელი ლუთერი იყო, უპირველეს ყოვლისა დააყენა პიროვნების რწმენის თავისუფლების მოთხოვნა და ადამიანსა და ღმერთის ურთიერთობაში გამორიცხა შუამავლობის არსებობა. რწმენის თავისუფლების მოთხოვნამ თანდათანობით მიგვიყვანა პიროვნების პოლიტიკური და სოციალური ხასიათის მოთხოვნამდე. ლოკმა და უფრო გვიან სპინოზამ პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლების იდეა დაუკავშირეს საზოგადოებაში მოქმედ პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და სამართლებრივ ნორმებს. ეს პროცესი ყველაზე თვალსაჩინოდ მე-17 საუკუნის ინგლისში გამოჩნდა, სადაც პარლამენტარიზმის ბრძოლაში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ თანდათანობით გამოიკვეთა ადამიანის პირადი თავისუფლების მოთხოვნა. ეს იდეა მალე გასცდა კონტინენტური ევროპის ფარგლებს და ინგლისის მაშინდელ ამერიკულ კოლონიებამდე მიადგა.

მაგრამ „ამ ადამიანურ უფლებათა სპეციალურ ბურჟუაზიულ ხასიათს, აღნიშნავდა ფ. ენგელსი, — მოწმობს ის გარემოება, რომ ამერიკული კონსტიტუცია, რომელმაც ადამიანური უფლებები აღიარა, ამვე დროს ადასტურებს ამერიკაში არსებულ ფერადკანიანების მონობას: კლასობრივი უპირატესობანი დაჰკმეს, რასობრივი აკურთხეს“.⁶ ამასთან ექსპლოატატორული სახელმწიფოს პირობებში ადამიანთა თანასწორობა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული კერძო პირების თანსწორობა იყო, რომელიც შორს იდგა პიროვნების ნამდვილ თავისუფლებასთან.

ამ პერიოდიდან ქვეყნდება ევროპასა და ამერიკაში დიდძალი ლიტერატურა პიროვნებისა და მისი უფლებების შესახებ. მაგრამ არც ერთ ავტორს მარქსიზმის კლასიკოსებამდე ეს პრობლემა არ დაუკავშირებია კლასობრივ ბრძოლასთან, არ გაუნალიზებია საზოგადოებაში გაბატონებული წარმოების წესი, რომელზეც დაფუძნებულია პიროვნების ყველა ძირითადი უფლება. ეს ვერ მოახერხეს მე-18 საუკუნის დიდმა განმანათლებლებმაც, თუმცა მათმა იდეებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ბურჟუაზიის ფეოდალიზმზე გამარჯვებაში. ბურჟუაზიული რევოლუციის ცნობილ დოკუმენტში — 1789 წლის „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში“ პირველად ჩაიწერა, რომ უფლება განუყოფელი იყო მოქალაქისაგან. ამასთან, უფლებების დაცვა ყოველგვარი პოლიტიკური კავშირის მთავარ მიზნად იქნა გამოცხადებული.

მაგრამ დეკლარაციაში სხვა ხარვეზებთან ერთად ლაპარაკი იყო ეგოისტური ინდივიდის უფლებებზე. კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ ამ საზოგადოებაში ადამიანები ერთმანეთთან საკუთრების მეშვეობით იყვნენ დაკავშირებულნი. კერძო საკუთრების უფლება გამოცხადებულ იქნა ადამიანის ბუნებით თანდაყოლილ უფლებად, რომლის ხელშეუხებლობასაც ფხიზლად იცავდა სახელმწიფო. ამიტომ დეკლარაციამ ფორმალურად თუმცა გამოაცხადა ყველა მოქალაქე პოლიტიკურად თანასწორად, ამის აუცილებელ წინაპირობად დააყენა ეგოისტური ინდივიდის ქონებრივი უთანასწორობა, რითაც ადამიანის ურთიერთობა ფაქტიურად ნივთების ურთიერთობამდე დაიყვანა⁷.

ცხადია ასეთ დროს მოქალაქეთა უფლებების რეალურ თანასწორობაზე, მათი დაცვის გარანტიებზე ლაპარაკი ყალბი აღმოჩნდა, რადგან სახელმწიფო

⁶ იხ. ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბილისი, 1952 წ. გვ. 126.

⁷ დაწვრილებითი ამის შესახებ იხ. Л. И. Спирадопов, Социальное развитие и право, Л., 1973 г. стр. 144—145.

იცავდა იმას, ვის ხელშიც სიმდიდრე იყო დავროვილი. „ის რასაც წინათ თავისუფლება ეწოდებოდა — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ეს იყო ბურჟუაზიის თავისუფლება თავისი მილიონების საშუალებით მოტყუებისა, ამ მოტყუების საშუალებით თავისი ძალების გამოყენების თავისუფლება“⁸. „ბურჟუაზია განაგრძობს ვ. ი. ლენინი — იძულებულია ითვალთმაქცოს და „საერთო-სახალხო ხელისუფლება“ ან სერთოდ დემოკრატია, ან წმინდა დემოკრატია უწოდოს (ბურჟუაზიულ) დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც ნამდვილად წარმოადგენს ბურჟუაზიის დიქტატურას, ექსპლოატატორთა დიქტატურას მშრომელ მასებზე“⁹.

საზოგადოების განვითარების მთელმა მსვლელობამ დაადასტურა ვ. ი. ლენინის ეს შეფასება. ბურჟუაზია იმპერიალიზმის ეპოქაში ველურ ეგუება პიროვნების ფორმალურ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ უფლებებსაც. კერძო საკუთრების პრინციპის ბატონობა, რომელიც მატერიალურ შინაარს აცლის პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებს, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ადგილს აღარ ტოვებს უფლებათა თანასწორობისათვის. პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა წინააღმდეგ რეპრესიულ ღონისძიებებთან ერთად იმპერიალისტური ბურჟუაზია ფართოდ იყენებს რეაქციულ და ანტი-მეზურ კანონმდებლობას. ეს კარგად ჩანს ბურჟუაზიულ კონსტიტუციურ კანონმდებლობაში ბოლო დროს შეტანილი მთელი რიგი „ცვლილებებითა“ და „დამატებებით“, რომელთა უმეტესობა მშრომელთა საზიანოდ არის მიმართული. ამის თვალსაჩინო მაგალითია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ე. წ. „განსაკუთრებული კანონმდებლობა“, რომელიც კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ მთავრობას აძლევს განუსაზღვრელ უფლებამოსილებას, რათა გვერდი აუაროს წარმომადგენლობით ორგანოს, რწმენის გამო კრძალავს პიროვნების მიერ გარკვეული თანამდებობის დაკავების უფლებას და ა. შ.

„არც ერთი ქვეყანა ისე არ აქებს თავისი ცხოვრების წესს და ისე არ ცდილობს მოახვიოს იგი სხვას, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები. ამავე დროს არც ერთ სახელმწიფოში ისე არ არის განვითარებული ჯამუშურ-რეპრესიული აპარატი, როგორც დღევანდელ ამერიკაში“¹⁰.

ამიტომ თვალთმაქცური და ცინიკურია „ადამიანის უფლების დაცვის“ ორგანიზებული კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში. სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ მიმართულ ამ ცილისწამებაში „ჩათრეულნი“ აღმოჩნდნენ დასავლეთ ევროპის წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოებიც. ბრძოლის ტაქტიკურ იარაღად გამოყენებულნი არიან ე. წ. „დისიდენტებიც“. მათი უმრავლესობა სოციალისტურ ქვეყნების სასამართლო ორგანოების მიერ გასამართლებული და დასჯილია არა რწმენისა და კრიტიკული აზროვნებისათვის, როგორც ამას წარმოსახვენ ადამიანის უფლების დასავლეთელი დამცველები, არამედ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც ძირს უთხრის ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებას.

„იმპერიალისტური ბურჟუაზია, — ნათქვამია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, — თავისი ქვეყნების ხალხებზე ძალაუფლებას ინარჩუნებს

⁸ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 396.

⁹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 460.

¹⁰ დაწვ. იხ. Положение в области прав человека в США, М., 1978, стр. 14.

არა მარტო ძალადობით, არამედ მოტყუებითაც. იგი სულ უფრო ფართო მასშტაბით მიმართავს მასების დამონების იდეოლოგიურ საშუალებებს, მთელი რეაქციული ძალების „ტოტალურ“ იდეურ მობილიზაციას ანტიკომუნისმისა და ანტისოვეტიზმის აღმით.“¹¹

სოციალიზმის ქვეყნებში ადამიანის უფლებებისათვის „ზრუნვის“ კამპანია, მიუხედავად მისი ორგანიზატორების დიდი მონღომებისა, ძალიან სწრაფად კარგავს პოპულარობას. მის მიმართ კრიტიკულად არიან განწყობილი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლებიც. ამის უპრეცედენტო მაგალითია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლის ე. იანგის საჯარო განცხადება იმის თაობაზე, რომ დღევანდელი ამერიკის შეერთებული შტატების საპატიმროებში პოლიტიკური რწმენისათვის ჩამწყვდეულია და სასჯელს იხდის ასობით, ხოლო შეიძლება ათასობით ადამიანიც.¹² სასაცილოა სხვა ქვეყნების მოქალაქეთა უფლებების დარღვევების გამო განგაშის ატეხა, როცა ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს არქივში პრაქტიკულად ყველა მოზრდილ ამერიკელზე გახსნილია და ინახება 160 მილიონი დოსიე. მარტო ამ უკანასკნელ წლებში ამ ბიურომ „ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის“ 500 ათას ამერიკელზე ჩაატარა გამოძიება, თუმცა მათი პოლიტიკური აქტიურობა კანონით დადგენილ ფარგლებს არ სცილდებოდა.

მარცხი განიცადა აგრეთვე ცდამ „დისიდენტების“ მოშველებით სსრ კავშირისათვის ბრალი დაედოთ ჰელსინკის ხელშეკრულებების დარღვევაში. ზ. გამსახურდიას სასამართლო პროცესმა თბილისში ნათლად გვიჩვენა ჯაშუშურ და ანტისაბჭოთა პროპაგანდისტულ კამპანიაში პოლიტიკურად მოუმიწიფებელი და მერყევი ადამიანების ჩაბმის ხრიკები, რასაც ხშირად იყენებს დასავლეთის დაზვერვა. ამ პროცესმა ერთხელ კიდევ დაანახვა მსოფლიოს ამერიკის შეერთებული შტატების „თავისუფალი“ პრესის ობიექტურობაც, რომელმაც უსაფუძვლოდ შეიტანა ეჭვი ზ. გამსახურდიას მიერ თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის გულწრფელ აღიარებაში.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დღემდე არ გამოქვეყნებულა ჰელსინკის ხელშეკრულების სრული ტექსტი, რითაც ამ ქვეყნის საზოგადოებას ნათელი წარმოდგენა არა აქვს ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის შინაარსზე.¹³ თუ ამას იმასაც დაემატებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ჰელსინკის ხელშეკრულების ხელმოწერის მიუხედავად პრაქტიკულად ძალზე ცოტას აკეთებს გამალბებული შეიარაღების აკრძალვის, სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისაგან თავის შეკავების ხაზით, იმ საერთაშორისო დეკლარაციებისა და ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვას ეხება და სხვა, დავინახავთ, რომ არა საბჭოთა კავშირი, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებია ჰელსინკის ხელშეკრულების დამრღვევთა სათავეში.

მილიონობით ამერიკელი მოქალაქის უფლებებს სისტემატურად არღვევს და ძირს უთხრის რასიზმი და ეროვნული დისკრიმინაცია, რასაც მწარედ განი-

¹¹ იხ. ვლადიმერ ილიას ძე ონინის დაბადების 100 წლისთავისათვის, სკკ ცენტრალური კომიტეტის თეზისები, თბ., 1970 წ. გვ. 51.

¹² Тысячи политзаключенных, газ. «Известия», 14 июля 1978 г.

¹³ См. Положение в области прав человека в США, М., 1978 г. стр. 19.

ცილიან ამერიკელი ინდიელები, აგრეთვე ზანგი და მექსიკური წარმოშობის ხალხები. ამ უფლებებს ფეხქვეშ თელავს ის ექსცესები, რასაც მთავრობა მიმართავს იმათ წინააღმდეგ, ვინც იბრძვის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის უფლებების განხორციელებისათვის. ამ ფონზე „ნაქები“ ამერიკული დემოკრატიისაგან მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის აღარაფერი რჩება.

უხეშად, ფეხქვეშ ითელება მოქალაქეთა უფლებები არა მარტო ევროპის წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში, — ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, არამედ ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში, აზიაში და აფრიკის კონტინენტზე. კაპიტალიზმის განუკურნებელი სენის — უმუშევრობის გამო ყველგან ირღვევა ადამიანის უმნიშვნელოვანესი და არსებითი — შრომის უფლება.

ბურჟუაზიულმა დემოკრატამ პრაქტიკულად ვერ გადაჭრა ხალხის მასების არჩევნებში მონაწილეობის საკითხი. პოლიტიკურ კორუფციასთან ერთად, საარჩევნო კამპანიის ჩატარება, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაკავშირებულია მრავალ ფინანსურ მაქინაციასთან, რასაც არარაობამდე დაჰყავს ბურჟუაზიულ კონსტიტუციებში ჩაწერილი არჩევნებში მონაწილეობის უფლება. „ღვე ბურჟუაზიამ — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — განაგრძოს სახელმწიფო ხელისუფლების მთელი აპარატის შენარჩუნება თავის ხელში, ღვე ერთმა მუჰა ექსპლოატატორებმა განაგრძონ წინანდელი, ბურჟუაზიული, სახელმწიფო მანქანით ხარგებლობა! ბურჟუაზიას, თავისთავად ცხადია, უყვარს ასეთ პირობებში ჩატარებულ არჩევნებს უწოდოს „თავისუფალი“, „თანასწორი“, „დემოკრატიული“, „საყოველთაო-სახალხო“ არჩევნები, რადგან ეს სიტყვები ემსახურება სიმართლის დამალვას, იმის დამალვას, რომ საკუთრება წარმოების საშუალებაზე და პოლიტიკური ძალაუფლება ექსპლოატატორთა ხელში რჩება, რომ ამიტომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება ექსპლოატირებულების, ვ. ი. მოსახლეობის დიდი უმრავლესობის, ნამდვილ თავისუფლებებზე, ნამდვილ თანასწორობაზე“¹⁴.

პროფენების ნამდვილი თავისუფლება მოიტანა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. რევოლუციის შემდეგ შექმნილმა პირველმა საბჭოთა სახელმწიფომ ერთადერთმა მოახერხა უღრმესი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებით სამუდამოდ მოეღო ბოლო წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებისათვის, რომელიც პიროვნების ჭეშმარიტად დემოკრატიული უფლებების პირველი მტერია. ისტორიას ჩაბარდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, კლასობრივი ანტაგონიზმი და შუღლი. დამკვიდრდა წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება და მშრომელი მასების ნამდვილი დემოკრატია. მართალია, ოცდაათიან წლებში სოციალისტური კანონიერების ცალკეულმა დარღვევებმა ჩრდილი მიაყენა მოქალაქის უფლებების დაცვის გარანტიებს, მაგრამ პარტიამ სიმართლე უთხრა ხალხს და დროულად აღკვეთა ეს შეცდომები. განვითარებული სოციალიზმის პირობებში კიდევ უფრო გამდიდრდა და სრულყოფილი გახდა საბჭოთა მოქალაქის უფლებათა დაცვის ორგანიზაციული და სამართლებრივი გარანტიების სისტემა. შეიქმნა პირობები, რათა ქვეყნის პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფდეს მთელი საზოგადოებრივი საქმეების ეფექტიან მართვას, მშრომელთა სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო ცხოვრებაში, მოქალაქეთა რეალურ

¹⁴ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 459.

უფლებათა და თავისუფლებათა შეხამებას მათს მოვალეობებთან და პასუხისმგებლობასთან საზოგადოების წინაშე.

მსგავსი რამ შეუძლებელია ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში. „მართლაცდა, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1977 წლის 4 ოქტომბერს, — რა შეუძლია დაუპირისპირონ განვითარებული სოციალიზმის ამ რეალურ მიღწევებს კაპიტალისტური წყობილების აპოლოგეტებმა? როგორია ნამდვილი უფლებანი და თავისუფლებანი, რომლებსაც მშრომელთა ფართო მასებს ანიჭებს თანამედროვე იმპერიალისტური საზოგადოება?

რამდენიმე ათეული მილიონი ადამიანის უმუშევრობის „უფლება“? თუ ავადმყოფთა „უფლება“ იოლად გავიდნენ საექიმო დახმარების გარეშე, რომელიც უზომოდ ძვირი ჯდება? თუ შრომასა და განათლებაში, ყოფასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნულ უმცირესობათა დამამცირებელი დისკრიმინაციის „უფლება“? ან იქნებ იმის „უფლება“, რომ ყოველისშემძლე ორგანიზაციულ დამნაშავეთა სამყაროს წინაშე სულ მუდამ შიშით ცხოვრობდე და ხედავდე, რომ პრესა და კინო, ტელევიზია და რადიო ყველაფერს სჩადიან, რათა ეგოიზმის, სისასტიკისა და ძალადობის სულსიკვეთებით აღზარდონ ახალგაზრდა თაობა“.¹⁵

სოციალიზმმა, რომელმაც დიდი ხანია მოიშორა კაპიტალიზმის დამახასიათებელი სოციალური წყლულები, სათავე დაუდო სახელმწიფოსა და პიროვნების სრულიად ახალ ურთიერთობას. სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის ბაზაზე მას საფუძვლად უდევს საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესების ერთიანობა. პიროვნების თავისუფლება სოციალიზმის დროს გვევლინება როგორც რეალობა, რომელსაც ახასიათებს პიროვნების ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი განთავისუფლება ყოველგვარი ჩაგვრისაგან. უფლება და მოვალეობა გვევლინება როგორც ამ თავისუფლების გამოვლინების იურიდიული ფორმა, რომლებიც თავის მხრივ დაფუძნებულია მეცნიერულ საფუძველზე და განმტკიცებულია იმ გარანტიებით, რომლებიც საზოგადოების მიერ არის დადგენილი¹⁶.

ეს თვალნათლივ ჩანს ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების მაგალითზე, რომლითაც მოქალაქენი თანასწორუფლებიანნი არიან ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალისტური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ასეთი თანასწორობა არ იცის ბურჟუაზიულმა დემოკრატიაში.

კამპანია, რომელიც გააჩაღეს ბურჟუაზიულმა ქვეყნებმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მეთაურობით სოციალიზმის ქვეყნებში თითქოს და აღმიანის უფლებათა დარღვევის შესახებ, იმპერიალიზმის სოციალიზმთან ბრძოლის ახალი იდეოლოგიური ფანდია, მაგრამ იგი თავიდანვე განწირულია დასაღუბავად.

¹⁵ ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ, გაზ. „კომუნისტი“ 1977 წ. 5 ოქტომბერი.

¹⁶ Корельский В. М. Демократия и дисциплина в развитом социалистическом обществе, М., юрид. лит. 1977, стр. 114.

სასამართლო პრაქტიკის ნორმატიული კანონის პროექტზე საბჭოთა სასამართლოს თეორიაში

ბ. ხაზანელი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

1. სამართლებრივი ნორმების განხორციელების გამოცდილების დაგროვების შედეგად სასამართლო პრაქტიკა თავის ნორმატიულ ძალას ძირითადად სასამართლოების მიერ კონკრეტიზებული სამართლებრივი დებულებების გამოქვეყნებით ავლენს. სასამართლო ორგანოების საქმიანობა რეგულირდება არა მარტო სამართლებრივი ნორმებით, არამედ აგრეთვე სამართლებრივი ნორმების შეფარდების სასამართლო პრაქტიკით გამოქვეყნებული დებულებებით.

კონკრეტიზებულ სამართლებრივ დებულებათა დამოუკიდებელ ნორმატიულ მნიშვნელობას უკანასკნელ დრომდე ბევრი მეცნიერი იურისტი საერთოდ უგულებელყოფდა.

მაგალითად, ი. ბ. ნოვიცკის აზრით, კონკრეტიზაცია არის მოვლენა, რომელიც ახსიათებს სამართლებრივი ნორმის გამოყენებას მხოლოდ ერთი კონკრეტული შემთხვევის მიმართ. ამ დროს არავითარი სამართლებრივი დებულებები არ გამოქვეყნდება. ჩვენს წინაშეა მხოლოდ კანონის შინაარსის სწორი ახსნა. მისი როგორც ზოგადი ქცევის წესის სწორი განმარტება, რომელიც მოიცავს ნორმის ჰაბოთეზას, დისპოზიციას და სანქციას და გამოიყენება მხოლოდ ინდივიდუალიზებული საზოგადოებრივი ურთიერთობის მიმართ. სახელმძღვანელო დებულებები კი მხოლოდ აღნიშნავს იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც სასამართლოებს მოსდით კანონის შეფარდების დროს, და იძლევა მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განიმარტოს კანონი¹.

ა. ფ. ჩერდანცევი უშვებს კანონების ნორმატიულ ახსნა-განმარტებას მხოლოდ უმაღლესი სასამართლო ორგანოების მიერ. მაგრამ, მისი აზრით, კონკრეტიზაცია ამ შემთხვევაშიც, სხვა არაფერია, თუ არა ახსნა-განმარტების პროცესი².

კ. ი. კომისაროვი კონკრეტიზაციას უკავშირებს მხოლოდ იმ ნორმებს, რომლებიც უფლებას ანიჭებს სასამართლოს იხელმძღვანელოს ამ ნორმებში მითითებული შეფასებითი კრიტერიუმებით და მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებანი კანონის ფარგლებში. კ. ი. კომისაროვი ამტკიცებს, რომ კანონს არ სჭირდება დაზუსტება, რადგან ის საკმარისად განსაზღვრულია, და ამიტომ ამოცანა ის არის, რომ ზუსტად იქნეს შეფარდებული კანონი. კონკრეტიზაცია საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას უშვებს თვით კანონმდებ-

¹ Черданцев А. Ф. Вопросы толкования советского права, Свердловск 1972, с. 135-141. ამ პოზიციაზე არიან ა. ს. შლიაპოშნიკოვი და ა. ვ. მიცევეჩი.

² Черданцев А. Ф. Вопросы толкования советского права, Свердловск 1972, с. 38-40. ამ პოზიციაზე დგას აგრეთვე ი. ს. ტიშვეჩი.



ბელი, სხვა შემთხვევებში კი სასამართლო მხოლოდ განმარტავს კანონის ნამდვილ აზრს³.

ამ პოზიციასთან ახლოს დგანან ვ. ვ. ლაზარევი და ა. კ. ბეზინა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ კანონმდებელი ზოგჯერ თვით ანიჭებს სასამართლოს სამართალშემოქმედების უფლებას, აძლევს შესაძლებლობას შეავსოს, დააკონკრეტოს კანონი, მაგრამ ისე, რომ არ გასცდეს შეფასებითი კრიტერიუმის ფარგლებს. მხოლოდ ასეთ შემთხვევებში ხდება კონკრეტიზებული სამართლებრივი დებულებების გამომუშავება. ამდენად, ეს ავტორები იმაზე კი არ ლაპარაკობენ, რომ კანონმდებელმა სასამართლოებს მისცეს სამართლებრივი დებულების გამომუშავების ფართო შესაძლებლობა, არამედ იმაზე, რომ სასამართლოებს სამართალშემოქმედების უფლებამოსილება მიენიჭოთ მხოლოდ შეფასებითი კრიტერიუმების კონკრეტიზაციის დროს ამ შეფასებითი კრიტერიუმების ფარგლებში⁴.

ს. ს. ალექსეევის აზრით, კანონის კონკრეტიზაცია შესაძლებელია არა მართო კანონში „შეფასებითი ცნებების“ არსებობის დროს, არამედ სხვა შემთხვევებშიც. კანონის კონკრეტიზაცია აუცილებელი პროცესია, რომელიც უკავშირდება კანონის აბსტრაქტული დებულების უფრო კონკრეტულ დებულებად გადაქცევას. ასეთი კონკრეტიზაციის შედეგად გამომუშავდებიან სამართლებრივი დებულებები, რომლებიც ქმნიან სპეციფიკურ სამართლებრივ მოვლენას და რომლებიც წარმოადგენენ სოციალისტურ მართლშეგნებას „შედეგებული“ სახით მათი იურიდიულ ნორმებად გარდაქმნის მიჯნაზე. ს. ს. ალექსეევი განასხვავებს ერთმანეთისაგან კონკრეტიზებულ სამართლებრივ დებულებებს, რომლებიც ფორმულირებულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო მითითებებში, და სამართლებრივ დებულებებს, რომლებსაც ასეთი ფორმა არა აქვს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო მითითებებს ს. ს. ალექსეევი ანიჭებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ძალას⁵.

ს. ნ. ბრატუსი (რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის როგორც სამართლისგან დამოუკიდებელი სოციალური ფენომენის აღიარება) ამბობს: რაც უფრო ზოგადი ხასიათი აქვს კანონს, მით უფრო მეტ ურთიერთობებს მოიცავს იგი, მაგრამ მან რომ კანონმდებლობის მიერ დასმული ამოცანა შეასრულოს, გაშუალებული უნდა იყოს სხვა ნორმებით, რომლებიც ასევე ზოგადია, მაგრამ უფრო კონკრეტიზებული, ვიდრე კანონი. ს. ნ. ბრატუსის აზრით — არსებობს ასეთი კონკრეტიზაციის ორი საშუალება: პირველი — სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა, მეორე — სასამართლო პრაქტიკის მიერ კონკრეტიზებული სამართლებრივი დებულებების გამომუშავება. ყველა ამ შემთხვევაში ლაპარაკია მეტ-ნაკლებად ქცევის ზოგად წესზე, მაგრამ პირველი საშუალებიდან განსხვავებით, მეორე შემთხვევაში — ჩვენ საქმე გვაქვს სამართლებრივ დებულებებთან, რომლებიც სამართლის წყარო არ არის. მათ მიეკუთვნება სსრ

³ Комиссаров Н. И. Судебное усмотрение в советском гражданском праве «Советское государство и право». 1969, № 4, с. 51.

⁴ Безина А. К. Лазарев В. В. — Правоконкретизирующая деятельность судов и ее роль в развитии советского права. «Вопросы социалистической законности в деятельности административных и хозяйственных органов». Казань, 1968, с. 34.

⁵ Алексеев С. С. Социальная ценность права в советском обществе. М., 1971. с. 135-140. ანალოგიურ პოზიციასზეა ვ. ს. პიგოლინი.

კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო მითითებებში ჩამოყალიბებული სამართლებრივი დებულებები. ამ მითითებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონკრეტიზებულ (დეტალიზებულ) სამართლებრივ ნორმებს⁶. როგორც ჩანს, ს. ნ. ბრატუსის სამართლებრივ ნორმებად გულისხმობს ნორმებს, რომლებიც წარმოადგენს სამართლის წყაროს და ნორმებს, რომლებიც ასეთი თვისების მატარებელნი არ არის.

ეს კონცეფცია შემდგომ განავითარა ლ. ვ. ვენგეროვმა წერილში „სამართლებრივი ნორმის პრეცედენტული ახსნა-განმარტების შესახებ“.

ლ. ვ. ვენგეროვის აზრით, კონკრეტიზებული სამართლებრივი დებულებები შემუშავდება არა მარტო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს პლენუმების დადგენილებებში, არამედ აგრეთვე სხვადასხვა დონის სასამართლო ორგანოების დადგენილებებში კონკრეტული საქმეების გამო. მაგრამ კონკრეტული საქმის გამო გამოტანილი დადგენილება, მხოლოდ მაშინ იძენს სამართლებრივი დებულების სახეს, როდესაც მას სასამართლო პრაქტიკა მიიღებს და ანალოგიური კონკრეტული საქმის გადაწყვეტის დროს ნიმუშად, ახსნა-განმარტების თავისებურ პრეცედენტად იქცევა. სასამართლო და ადმინისტრაციულ პრეცედენტისაგან განსხვავებით (რომლებიც წარმოადგენენ სამართლის წყაროს), „ახსნა-განმარტების პრეცედენტი“ დაკავშირებულია უკვე არსებულ სამართლის ნორმასთან, ანალოგიურ საქმეზე სამართლის ნორმის შეფარდების სასამართლო პრაქტიკისათვის უკვე ცნობილ სამართლებრივ შედეგულსთან, რის გამოც იგი იღებს მყარი დებულების სახეს⁷.


ს. ნ. ბრატუსის და ლ. ვ. ვენგეროვის შეხედულებები შემდგომ განვითარდა ს. ს. ალექსეევის წიგნში „სამართლის თეორიის პრობლემები“ (ტ. 2). ს. ს. ალექსეევი განასხვავებს სამართლებრივი ნორმების სამართალშემოქმედებითს და სამართალშეფარდებითს კონკრეტიზაციას და ავითარებს ს. ნ. ბრატუსის კონცეფციას კონკრეტიზებული სამართლებრივი დებულებების ორი სახეობის შესახებ. კონკრეტიზებულ სამართლებრივ დებულებებს ის უწოდებს „სამართლის შეფარდების ნორმებს“. ისევე როგორც ს. ნ. ბრატუსი, ს. ს. ალექსეევიც ამტკიცებს, რომ სამართლის სფეროში ნორმად არ შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ სამართლის ნორმა, მის გვერდით სრულიად კანონზომიერად უნდა იხსენიებოდეს სამართლის შეფარდების ნორმა. ამის გამო ს. ს. ალექსეევი გადაინჯა თავისი ძველი თვალსაზრისი სამართლებრივი დებულებების იურიდიული ბუნების შესახებ და, ისევე როგორც ს. ნ. ბრატუსი და ლ. ვ. ვენგეროვი, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების პლენუმების დადგენილებებს მხოლოდ პირობით შეიძლება ეწოდოს სამართლის წყაროები, არსებითად ისინი წმინდა ინტერპრეტაციული აქტებია, რომლებიც შეიცავს სამართლებრივი ნორმების შეფარდების წესებს⁸.

ს. ნ. ბრატუსის და ლ. ვ. ვენგეროვის პოზიცია უფრო კონცენტრირებულად გამოიხატა მათს ერთობლივ ნაშრომში „სასამართლო პრაქტიკის ცნება, შინა-

⁶ Братусь С. Н. Постановления Пленума Верховного Суда СССР и инструктивные указания государственного Арбитража при совета Министров СССР как предмет систематизации. В кн. «Теоретические вопросы систематизации советского законодательства». М., 1962, с. 151—153.

⁷ Венгеров Л. В. О прецедентном толковании правовой нормы. «Ученые записки ВНИИСЗ». В кн. 6, 1966, с. 3—9.

⁸ Алексеев С. С. Проблемы теории права. Св. 1973, т. 2, с. 93—94, 99—100.



არსი და ფორმები“, აგრეთვე კოლექტიურ შრომაში „სასამართლო პრაქტიკა საბჭოთა სამართლის სისტემაში“ (მოსკოვი — 1975 წ.).

ამ ავტორთა აზრით, საბჭოთა სამართლის სისტემაში, სასამართლო პრაქტიკა შეფარდებით დამოუკიდებელი ობიექტური მოვლენაა, რომელსაც აქვს თავისი, მართო მისთვის დამახასიათებელი შინაარსი, თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფორმები. სასამართლო პრაქტიკა, მათი აზრით, ერთიანობაა: 1) სამართლებრივი ნორმების შეფარდების იმ სასამართლო საქმიანობასთან, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრული სამართლებრივი დებულებების შემუშავებასთან შესაფარდებელი ნორმების აზრისა და შინაარსის გახსნის საფუძველზე მათს კონკრეტულობასა და დეტალიზაციასთან, და 2) ასეთი საქმიანობის შედეგისა (თვით სამართლებრივი დებულებების). მასასადამე სასამართლო პრაქტიკა ერთდროულად ასეთი სასამართლო საქმიანობის დინამიკა და სტატიკაა მათს ერთიანობაში. სამართლებრივი დებულებების შემუშავება ხდება როგორც გარკვეული კატეგორიის საქმეების გამო მრავალი ანალოგიური სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადოების საფუძველზე (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პლენუმების დადგენილებები), ისე იმ გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომლებიც გამოტანილია რომელიმე სასამართლო ინსტანციის მიერ კონკრეტული საქმის გამო, მაგრამ რომელსაც აითვისებს და მიიღებს სასამართლო პრაქტიკა როგორც ანალოგიურ საქმეთა გამო გადაწყვეტილების მიღების ნიმუშს (ე. წ. „ახსნა-განმარტების პრეცედენტი“).

სამართლებრივი დებულება როგორც ცნება, ამ ავტორების აზრით, — ახალი იურიდიული ცნებაა, რომელიც მოიცავს სახელმძღვანელო მითითებებს და ახსნა-განმარტების პრეცედენტებს.

სახელმძღვანელო მითითებებს და ახსნა-განმარტების პრეცედენტებს აქვს საერთო ნიშნები: სახელმძღვანელო მითითებებასა და ახსნა-განმარტების პრეცედენტების წარმოშობის წყაროა სასამართლო ორგანოების საქმიანობა სამართლებრივი ნორმების შეფარდების ზაზით; როგორც სახელმძღვანელო მითითებანი, ისე სამართლებრივი ნორმების შეფარდების პრეცედენტები ახდენს ზოგადი სამართლებრივი ნორმების კონკრეტულობას; როგორც სახელმძღვანელო მითითებანი, ისე სამართლებრივი ნორმების შეფარდების პრეცედენტები შეიცავს ზოგად დებულებებს, ე. ი. დასკვნებს. პრინციპებს სამართლებრივი ნორმების შეფარდების შესახებ; როგორც სახელმძღვანელო მითითებებს, ისე სამართლებრივი ნორმების შეფარდების პრეცედენტებს სასამართლოები ითვალისწინებენ ანალოგიური საქმეების გადაწყვეტის დროს; როგორც სახელმძღვანელო მითითებებს, ისე სამართლებრივი ნორმების შეფარდების პრეცედენტებს აქვს ავტორიტეტის ძალა, და არა ძალის ავტორიტეტი.

ამავე დროს სახელმძღვანელო მითითებებს და სამართლებრივი ნორმების შეფარდების პრეცედენტებს აქვს განმასხვავებელი ნიშნები; სახელმძღვანელო მითითებებს აქვს ოფიციალური ქვენორმატიული ხასიათი, რაც არა აქვს სამართლებრივი ნორმების შეფარდების პრეცედენტებს. სახელმძღვანელო მითითებები იქმნება გარკვეული კატეგორიის საქმეთა განზოგადოების შედეგად. ხოლო სამართლებრივი ნორმების შეფარდებას პრეცედენტები — კონკრეტული საქმიდან; სახელმძღვანელო მითითებებს იღებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოების პლენუმები, ხოლო სამართლებრივი ნორმის შეფარდების პრეცედენტი შეუძლია შექმნას ყოველმა სა-

სამართლო ორგანომ: თავისი სავალდებულო ძალის მიხედვით სახელმძღვანელო მითითება ახლოს დგას ნორმატიულ აქტთან, ხოლო სამართლებრივი ნორმის შეფარდების პრეცედენტი კი სამართლებრივ ადათთან..

აღნიშნული საკითხის კვლევის შედეგად ს. ნ. ბრატუსი და ლ. ვ. ვენგეროვი მიდიან შემდეგ დასკვნამდე: კანონი მისი ზოგადი ხასიათის გამო მხოლოდ სამართლებრივი ნორმების ახსნა-განმარტების და კონკრეტიზაციის შედეგად შემუშავებულ სამართლებრივ დებულებებთან კავშირით ასრულებს თავის სამსახურებრივ როლს — აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს⁹.

თავისი კვლევის შედეგად ს. ს. ალექსეევი ასევე მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამართლებრივი ნორმებისა და მართლშეგნების გარდა არსებობს ობიექტივირებული, სპეციფიკური, მოძრავი და ელასტიკური სფერო სამართლებრივი სინამდვილისა, რომელიც მონაწილეობს სამართლებრივი რეგულირების პროცესში¹⁰.

ამგვარად, სასამართლოების საქმიანობა არ ამოიწურება მხოლოდ სამართლებრივი ნორმების შეფარდებით, იგი ამავე დროს მოიცავს ისეთი საქმიანობის გამცილებების გამოყენებას, რომელიც კონცენტრირებულად გამოიხატება იმ სამართლებრივ დებულებებში, რომლებიც ჩამოყალიბებულია სახელმძღვანელო მითითებებში ანალოგიური კატეგორიის საქმეთა გამო გადაწყვეტილებათა განზოგადოების შედეგად, აგრეთვე ცალკეული სასამართლოთა იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც ნიმუშად მიიღეს სხვა სასამართლოებმა.

2. პრინციპულად ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ ს. ნ. ბრატუსის, ს. ს. ალექსეევის და ლ. ვ. ვენგეროვის პოზიციას, მაგრამ აღნიშნული პოზიციის განვითარების და სრულყოფის თვალსაზრისით ვაყენებთ სასამართლო პრაქტიკის ცნებაში სიცხადის და სიზუსტის შეტანის საკითხს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ს. ნ. ბრატუსს და ლ. ვ. ვენგეროვს სასამართლო პრაქტიკა ესმით როგორც სასამართლოების საქმიანობა დაკავშირებული განსაზღვრული სამართლებრივი დებულებების გამომუშავებასთან სამართლებრივი ნორმების შეფარდებისას, ასევე ამ საქმიანობის შედეგი — ე. ი. თვით სამართლებრივი დებულებები. ჩვენ სასამართლო პრაქტიკის ასეთი ფართო გაგების წინააღმდეგ ვართ, ჩვენი აზრით, უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან სასამართლოების საქმიანობა და ამ საქმიანობის შედეგი. სასამართლოების საქმიანობა ანუ სასამართლო პრაქტიკა არ ცდდება კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობების სფეროს, მაშინ როდესაც ამ სასამართლოების საქმიანობის შედეგი გადის კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ და სამართლის ნორმის ნაირსახეობად იქცევა. თითოეული მოსამართლე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების დროს არ ითვალისწინებს, და არც შეუძლია გაითვალისწინოს, თუ რა ცვლილება შეუძლია შეიტანოს საბოლოო ანგარიშით კონკრეტული საქმეების გამო მისმა გადაწყვეტილებამ სხვა ანალოგიურ საქმეებზე გამოსატან გადაწყვეტილებებზე. ამ შედეგის გათვალისწინება შეუძლია მხოლოდ იმ ორგანოს, რომელიც მოწოდებულია განაზოგადოს ცალკეულ სასამართლოთა (ანუ მოსამართლეთა) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების პრაქტიკა და მათზე უკუშემოქმედების მოხდენის მიზნით შეიმუშაოს კონკრეტიზებუ-

⁹ Братусь С. Н. и Венгеров Л. В. Понятие, содержание и формы судебной практики, в кн. «Судебная практика в советской правовой системе». М., 1975, с. 8; 16, 25, 65 — 66.

¹⁰ Алексеев С. С. «Проблемы теории права», т. 2, с. 85.

ლი სამართლებრივი დებულებები (ნორმები). ამ შედეგს ითვალისწინებენ აგრეთვე სხვა სასამართლოები, რომლებსაც შეუძლიათ ერთი სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილება კონკრეტული საქმის კანონის ფარგლებში თავისებურად გადაწყვეტის თაობაზე მიიღონ (მოიწონონ) როგორც ნიმუში, ეტალონი, როგორც საკითხის პროგრესული გადაწყვეტა.

ამ თავისებურებათა გამო სამართლებრივი დებულებები სცდება ყოველდღიური სასამართლო პრაქტიკის ვიწრო ფარგლებს და იქცევა მართლწესრიგის სტრუქტურულ ერთეულებად. სამართლებრივი დებულებები მართლწესრიგის (ანუ სამართლის და კანონიერების რეალური განხორციელების) სიმყარის გარანტია, მისი ჩონჩხია.

სამართალი საზოგადოებრივი ურთიერთობების შედარებით კონსერვატიული ფორმაა, რის გამოც იგი იმანენტურად ითხოვს მის მუდმივ შეგუებას, შეთანწყობას საზოგადოებრივ ურთიერთობათა დინამიკასთან. ამ პროგრესულ მისიას ასრულებს სამართლებრივი დებულებები, რომლებიც სამართლის ნორმების სტაბილურობის და საზოგადოებრივ ურთიერთობათა დინამიკის პირობებში უნარჩუნებს მართლწესრიგს სიმყარეს, ამცირებს წინააღმდეგობას.

განუხრალ დავიძვით ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ლენინური პრინციპები

დოკ. შ. ზაზიაშვილი

საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას უაღრესად დიდი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ არის, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა წითელ ზოლად გასდევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მთელ საქმიანობას ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებიდან დღემდე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას თავიდანვე განიხილავდა, როგორც დამხობილი ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენელთა ბრძოლის თავისებურ ფორმას მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ. „ბურჟუაზია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — დღემდე ბრძოლას აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ, ბევრი მათგანი ჩვენ საზღვარგარეთ გავაძევეთ... მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი ათასია აქ და ომს ეწევა ჩვენს წინააღმდეგ ბიუროკრატიული ხელოვნების ყველა წესის მიხედვით“.

ვ. ი. ლენინი ბიუროკრატიზმს განმარტავდა, როგორც „საქმის ინტერესების დაქვემდებარებას კარიერის ინტერესებისადმი, უაღრესი ყურადღების მიქცევას ადგილებისადმი და მუშაობის უგულვებლყოფას“².

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებში სახელმწიფო აპარატსა და ცალკეულ საწარმო-დაწესებულებებში ფართოდ დამკვიდრდა მეფის რუსეთის დროინდელი ჩინოვნიკებისათვის დამახასიათებელი და მათგან მემკვიდრეობით მიღებული საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის ჩვევები, რაც ხელს უშლიდა რევოლუციის მონაპოვართა დაცვას, სახელმწიფო აპარატის განმტკიცებას. ამიტომ პარტიამ მოითხოვა დაუნდობელი ბრძოლა გამოცხადებინათ ბიუროკრატიზმისათვის. „პარტიის მრავალი წევრი, — ნათქვამი იყო რკპ (ბ) მერვე ყრილობის რეზოლუციებში, — რომლებიც დაყენებული არიან ამ სახელმწიფოებრივ სამუშაოზე, სავარაუდოდ წყდებიან მასებს და მათ იპყრობს ბიუროკრატიზმის სენი... აუცილებელია ამ ბოროტების წინააღმდეგ დაუნდობლად დავიწყოთ უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა“³. ამავე დროს, სახელმწიფო აპარატის განმტკიცებისა და რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, საჭირო იყო შეგვექმნა „სხვაგვარი დისციპლინა, სხვაგვარი წყარო დისციპლინისა“⁴. „რკინისებური დისციპლინა, რკინისებური წესრიგი“⁵.

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 544.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 7, გვ. 451.

3 სკკპ გადაწყვეტილებებსა და რეზოლუციებში, ნაწ. I, მეშვიდე გამოცემა თბილისი, 1954, გვ. 563.

4 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 549.

5 იქვე, გვ. 551.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა დაუნდობელი ბრძოლა გაეჩაღებინათ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, რომელიც მიაჩნდა აპარატის სწორი მუშაობისა და სახელმწიფო დისციპლინის უზოროტეს მტრად. ვ. ი. ლენინი დ. ი. კურსკის საგანგებო კომისიისადმი გაგზავნილ დეპეშაში წერდა: „ყველა მუშაკმა იცოდეს, რომ საქმისადმი ფორმალურ და ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას, დამშეულ მუშებისადმი დახმარებას გაწევის უუნარობას მოჰყვება სასტიკი რეპრესია, დახვრეტაც კი“⁶.

ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ უცილებელი იყო ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ სპეციალური სისხლისსამართლებრივი კანონის გამოცემა და საქმის გაჭიანურებელთა მკაცრად დასჯა. იმავე დროს იგი მოითხოვდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცათ არა მარტო ბიუროკრატები, არამედ ის კომუნისტებიც, რომლებიც სათანადოდ არ იბრძოდნენ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. „პასუხისგებაში უნდა მიეცეთ ის პარტიული ამხანაგები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომლებიც დადიან და ჩივიან ან ანეგდოტებს ამბობენ იმის შესახებ, რომ ამა და ამ დაწესებულებაში ესა და ეს სისაძაგლე ჩაიდინესო, დადიან მთელ მოსკოვში და ანეგდოტებს ამბობენ ბიუროკრატიულ შემთხვევათა გამო. თქვენ კი, ამხანაგებო, შეგნებულო კომუნისტებო, რა გააკეთეთ თქვენ ამასთან საბრძოლველად?... საქმის გაჭიანურებისათვის სამართალში აძლევდით? სად არის სახალხო სასამართლოების განაჩენები იმისათვის, რონ მუშა ან გლეხი, რომელიც იძულებულია ოთხჯერ თუ ხუთჯერ მოვიდეს დაწესებულებაში, ბოლოს, იღებს ფორმალურად რაღაც სწორს, მაგრამ არსებითად კი აბუჩად აგდება გამოდის? თქვენ ღომ კომუნისტები ხართ, რატომ არ უგებთ ხაფანგს ამ ვაჟბატონ ბიუროკრატებს, მერე კი რატომ არ მიათრევთ მათ სახალხო სასამართლოში და საპრობილეში საქმის ამ გაჭიანურებისათვის? რამდენი ჩასვით საპრობილეში საქმის გაჭიანურებისათვის“⁷.

ვ. ი. ლენინი 1918 წლის 21 დეკემბერს ფინსახკომს ავალებდა აუცილებლად მოეძებნათ და სასამართლოსთვის გადაეცათ საქმის გაჭიანურებაში მხალეული პირები⁸.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, ჯერ კიდევ 1918 წლის 8 დეკემბერს გამოცემულ იქნა მუშათა და გლეხთა თავდაცვის საბჭოს დადგენილება ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებათა სწრაფი, ზუსტი შესრულებისა და საკანცელარიო გაჭიანურებათა თავიდან აცილების შესახებ. თანამდებობის პირთა მიერ საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის მიზეზებოა და ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრის მიზნით 1919 წლის 30 დეკემბერს სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა სპეციალური დეკრეტი. მაგრამ, მიუხედავად ამისა საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის ფაქტები მაინც საკმაოდ მომრავლდა ცალკეულ საწარმო-დაწესებულებებსა და ცენტრალურ აპარატში. სწორედ ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლენინი 1921 წლის 3 სექტემბერს იუსტიციის სახალხო კომისარს—დ. ი. კურსკისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: საქმის „გაჭიანურება განსაკუთრებით მოსკოვისა და ცენტრალურ დაწესებულებებში საესებით ჩვეულებრივია. მაგრამ მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მასთან ბრძოლას-ო“, და მოითხოვდა: „ამ შემოდგომაზე

⁶ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 575.

⁷ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 545-546.

⁸ Ленинский сборник XXXV, стр. 41.

და-1921-22 წლ. ზამთარში მოსკოვში აუცილებლად მოეწყოს 4-6 გასამართლებ-
 ბა მოსკოვში მომხდარი საქმის გაჭინურებისათვის, შერჩეულ იქნეს „უფრო
 მკაფიო“ შემთხვევები და თვითეული გასამართლება გადაიქცეს პოლიტიკურ
 საქმედ“. იმავე დროს ვ. ი. ლენინი იუსტიციის სახალხო კომისარიატს ავალბ-
 და გამოეცა „ყარგი, საზრიანი, არა ბიუროკრატიული წერილი (იუსტიციის სა-
 ხალხო კომისარიატის ცირკულარი) საქმის გაჭინურებასთან ბრძოლის შე-
 სახებ“⁹.

ესევე როგორც საბჭოთა სახელმწიფოს აღრინდელ ეტაპზე, ბიუროკრა-
 ტიზმის წინააღმდეგ დღესაც წარმოებს თანამიმდევრული ბრძოლა პრესის, რა-
 დიოს, ტელევიზიისა და ყველა სხვა საშუალებით და ამ ბოროტების წინააღ-
 მდეგ ბრძოლაში გარკვეული წარმატებებიც არის მოპოვებული, მაგრამ ეს ჯერ
 კრძევ არ იწინავს, რომ ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატი თა-
 ვისუფალია ბიუროკრატიზმისაგან, რომ აღარ გვაქვს საქმის გაჭინურებისა და
 ბიუროკრატიზმის ფაქტები. როგორც პრაქტიკა გვაჩვენებს, ასეთი ფაქტები,
 სამწუხაროდ, ჯერ კიდევ უხვად გვხვდება სახელმწიფო აპარატის, ადმინისტ-
 რაციული ორგანოების ცალკეულ რგოლებში, საწარმო-დაწესებულებების და
 საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელის საქმიანობაში.

ბიუროკრატიზმის საბოლოო აღმოფხვრისათვის საკმარისი არ არის მის
 წინააღმდეგ კამპანიური ხასიათის ბრძოლა და მარტოოდენ შიშველი ლოზუნ-
 გები მისი დაძლევის შესახებ. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ასეთი გაუბრა-
 ლოების წინააღმდეგ გვაფრთხილებდა ვ. ი. ლენინი სამთამადრო მრეწველობის
 მუშათა სრულიად რუსეთის II ყრილობაზე: „ვინც წინადადებას გაძლევთ, —
 აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ბიუროკრატიზმს ბოლო მოეულოთო, ის დემაგოგია.
 თუ თქვენს წინაშე გამოდიან და ამბობენ — „ბოლო მოეულოთ ბიუროკ-
 რატიზმსო“, — ეს დემაგოგიაა. ეს ჩმახვია: ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ჩვენ
 მრავალი წლის განმავლობაში ვიბრძობებთ, და, ვინც სხვანაირად ფიქრობს,
 ის შარლატანობს და დემაგოგობს, რადგან იმისათვის, რომ ბიუროკრატიზმი
 დაძლიო, საჭიროა ასობით ღონისძიება, საჭიროა საყოველთაო წიგნიერება,
 საყოველთაო კულტურულობა, საყოველთაო მონაწილეობა მუშურ გლეხურ
 ინსპექციაში“¹⁰. ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა ბიუროკრატიზმთან
 ბრძოლის სიძნელეებს: „ბიუროკრატიზმთან ბრძოლას ათეული წლები დასჭირ-
 დება, ეს უძნელესი ბრძოლაა, და ყველა ვინც თქვენ გეტყვით, რომ ჩვენ ბი-
 უროკრატიზმს ერთბაშად დავაღწევთ თავს, თუ ანტიბიუროკრატულ პლატ-
 ფორმებს მივიღებთო, პირდაპირ შარლატანი, ლამაზი სიტყვების მოყვარული
 შარლატანი იქნება“¹¹. აი რას წერდა ვ. ი. ლენინი მ. სოკოლოვისადმი გაგ-
 ზავნილ წერილში: „თქვენი შეცდომაა ფიქრი, რომ იგი შეიძლება, როგორც
 „მუწუკი“, ერთბაშად მოსპობილ იქნეს „აღივავოს პირისაგან მიწისა“.

ეს შეცდომაა. შეიძლება გავავდოთ მეფე, — გავრეკოთ მემამულეები, —
 გავრეკოთ კაპიტალისტები. ეს გავაკეთეთ. მაგრამ ვერ „გავადგებ“ ბიუროკრა-
 ტიზმს გლეხურ ქვეყანაში. ვერ „აღვი პირისაგან მიწისა“. იგი შეიძლება
 შეამცირო მხოლოდ ნელი, ბეკითი შრომით.

⁹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 552-553.

¹⁰ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 65.

¹¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 50-51.



„ბიუროკრატიული მუწყუკის“, „მოშორება“... არ შეიძლება. მას შეიძლება მხოლოდ ვუმკურნალოთ. ქირურგია ამ შემთხვევაში აბსურდია, შეუძლებლობაა; მხოლოდ ნელი მკურნალობა — ყოველივე დახარჩენი თვალთმაქცობა და გულუბრყვილობაა“¹² ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ხანგრძლივი, მტკიცე ბრძოლაა საჭირო.¹³

ხელმძღვანელობდა რა ვ. ი. ლენინის მითითებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი განუხრელად იცავდნენ და პრაქტიკაში ნერგავდნენ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ლენინურ მოთხოვნებს. საკ. კპ (ბ) XV ყრილობაზე, საანგარიშო მოხსენებაში ი. ბ. სტალინი, ეხებოდა რა საქმის გაკვიანურებისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის აუცილებლობას, აღნიშნავდა, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ამოცანა — „ჩვენს წინაშე მუდამ იდგება, ვიდრე ჩვენში არის სახელმწიფო ხელისუფლება, ვიდრე არსებობს სხელმწიფო“¹⁴ ჩვენ „სახელმწიფო აპარატში მოიპოვებიან ბიუროკრატიული ელემენტები, რომლებიც აფუჭებენ და ამახინჯებენ მის მუშაობას“¹⁵ პარტიას თავის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდა ბრძოლა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. და მოითხოვდა განუხრებელი შანით ამოეწვიათ პრაქტიკაში ბიუროკრატიზმის ფაქტები.¹⁶

საკ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე 1930 წლის 27 ივნისს ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა „საშიშროებას წარმოადგენენ არა მარტო და არა იმდენად ძველი ბიუროკრატიები, რომლებიც ჩვენს დაწესებულებებში ჩარჩნენ, არამედ — განსაკუთრებით — ახალი ბიუროკრატიებიც, საბჭოთა ბიუროკრატიები, რომელთა შორის „კომუნისტური ბიუროკრატიები“ უკანასკნელ როლს როდი ასრულებენ. ...ის „კომუნისტები“, რომლებიც ცდილობენ მუშათა კლასისა და გლეხობის მილიონიანი მასების შემოქმედებითი ინიციატივა და თვითმოქმედება შეცვალონ კანცელარული განჯარგულებებითა და „დეკრეტებით“, რომელთა ძალაც მათ ისე სწამთ, როგორც ფეტიში. ამოცანა ის არის, რომ დაგძლიოთ ბიუროკრატიზმი ჩვენს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აღმოვფხვრათ ბიუროკრატიული „ზნე-ჩვეულებანი“ და გავკაფოთ გზა ჩვენი წყობილების რეზერვების გამოსაყენებლად, მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითშემოქმედების გასაშლელად. ეს იოლი ამოცანა როდია. მას „ერთი დაკვირვით“ ვერ გადავჭრით. მაგრამ იგი აუცილებლად უნდა გადავჭრათ, თუ გვსურს ნამდვილად გარდავქმნათ ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის საფუძველზე“¹⁷

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, ადრევე, საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში იგი შეტანილ იქნა როგორც ცალკე, დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედობა (214-ე მუხლი). ასევე, შემდგომ პერიოდში მოქმედ მთელ რაგ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებით ბიუროკრატიზმთან ბრძოლა გათვალისწინებული იყო ცალკე შემადგენლობად. მაგალითად, ბიუროკრატიზმი ცალკე

¹² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 520.


¹³ იქვე, გვ. 521.

¹⁴ ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 10, გვ. 342.

¹⁵ იქვე, გვ. 343.

¹⁶ ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 10, გვ. 345.

¹⁷ ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 12, გვ. 357.



დანაშაულებრივ ქმედობად იქნა გათვალისწინებული უკრაინის სსრ სსკ 991-ე მუხლითა და უზბეკეთის სსრ სსკ 1451-ე მუხლით, რომლებითაც იგი განმარტებული იყო როგორც „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი ფორმალური დამოკიდებულება“. საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსებში ბიუროკრატიზმი გაერთიანებული იყო მუხლში დანაშაულებრივ დაუდევრობასთან. ადრე მოქმედი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით ბიუროკრატიზმად ითვლებოდა „სამსახურებრივი საქმიანობისადმი ფორმალური დამოკიდებულება“. სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსით ბიუროკრატიზმი შეტანილი იყო მუხლში, რომელიც ითვალისწინებდა დასჯას დანაშაულებრივი დაუდევრობისათვის. ისე რომ თვით ბიუროკრატიზმის ნიშნებზე არ მიუთითებდა (სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით ბიუროკრატიზმი და გაჭიანურება გამოგონებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვისათვის დღესაც დასასჯელი დანაშაულებრივ ქმედობად არის მიჩნეული).

უკრაინის სსრ, უზბეკეთის სსრ და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები იცნობდნენ ბიუროკრატიზმის მარტივ და კვალიფიციურ სახეებს. აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 146-ე მუხლი კი ბიუროკრატიზმის სამ სახეს: მარტივს, კვალიფიციურს და ბიუროკრატიზმს, ჩადენილს საზოგადოებრივად ნაკლებ საშიშ გარემოებათა არსებობისას.

1959-1961 წლებში მიღებული და ამჟამად მოქმედი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებიდან მხოლოდ სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლი ითვალისწინებს ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას, ისიც როცა საქმე შეეხება მარტოოდენ გამოგონებასა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას.

ბიუროკრატიზმი ამუხრუჭებს მასების შემოქმედებითს ინიციატივას, ხელს უშლის მოწინავეთა გამოცდილების, აგრეთვე რაციონალიზატორულ წინადადებათა პრაქტიკაში დროულ დანერგვას, რასაც უდიდესი ზიანი მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის. მაგალითად, მარტო 1975 წელს, — როგორც საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობაზე აღინიშნა, — პრაქტიკაში ვერ დაინერგა ახალგაზრდობის მიერ წამოყენებული 1450 რაციონალიზატორული წინადადება 2,5 მილიონი მანეთის ეკონომიკური ეფექტით.

ბიუროკრატიზმი ხელს უშლის მშრომელებს განახორციელონ საბჭოთა კონსტიტუციის მე-9 მუხლით მინიჭებული უფლება-აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვაში. ცალკეულ თანამდებობის პირთა ბიუროკრატიული დამოკიდებულება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი უდიდეს ზიანს აყენებს სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა კანონით მინიჭებული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

საანგარიშო მოხსენებაში სკკ XXIV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი, ეხებოდა რა ბიუროკრატიზმის საშიშროებას, აღნიშნავდა: „ისე არაფერი არ უცრუებს ადამიანს გულს, როგორც ცალკეულ მუშაკთა მოუფიქრებელი გადაწყვეტილებების, უთაურობისა თუ ბიუროკრატიზმის ფაქტები, რომელთა შედეგად

წყალში იყრება შრომა, საზოგადოებრივი დოვლათი, შექმნილი ფასეულობანი.¹⁸

ის, რომ ბიუროკრატიზმი სისხლის სამართლის კანონით დასასჯელ ქმედობად არ არის გამოცხადებული, ჩვენი აზრით, სწორი არ არის. ეს ბიუროკრატიზმის საზოგადოებრივი საშიშროების მკდარი შეფასების შედეგია.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი გულგრილი, ფორმალური და ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტებს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვხვდებით არა მარტო ცალკეული საწარმო-დაწესებულებების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამდებობის პირთა მხრივ, არამედ სახელმწიფო აპარატის პასუხსაგებ თანამდებობის პირთა საქმიანობაშიც.

„ბიუროკრატიზმი, — აღნიშნავდა ე. შევარდნაძე საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიში მოხსენებაში, — ახასიათებს ზოგიერთი ჩვენი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობასაც, რაც არათუ აჩვენებს ბრძოლას სოციალისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ, არამედ მორალურ-პოლიტიკურ ზიანსაც აყენებს საზოგადოებას“. ყრილობაზე ითქვა, რომ საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის ფაქტებს ვხვდებით სასამართლო ორგანოების საქმიანობაშიც. რომ სასამართლო ორგანოები „ექვს წელიწადს მოუწინდენ ერთი მარტივი სამოქალაქო საქმის განხილვას, მისი გარჩევა 65-ჯერ გადაიდო“. ფორმალიზმისა და საქმის გაჭიანურების მრავალ ფაქტს ჯერ კიდევ ადგილი აქვს სახელმწიფო მართვის ადგილობრივი ორგანოებს მუშაობაში. მარტო 1974 წელს ცენტრალურ კომიტეტში 32 ათასზე მეტი საჩივარი შევიდა საბჭოების აღმასკომების მუშაობის შესახებ.¹⁹

სსრ კავშირის პროკურატურის მონაცემებით, როგორც ეს სპეციალური ლიტერატურაშია მითითებული, მარტო 1968 წელს პროკურორების წარდგინებებითა და სასამართლოების დადგენილებებით, მთხვენელთა მიმართ უსულგულო და ბიუროკრატიული დამოკიდებულებისათვის, აგრეთვე საჩივრების განხილვის წესის დარღვევისათვის 2.000 პირმა დისციპლინური წესით აგო პასუხი.

საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის ფაქტებს ვხვდებით ადმინისტრაციული ორგანოებისა და თანამდებობის პირთა საქმიანობაშიც, რომელთაც თავიანთი ფუნქციებითა და სამსახურებრივი მოვალეობით ეკისრებათ დაიცვან და ებრძოლონ კანონის დარღვევას, დამნაშავეობას, საქმის გაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმს. მაგალითად, საკითხისადმი ფორმალური მიდგომის, კანონის დარღვევების, საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის ფაქტები დღესაც არის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში. ზოგჯერ იბინი გულისხმიერად არ ეყოლებიან მოქალაქეთა განცხადებებს, საჩივრებს, სივნალებს დანაშაულის შესახებ.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ გოგონა ს-ეს ლექციების დამთავრების შემდეგ, პირველი კორაუსის ვესტიბიულში, 1973 წლის 17 დეკემბერს, საღა-

¹⁸ ხუვა XXV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971, გვ. 84.

¹⁹ იხ. გაზეთი „კომუნისტი“, 1976 წლის 23 იანვარი, გვ. 9. სასამართლო ორგანოებში საქმეთა გაჭიანურებისა და ამით სახელმწიფოსათვის ეკონომიკური ზიანის მიყენების შესახებ იხილეთ M. Baze, Волокита с точки зрения экономической. «Советская юстиция», 1961, № 15.

მოს 7 საათზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მისთვის უცნობმა ვაჟმა. გოგონამ თავში ძლიერი დარტყმის შედეგად ტვინის შერყევა მიიღო. შინაგან საქმეთა მილიციის ორგანოებმა ამ ფაქტზე შემოსული მასალების შემოწმებას ერთ წელზე მეტი დრო მოანდომეს და 1975 წლის 13 თებერვალს გამოიტანეს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ. ამ ფაქტთან დაკავშირებით ს-ე რამდენიმეჯერ იქნა მილიციაში დაბარებული და მას მრავალი ახსნა-განმარტება ჩამოართვეს. დანაშაულის ფაქტის დამსწრე პირს, ხელიგნის ამხანაგს ქ-ს კი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ჩამოართვეს ახსნა-განმარტება. ამ გარემოებამ იმდენად იმოქმედა დაზარალებულ ს-ეზე, რომ მან 1975 წლის 5 ივნისს დაწერა შემდეგი განცხადება: „გთხოვთ საქმე შწყვიტოთ, ვინაიდან მე მილიციაში სიარული აღარ შემიძლიათ“. ასევე, ქ. თბილისის ა. ს. ჰუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ნ-ემ 1973 წლის 18 ივლისს განცხადებით მიმართა შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს იმის შესახებ, რომ მას იმავე ინსტიტუტის სტუდენტებმა თაღლითური გზით გამოსძალეს ოქროს ყელსაბამი. განცხადებაში მითითებულ ამ დანაშაულებრივ ფაქტზე, შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა თითქმის ორი წლის შემდეგ 1975 წლის 15 ივლისს გამოიტანეს დადგენილება არ აღეძრათ საქმე ამნისტიის აქტის გამო, ე. ი. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით (სსსკ 110-ე მუხ.) დადგენილი ათდღიანი ვადის ნაცვლად ორი წელი მოუხდნენ მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტზე შემოსული მასალების შემოწმებას და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადაწყვეტას.

ყოველივე ზემოაღნიშნული მეტყველებს, რომ უფრო ქმედითი ღონისძიებებია საჭირო საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გასაუმჯობესებლად, მის აღმოსაფხვრელად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა მოითხოვენ, რომ საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი კანონით მკაცრად ისჯებოდეს „მუშაკის არაეფექტურობის დიქტირება, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, ბიუროკრატიზმი გადაჭრით უნდა აღიკვეთოს და სასტიკად დაისაჯოს პიროვნებათა მიუხედავად“.²⁰

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას განიხილავს როგორც სახელმწიფო აპარატისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას. „საბჭოთა აპარატი, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში — უნდა იყოს მარტივი, კვალიფიციური, იაფი და ოპერატიული და არ უნდა იჩენდეს არავითარ ბიუროკრატიზმს, ფორმალიზმსა და საქმის გაჭიანურებას“.²¹ ამიტომ, როგორც ლ. ი. ბრეჟნევიმ აღნიშნა ქ. მოსკოვის ბაუმანის ოლქის ამომრჩეველებთან შეხვედრისას 1974 წლის 14 ივნისს, — ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ბიუროკრატიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1977 წლის 8 თებერვალს განიხილა „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრებლ განხილვის წესის შესახებ“ თავისი 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების პრაქტიკაში გამოყენების საკითხი და მიიღო დადგენილება, რომლის

²⁰ სკკპ პროგრამა, თბილისი, 1971, გვ. 152.

²¹ იქვე.

მესამე პუნქტში მითითებულია, რომ საჭიროა უზრუნველვყოთ კადრების აღზრდა ადამიანების მიმართ ფაქიზი დამოკიდებულების, მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრებისადმი საქმიანი მიდგომის, ვაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის ფაქტებთან შეუთრეგებლობის სულისკვეთებით; ვაკზარდოთ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის მკაცრად დაცვისათვის. იქვე მითითებულია, რომ მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის ვაჭიანურების, ბიუროკრატიული დამოკიდებულებისა და მათი განხილვის წესის დარღვევაში დამნაშავე თანამდებობის პირების მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს კანონით დადგენილი ზემოქმედების მკაცრი ღონისძიებანი.

ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა: კანონით დადგენილი რა სახის მკაცრი ღონისძიება შეიძლება გატარდეს საქმის გამჭვიანურებელთა და ბიუროკრატ თანამდებობის პირთა მიმართ, და როგორ, რა ხერხებითა და მეთოდებით უნდა წარმოებდეს ბიუროკრატიზმთან ბრძოლა?

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 92-ე მუხლით საქმის ვაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ძირითადად მინდობილი აქვთ სახალხო კონტროლის ორგანოებს. მაგრამ რა ღონისძიების ვატარება შეუძლიათ ამ ორგანოებს საქმის ვაჭიანურებასა და ბიუროკრატიზმში მხილებულ თანამდებობის პირთა მიმართ? ცხადია, მხოლოდ დისციპლინური. უკიდურეს შემთხვევაში მათ შეუძლიათ შესაბამისი ზემდგომი ორგანოს წინაშე აღარან უშუამდგომლობა ამ პირთა თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ჩვენი საზოგადოებისათვის ესოდენ მავნე, საშიში ქმედობისათვის ესოდენ ღმობიერი ღონისძიება საკმარისი არ არის.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 58-ე მუხლის თანახმად, საბჭოთა კავშირის მოქალაქეს უფლება აქვს თავისი უფლებების შემლახავი თანამდებობის პირის არასწორი მოქმედების შესახებ საჩივარი შეიტანოს სასამართლოში. ეს, ცხადია, მოქალაქეთა უფლებების დაცვის საუკეთესო ვარანტიია. მაგრამ დაუშვათ, რომ მოქალაქემ საჩივარი შეიტანა სასამართლოში რომელიმე თანამდებობის პირის მიერ საქმის ვაჭიანურების ან სხვა რაიმე ბიუროკრატიული მოქმედების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა: ასეთ შემთხვევაში რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მას და რა შეიძლება მოიმოქმედოს სასამართლომ? ცხადია, სასამართლოს არ შეუძლია აღძრას სასხლის სამართლის საქმე და შეუდგეს მის განხილვას, რადგან საქმის ვაჭიანურება, ბიუროკრატიზმი საქართველოს სსრ სასხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედობად არ არის გამოცხადებული, ანალოგიის გამოყენება კი მოქმედი კანონით დაუშვებელია. სასამართლოს შეუძლია მხოლოდ საკითხი დააყენოს შესაბამის ორგანოებში ამ თანამდებობის პირის დისციპლინური წესით დასჯის შესახებ. ვამოდის, რომ მოქალაქეთათვის კონსტიტუციით მინიჭებული ეს უფლება ფაქტიურად განუხორციელებელი რჩება.

ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაძლიერებისა და მისი აღმოფხვრის მიზნით საკმარისი არ არის მარტოდენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და ადმინისტრაციული ღონისძიებანი. მის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროა სასხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება და საქართველოს სსრ სასხლის სამართლის კოდექსში საქმის ვაჭიანურებისა და ბიუროკ-

რატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ავსახველი სპეციალური ნორმის შეტანა, რადგან, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის „ბიუროკრატები მარჯვენი არიან, მათგან ზევრი არამზადა უდიდესი გაიძვერაა. შიშველი ხელებით მათ ვერაფერს დააკლებ“.²²

საქმის გაჭიანურება და ბიუროკრატიზმი საზოგადოებრივი თვალსაზრისით ერთ-ერთი საშიში ქმედობაა, რომელიც უპირველესად ხელს უშლის სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას, სახელმწიფო აპარატისა და მართვის სისტემის მუშაობის გაუმჯობესებას და ცალკეულ მოქალაქეთათვის კანონით მინიჭებულ უფლებათა განხორციელებას. სადავო არ არის, რომ იგი ერთ-ერთი ხელშემწყობი წანამძღვარია ისეთ ბინძურ დანაშაულობათა ჩადენასა, როგორიც არის მექრთამეობა, გამოძალვა, თაღლითობა და სხვ.

ისევე, როგორც სხვა საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაული (თანამდებობის ბოროტად გამოყენება, ხელისუფლების გადამეტება, მექრთამეობა და სხვ.), ბიუროკრატიზმიც ხელყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ნორმალურ მუშაობას, ავტორიტეტსა და ღირსებას. მისი ჩადენის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი. ამასთან იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მართვის სისტემაში და საერთოდ მეურნეობის ნებისმიერ დარგში მომუშავე თანამდებობის პირთა მიერ. ამ ნიშნებით ბიუროკრატიზმი მიეკუთვნება საერთო სახის თანამდებობრივ დანაშაულობათა რიცხვს და, ჩვენი აზრით, გათვალისწინებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის თანამდებობრივ დანაშაულთა თავში ცალკე დანაშაულებრივ ქმედობად ან გაერთიანდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლში, რომელიც თავისი იურიდიული შემადგენლობით უფრო ახლოს დგას ბიუროკრატიზმისათვის დამახასიათებელ ნიშნებთან და მას ეწოდოს „თანამდებობრივი დაუდევრობა და ბიუროკრატიზმი“.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად ამ მუხლის რედაქცია შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: „თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი ან უსულგულო, ფორმალური, ბიუროკრატიული დამოკიდებულების შედეგად, რამაც გამოიწვია საქმის გაჭიანურება ან მნიშვნელოვანი ზიანი მიყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს“.

სისხლის სამართლის კოდექსით ბიუროკრატიზმის დანაშაულებრივ ქმედობად აღიარება არათუ არ ეწინააღმდეგება პარტიისა და მთავრობის პოლიტიკას, არამედ პირდაპირ გამომდინარეობს მისგან, იგი, შეიძლება ითქვას, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ლენინური პრინციპების ერთი-ერთი აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის სწორედ ასეთ დონისძიებებს მოითხოვდა ვ. ი. ლენინი დ. ი. კურსკისადმი გაგზავნილ წერილში, რომლითაც იუსტიციის სახალხო კომისარიატს ავალბდა: „მიღწეულ იქნეს დანაშაულებრივად შერცხვენა პრესაშიც და სასტიკი სასჯელითაც. ...ცენტრალური კომიტეტის მეშვეობით მოსამართლეებს მოეთხოვოთ, რომ საქმის გაჭიანურებას უფრო სასტიკად სჯიდნენ“.²³

²² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 521.

²³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 552—553.

სკკპ XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევი, ეხებოდა რა ბიუროკრატიზმთან ბრძოლას, აღნიშნავდა: „...ბიუროკრატიზმი და ადამიანისადმი გულგრილობა ეწინააღმდეგება თვით ჩვენი წყობილების არსს. ასეთ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა სრულად გამოვიყენოთ მშრომელი კოლექტივის აზრიც, პრესის კრიტიკული სიტყვაც, დარწმუნებიც მეთოდებიც კანონის ძალაც — ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალება“.²⁴

ბიუროკრატიზმის სისხლის სამართლებრივი წესით დასჯა ხელს შეუწყობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის განმტკიცებას, საქმეთა გაჭიანურების აღმოფხვრას. ამავე დროს საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ბიუროკრატიზმთან პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და სხვა საშუალებებით.

გაუჭოთხიანებლობის საკანონმდებლო განსაზღვრის სრულყოფისათვის

ა. მიქაძე,

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირის პასუხისმგებლობა დაკავშირებულია ბრალის პრინციპთან. საფუძვლების მესამე მუხლით პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება და სასჯელი დაედება მხოლოდ მაშინ, თუ მან განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. ეს პრინციპი მართებულიად რომ გატარდეს, საჭიროა ბრალის ფორმები—განზრახვა და გაუფრთხილებლობა ზუსტად იყოს განსაზღვრული კანონმდებლობით.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბრალის ერთ-ერთი ფორმის — გაუფრთხილებლობის ორივე სახის — თვითიმედოვნების და დაუდევრობის საკანონმდებლო განსაზღვრა არ არის სრულყოფილი.

საფუძვლების მე-9 მუხლით თვითიმედოვნების კომპონენტებს წარმოადგენს პირის მიერ თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება და ამ შედეგების თავიდან აცილების ქარაფშუტული იმედი. მაგრამ არის კი საკმარისი თვითიმედოვნების ეს ელემენტები ბრალის ამ სახის სრულყოფილი გაგებისათვის? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება თუ არა თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულის სუბიექტი დამნაშავედ ვცნოთ მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ თვითიმედოვნების დროს იგი ითვალისწინებდა თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას და ქარაფშუტულად იმედოვნებდა მათ აცილენას?

ჩვენი აზრით, არა. ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება — ეს თვითიმედოვნების ინტელექტუალური ელემენტია, რაც ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენის დროს პირი აცნობიერებდა, ითვალისწინებდა თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას. მაგრამ, როგორც ცნობილია, ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების მარტოდენ აცნობიერებისათვის, მათი დადგომის შესაძლებლობის მხოლოდ გათვალისწინებისათვის პირი არ შეიძლება ცნობილ იქნეს დამნაშავედ. ასევე არ შეიძლება დამნაშავედ ვცნოთ პირი მხოლოდ იმისათვისაც, რომ იგი ქარაფშუტულად იმედოვნებდა თავიდან აცილებინა დანაშაულებრივი შედეგები, რამდენადაც ასეთი იმედი ჯერ კიდევ ვერ იძლევა თვითიმედოვნების, როგორც ბრალის ერთ-ერთი სახის სრულყოფილ გაგებას. მართალია, ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება და მათი აცილების ქარაფშუტული იმედი გარკვეულ როლს ასრულებს თვითიმედოვნების დადგენის საქმეში, მაგრამ არც ერთი და არც მეორე, როგორც ითქვა, საკმარისი არ არის

იმისათვის, რათა პირი დამნაშავედ ვცნოთ თვითიმედოვნებით ჩადენილ დანაშაულში.


მაშ რომელია ის ფსიქიკური მომენტი, რომელიც წარმოადგენს თვითიმედოვნების სრულყოფილი გაგების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს და რით გამოიხატება იგი? იგი გამოიხატება ბრალის ამ სახით ჩადენილი დანაშაულის დროს წინდახედულების წესების შეგნებული დარღვევით. ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ის შედეგები, რომელთა დადგომის შესაძლებლობას ითვალისწინებდა პირი თვითიმედოვნების დროს და ქარაფშუტულად ვარაუდობდი მათ აცილებას, წარმოადგენს აღნიშნული ქმედობის თანამდეგ შედეგებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი შედეგების დადგომის დროს პირის ამა თუ იმ ნებელობითი მოქმედების ან უმოქმედობის მიზანია სულ სხვა, ძირითადი შედეგი, მაგრამ ასეთი მოქმედების ან უმოქმედობისა და მიზნის მიღწევისას პირს წინ ეღობება წინდახედულების წესები, რომლებიც მან არ უნდა დაარღვიოს, რადგან მას შეიძლება საზოგადოებრივად საშიში შედეგები მოჰყვეს.

ასეთი სიტუაციის დროს პირის წინაშე დაისმის ხოლმე კითხვა, დაარღვიოს წინდახედულების წესები და ამით მიაღწიოს დასახულ მიზანს, თუ ამ წესების დაცვისათვის უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე ან უმოქმედობაზე და ამდენად ვერც მიაღწიოს მისთვის სასურველ შედეგს. თუ პირი იღებს გადაწყვეტილებას დაარღვიოს წინდახედულების წესები, მის ცნობიერებაში მაშინვე წარმოიხატება ქმედობის თანამდეგი საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება, ხოლო შემდეგ მათი თავიდან აცილების იმედი, რომელიც პირს ამოქმედებს მისთვის საჭირო მიმართულებით, მაშასადამე, მოჰყავს სისრულეში მიღებული გადაწყვეტილება.

ამრიგად, ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინებას და მათი აცილების ქარაფშუტულ იმედს წინ უსწრებს წინდახედულების წესების შეგნებული დარღვევა, როგორც მათი წარმოშობის საფუძველი.

ის, რომ თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაული ყოველთვის უკავშირდება წინდახედულების წესების შეგნებულ დარღვევას და რომ მის დაურღვევლად პირის მოქმედება ან უმოქმედობა, ჩადენილი სხვა, ძირითადი შედეგის დადგომის მიზნით არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად და დასასჯელად, გაზიარებულია საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. „თვითიმედოვნებით მიყენებული მავნე შედეგებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საფუძველს, — ნათქვამია საბჭოთა სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში, რომელიც გამოცემულია მოსკოვში 1962 წელს, — წარმოადგენს ის, რომ პირი არღვევს ვალდებულებას იყოს ყურადღებიანი, მკაცრად დაიცვას წინდახედულების წესები“¹. „დანაშაულებრივი თვითიმედოვნება, როგორც ბრალის სახე, — ნათქვამია საბჭოთა სისხლის სამართლის სხვა სახელმძღვანელოში, რომელიც გამოცემულია ლენინგრადში 1960 წელს, — დამახასიათებელია ყოფა-ცხოვრებაში წინდახედულების წესების დაუცველობისათვის, ან იმ წესების დაუცველობისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს წარ-

¹ Советское уголовное право. Часть общая, М., 1962, стр. 151.



მოგების უსაფრთხოებას (ტექნიკის უსაფრთხოების წესები, ქუჩაში მოძრაობის წესები, ტექნიკური ექსპლუატაციის წესები და ა. შ.)“²

დასასრულ, წინდახედულების წესების შეგნებული დარღვევა რომ აუცილებელი პირობაა პირის დამნაშავედ ცნობისათვის თვითიმედოვნებით ჩადენილ დანაშაულში, ადასტურებს თვით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მთელი რიგი მუხლების დისპოზიციები, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი ამ წესების დარღვევის შესახებ. ასეთებია მუხლი 86-ე (მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა), მუხლი 146-ე (შრომის დაცვის წესების დარღვევა), მუხლი 241-ე (მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა იმ პირთა მიერ, რომლებიც მართავენ სატრანსპორტო საშუალებებს), მუხლი 242-ე (ტრანსპორტზე მოქმედი წესების დარღვევა), მუხლი 244-ე (სამშენებლო სამუშაოთა წარმოების წესების დარღვევა), მუხლი 245-ე (სამთო სამუშაოთა უსაფრთხოების წესების დარღვევა), მუხლი 246-ე (სახანძრო დაცვის წესების დარღვევა), მუხლი 247-ე (აფეთქების მხრივ საშიშ საწარმოებსა და სამქრობებში უსაფრთხოების წესების დარღვევა) და სხვ.

ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაული ყოველთვის დაკავშირებულია წინდახედულების წესების შეგნებულ დარღვევასთან და თუ ამ დანაშაულის ჩამდენ პირს ბრალად შეერაცხება აღნიშნული წესების დარღვევა, მაშინ წინდახედულების წესების შეგნებული დარღვევა დანაშაულებრივი თვითიმედოვნების კომპონენტად უნდა ვცნოთ და იგი უნდა გამოიხატოს ბრალის აღნიშნული სახის საკანონმდებლო განსაზღვრაში.

რა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს წინდახედულების წესების შეგნებული დარღვევის შეტანას თვითიმედოვნების ცნებაში?

ჩვენი აზრით, მისი თეორიული მნიშვნელობა მეტად დიდია. საქმე მართლაც არ არის, რომ თვითიმედოვნების დროს პირის პასუხისმგებლობა დაკავშირებულია წინდახედულების წესების შეგნებულ დარღვევასთან, არამედ ის რომ იგი თვითიმედოვნების, როგორც ბრალის ერთ-ერთი სახის, ძირითადი განმსაზღვრელი ფსიქიკური კომპონენტია. გარდა ამისა სხვა მხრივაც არ შეიძლება, რომ თვითიმედოვნების საკანონმდებლო განსაზღვრა არ შეიცავდეს წინდახედულების წესების შეგნებულ დარღვევას. როგორც ითქვა, სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ბევრი მუხლის დისპოზიცია პირდაპირ შეიცავს მითითებას დამნაშავე პირთა მიერ ამ წესების დარღვევის შესახებ. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ იგი არ შეიძლება არ აისახოს თვითიმედოვნების, როგორც ბრალის ერთ-ერთი სახის გვარობითი ცნების განსაზღვრაში, რაც მოცემულია საფუძვლების მე-9 მუხელში და საერთოა თვითიმედოვნებით ჩადენილ ყველა დანაშაულისათვის.

ასევე დიდია აგრეთვე მისი პრაქტიკული მნიშვნელობაც, რათა პირი დამნაშავედ ვცნოთ. ამას უპირველესად ადასტურებს ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა ავტოავარიის საქმეთა გამო. ცნობილია, რომ ავტოტექნიკუ-

² Советское уголовное право. Часть общая, Л., 1960, стр. 320; См. также, Курс советского уголовного права, М., 1970, т. 2, стр. 313; В. Г. Макашвили. Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, стр. 121 и др.

რი ექსპერტიზა მძღოლს ადანაშაულებს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ექსპლუატაციის იმ წესების დარღვევაში, რომლებიც ავტომანქანის მართვის დროს კანონის თანახმად მას უნდა დაეცვა. თუ დადგინდება, რომ მძღოლმა დაარღვია ზემოაღნიშნული წესები, მაშინ იგი დამნაშავედ იქნება ცნობილი,³ თუ არა და, მძღოლი თავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მიუხედავად დამდგარი მძიმე შედეგებისა. ამავე წესით წყვეტენ პირის ბრალეულობის საკითხს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები თვითიმედოვნებით ჩადენილ დანაშაულში და ასეთია, როგორც ზემოთ ითქვა, სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის იმ მუხლების მოთხოვნა, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი წინდახედულების წესების დარღვევის შესახებ.

მაგრამ ის გარემოება, რომ პირის პასუხისმგებლობა თვითიმედოვნების და, საერთოდ, გაუფრთხილებლობის დროს უშუალოდ დაკავშირებულია წინდახედულების წესების დარღვევასთან, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ამ წესების დარღვევის მომენტში პირი არ სჩადიოდეს განზრახ დანაშაულსაც. წინდახედულების წესების დარღვევისას პირს შეუძლია ჩაიდინოს დანაშაული როგორც პირდაპირი და არაპირდაპირი განზრახვით, ისე თვითიმედოვნებით და დაუდევრობითაც. მაგალითად, თუ წინდახედულების წესების დარღვევის დროს პირი თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობის ნაცვლად ითვალისწინებდა მათ გარდაუვალობას, მაშინ ჩვენ წინაშეა პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვა იმისდამიხედვით, სურდა დამნაშავეს ეს შედეგები, თუ შეგნებულად უშვებდა მათ დადგომას. ხოლო თუ ამ წესების დარღვევის მომენტში პირი ითვალისწინებდა თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ისინი, მაშინ დანაშაულის სუბიექტური მხარე შესაბამისად თვითიმედოვნება ან დაუდევრობაა.

უფრო მეტიც, განზრახ დანაშაულის დროს პირი ზოგჯერ სპეციალურად არღვევს წინდახედულების წესებს, რათა მიაღწიოს დანაშაულებრივი შედეგების დადგომას. მაგალითად, ავტომანქანის მძღოლი, რომელმაც მიზნად დაისახა სიცოცხლე მოუსპოს მისდამი მტრულად განწყობილ პირს, ავტომანქანით დასდევს მას, ხოლო ამ შედეგის დადგომის გულისათვის იგი არღვევს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესებს და ავტომანქანის დაჯახებით კლავს მას, რითაც განზრახ მკვლელობას სჩადის. ან კიდევ, პირი შეგნებულად არღვევს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ დოკუმენტებისადმი მოპყრობის დადგენილ წესებს იმ მიზნით, რომ ეს დოკუმენტები ხელთ იგდონ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილმა ელემენტებმა, რაც შეიცავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის — სამშობლოს ღალატის ნიშნებს და ა. შ.

ამრიგად, წინდახედულების წესების დარღვევა დამახასიათებელია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, მაგრამ მათ შორის არის სხვაობა, მაშინ, როდესაც წინდახედულების

³ გარდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედობისა.

წესების დარღვევა აუცილებელია ყველა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის, იგი არ არის აუცილებელი მთელი რიგი განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის. მეორეც, თუ გაუფრთხილებლობის დროს პირი პასუხს აგებს წინდახედულების წესების დარღვევისათვის, რომელსაც კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში შედეგები მოჰყვა, განზრახვის დროს კი პირი პასუხს აგებს თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების, სურვილისათვის, ან ასეთი შედეგების დადგომის შეგნებულად დაშვებისათვის. ამიტომ განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრა არ შეიცავს და არც საჭიროებს შეიცავდეს წინდახედულების წესების დარღვევას, ისე, როგორც ამას გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო განსაზღვრა მოითხოვს.

მაგრამ ხარვეზი დანაშაულებრივი თვითიმედოვნების საკანონმდებლო განსაზღვრაში მარტო ამით არ ამოიწურება. გარდა ამისა ამ განსაზღვრას აქვია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი — პირის ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათისადმი.

საფუძვლების მე-7 მუხლით როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით ჩადენილი ყოველი დანაშაულებრივი ქმედობა საზოგადოებრივად საშიში მოქმედება ან უმოქმედობაა. ამიტომ ბუნებრივია, ისმის კითხვა, შეგნებული აქვს თუ არა თვითიმედოვნების დროს დანაშაულის ჩამდენ პირს თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, თუ იგი იმყოფება მისი ცნობიერების ფარგლებს გარეთ?

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი ამ საკითხზე. კრიმინალისტთა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულის დროს პირს შეგნებული აქვს თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი.⁴ მეორე ჯგუფი ამტკიცებს, რომ თვითიმედოვნების დროს ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება არ არსებობს, რადგანაც იგი ნეიტრალდება იმ რწმენით, რომ დანაშაულებრივი შედეგები არ დადგება.⁵

ჩვენი აზრით, კრიმინალისტთა პირველი ჯგუფის შეხედულება სწორია და იგი მტკიცდება შემდეგი გარემოებით. როგორც ითქვა, თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაული ყოველთვის დაკავშირებულია წინდახედულების წესების შეგნებულ დარღვევასთან, ხოლო ამ წესების შეგნებული დარღვევა კი ქმედობას ყოველთვის საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებად ან უმოქმედებად აქცევს, მიუხედავად იმისა, მოჰყვება ამ დარღვევას კანონით გათვალისწინებული შედეგი თუ არა. ამის მაგალითია ამ ქმედობის ჩამდენ პირთა დასჯა ადმინისტრაციული წესით, მაგალითად, მძღოლისთვის ავტომანქანის მართვის უფლების ჩამორთმევა და ა.შ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ პირს, რომელიც განზრახ არღვევს წინდახედულების წესებს და ამით აქცევს თავის ქმედობას საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებად ან უმოქმედებად, ნამდვილად შეგნებული აქვს და არ შეიძლება

⁴ Курс советского уголовного права. М. 1970, т. 2, стр. 313; Б. А. Нурапов. Квалификация транспортных преступлений, М., 1965, стр. 170; Его же, автотранспортные преступления, М., 1970, стр. 113—114 и др.

⁵ К. Ф. Тихонов. К вопросу о разграничении форм виновности в советском уголовном праве. Правоведение, 1963, № 3, стр. 87; П. С. Дагель. Проблемы вины в советском уголовном праве. Ученые записки, вып. 21, ч. I, Владивосток, 1963, стр. 108—109; П. С. Дагель, Д. П. Котов. Субъективная сторона преступления и ее установление, Воронеж, 1974, стр. 129—130 и др.



შეგნებული არ ჰქონდეს ამ მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. ეკამათება რა კ. ფ. ტიხონოვს, რომელსაც მიაჩნია, რომ თვითიმედოვნების დროს პირს შეგნებული არა აქვს თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი,⁶ ბ. ა. კურინოვი სამართლიანად წერს: „წინდახედულების რომელიმე წესის შეგნებული დარღვევა ნიშნავს ამგვარი მოქმედების (უმოქმედობის) აკრძალვის შეგნებას, და ამავე დროს ასეთივე სახის ქცევის საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებას.“⁷

მაგრამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნების წარმოშობის საფუძველი თვითიმედოვნების დროს ამით არ ამოიწურება. მის წარმოშობას საფუძვლად უდევს აგრეთვე პირის მიერ თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება და ამ შედეგების აცილების ქარაფშუტული იმედი. მართალია, საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, როგორც აღვნიშნეთ, გამოითქვა მოსაზრება, რომ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება და მათი აცილების იმედი პირს საფუძველს აძლევს დასკვნას, რომ დანაშაულებრივი შედეგები არ დადგება და, მაშასადამე, მისი ქმედობა საზოგადოებრივად საშიში არ არის, მაგრამ ეს შეცდომაა.

საფუძვლების მე-9 მუხლის თანახმად, თვითიმედოვნების დროს პირი ითვალისწინებს თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის მხოლოდ შესაძლებლობას, ეს კი ნიშნავს, რომ ასეთი შედეგები შეიძლება დადგეს. მართალია, პირი იმედოვნებს, რომ ისინი არ დადგება, მაგრამ ამ იმედში არის გარკვეული რისკი, და, მაშასადამე დანაშაულის ჩამდენ პირს შეგნებული აქვს, რომ მისი ქმედობით იგი კანონით დაცულ ობიექტს საფრთხის წინაშე აყენებს და ამდენად, მისი მოქმედება საზოგადოებრივად საშიშია.

აკრიტიკებს რა ამ საკითხში ჩვენი აზრით, პ. ს. დაგელის მცდარ შეხედულებას, ბ. ა. კურინოვი სამართლიანად წერს: „თვითიმედოვნების არსი მოქმედების (უმოქმედობის) შეგნებულ ხასიათშია, ამასთან ასეთი ქცევა შეიცავს კანონით დაცული ინტერესებისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობას. სწორედ ამ გარემოებას აცნობიერებს დამნაშავე, როდესაც ეწევა რისკს და საფრთხეს უქმნის სხვა პირთა, საზოგადოების, სახელმწიფოს კანონით დაცულ ინტერესებს. დამნაშავეს ასეთი ფსიქიკური დამოკიდებულება ჩასადენი ქმედობისადმი სხვა არა არის რა, თუ არა პირის მიერ თავისი ქცევის საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება.“⁸

ჩვენი აზრით, პირის მიერ თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება შეტანილ უნდა იქნეს დანაშაულებრივი თვითიმედოვნების ცნებაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, მისი ფსიქიკური კომპონენტი.


რა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნების შეტანას დანაშაულებრივი თვითიმედოვნების ცნებაში?

განუზომლად დიდი. მისი თეორიული მნიშვნელობა ის არის, რომ, ჯერ ერთი, იგი ბრალის ყველა სახეს აერთიანებს საერთო დამახასიათებელი ნიშ-

⁶ К. Ф. Тихонов. К вопросу о разграничении форм виновности в советском уголовном праве. «Правоведение», 1963, № 3, стр. 87.

⁷ Б. А. Куринов. Автотранспортные преступления, М., 1970, стр. 113.

⁸ Б. А. Куринов. Автотранспортные преступления, М., 1970, стр. 113.



ნით — ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებით, ხოლო, მეორე მხრივ, კიდევ უფრო სრულყოფს თვითიმედოვნების, როგორც ბრალის ერთ-ერთი სახის სოციალ-პოლიტიკური არსის გაგებას საბჭოთა სისხლის სამართალში. ასევე დიდია აგრეთვე მისი პრაქტიკული ღირებულებაც. თუ ჩვენ დანაშაულებრივ თვითიმედოვნებას ამოვწურავთ მხოლოდ იმ კომპონენტებით რომლებიც ჩამოთვლილია საფუძვლების მე-9 მუხლში (ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინება და მათი აცდენის ქარაფშუტული იმედი), მაშინ პირი ყოველთვის უნდა გვეცნო სისხლის სამართლის დამნაშავედ, რაც უპირველეს რიგში ეწინააღმდეგება საფუძვლების მე-14 მუხლის მოთხოვნებს (უკიდურესი აუცილებლობა).

ცნობილია, რომ უკიდურესი აუცილებლობის დროს პირი ზოგჯერ შეგნებულად არღვევს წინდახედულების წესებს, ითვალისწინებს თავისი ქმედობის მაგნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას და ქარაფშუტულად იმედონებს მათ აცილებას. მაგრამ თუ მის ქმედობას მოჰყვება კანონით გათვალისწინებული შედეგი, რომელიც უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე თავიდან აცდენილი ზიანი, მაშინ მის მიერ ჩადენილი ქმედობა არ შეიძლება საზოგადოებრივად საშიში იყოს და, მაშასადამე, დანაშაულებრივი. უფრო მეტიც, იგი საზოგადოებრივად სასარგებლოც კი არის. მაგალითად, მძლოლი, რომელსაც მიჰყავს მძიმედ დაჭრილი საავადმყოფოში, სადაც მათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება უნდა გაუწიონ, შეგნებულად ავითარებს გადაჭარბებულ სიჩქარეს, არღვევს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების სხვა წესებსაც დაჭრილთა საავადმყოფოში დროზე მიყვანის მიზნით. არღვევს რა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესებს მძლოლი ითვალისწინებს თავისი ქმედობის მაგნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას და ქარაფშუტულად იმედოვნებს მათ აცილებას. მაგრამ მძლოლის იმედი არ მართლდება, ავტომანქანა ეჯახება მოქალაქეს და აშავებს მას. მძლოლი კი ყველაფერს იმის შეგნებით აკეთებს, რომ მის მიერ ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა არათუ საზოგადოებრივად საშიშია, არამედ საზოგადოებრივად სასარგებლოც კი არის. ამიტომ მძლოლს რომ იმის შეგნება არ ჰქონოდა, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედობა მოცემულ ვითარებაში საზოგადოებრივად სასარგებლოა, მაშინ იგი არ განავითარებდა გადაჭარბებულ სიჩქარეს, არ დაარღვევდა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების სხვა წესებსაც, უამისოდ კი დაგვიანებით მიიყვანდა მძიმედ დაჭრილ პირებს საავადმყოფოში.

როგორც წესი, ამ თვალსაზრისზე დგას სასამართლო პრაქტიკა. მაგალითად, ყაზახეთის სსრ ჩისტოპოლსკის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ შმიკი მსჯავრდადებულ იქნა ამავე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 217-ე (ავტოტრანსპორტის მოძრაობის და ექსპლუატაციის წესების დარღვევა) და 221-ე (მიმოსვლის საშუალებათა თვითნებური გატაცება) მუხლებით. იგი დამნაშავედ ცნეს იმაში, რომ 1965 წლის 29 ივნისს თვითნებურად გაიტაცა მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობის „ილტინსკის“ კუთვნილი სახანძრო ავტომანქანა უცხო პირთა მიერ მძიმედ ნაცემი მოქ. მიხალკინის საავადმყოფოში სასწრაფოდ მიყვანის მიზნით, რომელიც მოძრაობის დროს გადააბრუნა და მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობას 611 მანეთის ზარალი მიაკენა.

შმიკის მიმართ სახალხო სასამართლოს განაჩენი უცვლელად ძალაში დატოვა კოქჩეტაევსკის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ. ყაზახეთის სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტით ამავე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა სახალხო სასამართლოს განაჩენი და საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედობის (მიმოსვლის საშუალებათა თვითნებური გატაცება) ნაწილში და საქმე წარმოებით შეწყვიტა შმიკის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 217-ე მუხლით (ავტოტრანსპორტის მოძრაობის და ექსპლუატაციის წესების დარღვევა) მსჯავრდების ნაწილში განაჩენი და განჩინება სწორად ცნო.

შემდგომში, დააკმაყოფილა რა ყაზახეთის სსრ უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტი, ამავე სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა სასამართლო ორგანოების ყველა გადაწყვეტილება შმიკის მიმართ და საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 217-ე მუხლით გათვალისწინებულ მსჯავრდების ნაწილში წარმოებით შეწყვიტა მის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო. ეს პრეზიდიუმმა იმით დაასაბუთა, რომ შმიკი ავტოტრანსპორტის მოძრაობის და ექსპლუატაციის წესების დარღვევის დროს მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, რაც უცნობ პირთა მიერ მძიმედ ნაცემი მოქ. მიხალკინის საავადმყოფოში სასწრაფოდ მიყვანით გამოიხატა.

იხელმძღვანელა რა ყაზახეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლის მოთხოვნებით (უკიდურესი აუცილებლობა) და საქმის გარემოებებით, უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმმა აღნიშნა: „ამრიგად, უნებართვოდ გაიტაცა რა ავტომანქანა, შმიკი მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, მიხალკინის საავადმყოფოში მიყვანის და მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით. სოფ. ჩისტაპოლიეში, სადაც საავადმყოფო იყო. შმიკმა, რომელსაც არ ჰქონდა მანქანის მართვის სათანადო გამოცდილება, მოახდინა ავარია. ასეთ გარემოებათა დროს შმიკის მიერ ავტომანქანის მოძრაობის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევა გამორიცხავს საზოგადოებრივ საშიშროებას და მის მოქმედებას არ შეიძლება მოჰყვეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. თუმცა შმიკის მოქმედება შეიცავს ყაზახეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 217-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ყაზახეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად არ წარმოადგენს დანაშაულს“⁹.

ეს მაგალითი, მოწმობს, რომ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში წინდახედულების წესების დარღვევის დროს პირს ნამდვილად შეგნებული აქვს თავისი ქმედობის საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათი. მაგრამ შეგნებული აქვს რა ეს, ამასთან ერთად მას არ შეიძლება არ ესმოდეს ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათიც სხვა პირობებში, ვინაიდან თუ პირს არ ესმის ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ისე იგი ვერ გაიგებს ამ ქმედობის საზოგადოებრივად სასარგებლო ხასიათს.

⁹ См. Бюллетень Верховного Суда СССР, 1965, № 6, стр. 47 и др.

ამრიგად, არსებობს ყველა საფუძველი ვამტკიცოთ, რომ წინდახედულების წესების შეგნებულ დარღვევასთან ერთად ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება ყოველთვის არსებობს თვითიმედოვნების დროს და ამიტომ იგი უნდა აისახოს ბრალის ამ სახის საკანონმდებლო განსაზღვრაში.

სერიოზულ ხარვეზებს შეიცავს აგრეთვე გაუფრთხილებლობის მეორე სახის — დაუდევრობის საკანონმდებლო განსაზღვრაც. საფუძვლების მე-9 მუხლით დაუდევრობა იმით გამოიხატება, რომ, მართალია პირი დანაშაულის ჩადენის დროს არ ითვალისწინებდა თავის ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო გაეთვალისწინებინა ისინი.

დანაშაულებრივი დაუდევრობის ასეთი განსაზღვრა არც სწორია და არც სრულყოფილი. სწორი არ არის პირის დანაშაუდ ცნობა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი არ ითვალისწინებდა რა თავის ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო გაეთვალისწინებინა ისინი, რამდენადაც ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების მხოლოდ გათვალისწინებისათვის პირი, როგორც ზემოთ ითქვა, არ შეიძლება ცნობილ იქნეს დანაშაუდ სრულყოფილი არა არის დაუდევრობის საკანონმდებლო განსაზღვრა იმიტომ, რომ იგი არ შეიცავს ბრალის ამ სახის ისეთ ფსიქიკურ კომპონენტს, რომლის საშუალებითაც პირი შეიძლებოდა დანაშაუდ გვეცნო მის მიერ ჩადენილი ქმედობისთვის.

მაგრამ, რა არის ის ფსიქიკური მომენტი, რომელიც არსებითად განსაზღვრავს პირის ბრალეულობას დანაშაულებრივი დაუდევრობის დროს?

როგორც ითქვა, გაუფრთხილებლობის მეორე სახეს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში ეწოდება დანაშაულებრივი დაუდევრობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრალის ამ სახის დანაშაულის ჩადენის დროს პირი ყოველთვის ავლენს დაუდევარ ფსიქიკურ დამოკიდებულებას, მაგრამ რის მიმართ?

ამ კითხვას რომ პასუხი გაცეცთ უწინარეს ყოვლისა საჭიროა გავარკვიოთ, რატომ არ ითვალისწინებდა პირი თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას დანაშაულებრივი დაუდევრობის დროს. იძლევა რა დაუდევრობის განსაზღვრას, კანონმდებელი არ მიუთითებს ამ გარემოებაზე, არ ლაპარაკობს იმ მიზეზების შესახებ, რომლებიც თავის მხრივ განსაზღვრავს პირის მიერ თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობას, რაც, ჩვენი აზრით, კანონის ხარვეზია.

მაგრამ რომელია ეს მიზეზები? ჩვენ მივაჩნია, რომ დაუდევრობის საკანონმდებლო განსაზღვრაში მოცემულ გამოთქმას — „პირი არ ითვალისწინებდა თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ისინი“ — ლოგიკური აუცილებლობით მიეყვარათ ამ გაუთვალისწინებლობის წინა პერიოდამდე, სადაც უკვე ნათლად ჩანს ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობის რეალური მიზეზები, რაც გამოიხატება თავისი მოვალეობისადმი, სხვა პირთა ინტერესებისადმი, საზოგადოების ინტერესებისადმი და ა.შ. პირის დაუდევარი დამოკიდებულებით. ამ გარემოებათა მიმართ სწორედ

ასეთი უპასუხისმგებლო, დაუდევარი ფსიქიკური დამოკიდებულებაა წინაპირობა, რომელიც განაზღვრავს პირის მიერ თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობას დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულის დროს.

აღსანიშნავია, რომ ასეთივე შეხედულებები გამოთქმულია საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაშიც. „შედეგების გაუთვალისწინებლობა დანაშაულებრივი დაუდევრობის დროს განსაზღვრულ პირობებში, — ნათქვამია მაგალითად, საბჭოთა სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში, რომელიც გამოცემულია მოსკოვში 1972 წელს, — მოწმობს პირის დაუდევრობას კანონის მოთხოვნისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი, სხვა პირთა ინტერესებისადმი“.¹⁰ „დანაშაულებრივი დაუდევრობის დროს, — წერს აგრეთვე პ.ს. დაგელი, — პირი, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების, არასაკმარის მზრუნველობისა და წინდახედულების გამო საერთოდ ვერ ითვალისწინებს მავნე შედეგის დადგომის შესაძლებლობას, რის გამოც ჩადის საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას ან უმოქმედობას. შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობა და ვალდებულება იმას მოწმობს, რომ საქმისადმი ყურადღებიანი, მზრუნველი დამოკიდებულების დროს პირი გაითვალისწინებდა ამ შედეგებს და ან აღვეთდა მათ დადგომას, ანდა თავს შეიკავებდა საშიში ქმედობის ჩადენისაგან“.¹¹

ამრიგად, დაუდევრობით ჩადენილ დანაშაულში პირის დაუდევარი ფსიქიკური დამოკიდებულება გამოიხატება მხოლოდ მისი მოვალეობისადმი, საზოგადოების, სხვა პირთა ინტერესებისადმი და ა.შ. ზერელე და გულგრილი დამოკიდებულებით, რის გამოც იგი ვერ ითვალისწინებს თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას და სჩადის დანაშაულს.

ამის საფუძველზე ჩვენ მიგვაჩნია, რომ პირის დაუდევარი ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი მოვალეობისადმი, საზოგადოების ინტერესებისადმი და ა.შ. უნდა გამოიხატოს დაუდევრობის საკანონმდებლო განსაზღვრაში, როგორც ბრალის ამ სახის ძირითადი არსებითი ნიშანი.

რა თეორიული და პრაქტიკული ასპექტები აქვს ამ მომენტს დანაშაულებრივი დაუდევრობის ცნებისათვის? მისი თეორიული მნიშვნელობა დიდია. როგორც არაერთხელ თქმულა, ბრალის ეს სახე საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში იწოდება დანაშაულებრივ დაუდევრობად, მაგრამ საკანონმდებლო განსაზღვრაში არ არის ნათქვამი რით გამოიხატება ბრალის ამ სახის დანაშაულის ჩამდენი პირის დაუდევრობა. პირის დაუდევარი ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი მოვალეობისადმი, საზოგადოების ინტერესებისადმი და ა.შ. ბრალის ამ სახის მთავარი და გადაწყვეტი ნიშანია, რამდენადაც სწორედ იგი მიუთითებს, თუ რით გამოიხატება დამნაშავე პირის ბრალი და რატომ არ გაითვალისწინა მან თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობა და ჩაიდინა დანაშაული. სწორედ ამ დაუდევარი ფსიქიკური დამოკიდებულებით ღებულობს ბრალის ეს სახე დანაშაულებრივი

¹⁰ Советское уголовное право. Часть общая. М., 1972, стр. 171—172.

¹¹ П. С. Дагель. Проблемы вины в советском уголовном праве. Ученые записки, выпуск 21, часть 1, Владивосток, 1968, стр. 117. См. также, П. С. Дагель Д. П. Котов. Субъективная сторона преступления и ее установление. Воронеж, 1974, стр. 143—144. В. Г. Макашвили. Уголовная ответственность за неосторожность. М., 1957, стр. 123.

დაუდევრობის სახელწოდებას. ამიტომ მისი დანაშაულებრივი დაუდევრობის საკანონმდებლო განსაზღვრაში შეუტანლად არ შეიძლება სრულყოფილად ჩაითვალოს ბრალის ამ სახის ცნება საბჭოთა სისხლის სამართალში.

დიდა აგრეთვე მისი პრაქტიკული მნიშვნელობაც, რაც არაერთხელ აღუნიშნავთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმსა და სხვა ზემდგომ სასამართლო ორგანოებს. „ბრალდება დაუდევრობის დროს, — ნათქვამია, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის ერთ-ერთ დადგენილებაში, — არ შეიძლება ცნობილ იქნეს დასაბუთებულად, თუ საქმის გამო დადგენილი არ არის თანამდებობის პირის დაუდევარი დამოკიდებულების ფაქტი თავისი მოვალეობისადმი“.¹² ამიტომ თუ დაუდევრობას მხოლოდ ისე, გავიგებთ როგორც ეს საფუძვლების მე-9 მუხლშია მოცემული, მაშინ დაუდევრობით ჩადენილი ქმედობის სუბიექტს შეუძლია დააყენოს საკითხი სასამართლოს წინაშე, რომ იგი საფუძვლების მე-9 მუხლით დამნაშავედ იცნონ არა მისი დაუდევარი დამოკიდებულების გამო თავისი მოვალეობისადმი, საზოგადოების ინტერესებისადმი და ა.შ., რასაც კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში შედეგები მოყვება, არამედ მარტოოდენ იმისათვის, რომ იგი, არ ითვალისწინებდა რა თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო გაეთვალისწინებინა ისინი რითაც, როგორც უკვე ითქვა, არ შეიძლება სრულყოფილად იქნეს დადგენილი პირის ბრალეულობა დანაშაულებრივი დაუდევრობის დროს.


უფრო მეტიც, პირმა, რომელსაც ბრალი ედება დაუდევრობით ჩადენილ დანაშაულში, შეუძლია სასამართლოში განაცხადოს, რომ იგი ითვალისწინებდა თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, რისი გაუთვალისწინებლობისათვისაც მიცემულია სამართალში და მოთხოვოს მას დაუსაბუთონ, თუ რისთვის უნდა დაისაჯოს იგი კანონის მიხედვით, რაც, ბუნებრივია, გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებდა სასამართლოს. გარდა ამისა, დანაშაულებრივი დაუდევრობის ცნებაში ზემოაღნიშნული მომენტის შეტანას სხვა მნიშვნელობაც აქვს. იგი ხელს უწყობს მოქალაქეთა აღზრდას იყენენ ყურადღებიანი თავიანთი მოვალეობის შესრულებისადმი და, ამრიგად, არ დაუშვან ისეთი ქმედობის ჩადენა, რასაც შეიძლება კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომა მოჰყვეს.

მაგრამ დანაშაულებრივი დაუდევრობის საკანონმდებლო განსაზღვრის ხარვეზი მარტო ამით არ ამოიწურება. როგორც უკვე ითქვა, დანაშაულებრივი ქმედობა ბრალის ამ სახის დროსაც საზოგადოებრივად საშიშია. მაგრამ შეგნებული აქვს თუ არა პირს დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულის დროს ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი?

დაუდევრობის საკანონმდებლო განსაზღვრაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში კი ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. ო.ს. იოფეს მიაჩნია, რომ დაუდევრობის დროს პირს შეგნებული აქვს თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი.¹³ სხვები ამტკიცე-

¹² См. Бюллетень Верховного Суда СССР, 1971, № 5, стр. 16; См. также, Бюллетень Верховного Суда СССР, 1970, № 3, стр. 45 и др.

¹³ О. С. Иоффе. Ответственность по советскому гражданскому праву. Л., 1955, стр. 120.



ბენ, რომ ბრალის ამ სახის დროს ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება გამორიცხულია¹⁴.

ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი შეხედულება სწორია, რამდენადაც ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათს პირი ძირითადად აცნობიერებს იმ საფუძველზე, მოსდევს თუ არა მის ქმედობას საზოგადოებრივად საშიში შედეგები, და რამდენადაც დაუდევრობის დროს პირი არ ითვალისწინებს თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, ამდენად მას არც აქვს შეგნებული ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირის მიერ თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნების საკითხი არ იქნეს ცნობილი დაუდევრობის, როგორც ბრალის ერთ-ერთი სახის შემადგენელ ელემენტად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იგი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს დაუდევრობის შემადგენელი ელემენტი, თუ დანაშაულის ჩამდენი პირი ვალდებული იყო და შეეძლო შეეგნო თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. ამ მომენტის შეტანას კი დაუდევრობის საკანონმდებლო განსაზღვრაში დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს არსებითად ისევე, როგორც ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნების შეტანას აქვს მნიშვნელობა თვითიმედოვნების საკანონმდებლო განსაზღვრაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე დანაშაულებრივი გაუფრთხილებლობა, ჩვენი აზრით, უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მისი ჩამდენი პირი, არ დევდა რა წინდახედულების წესებს, შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას ან თავისი მოვალეობისადმი, საზოგადოების და სხვა პირთა ინტერესებისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო შეგნებული არ ჰქონდა მის მიერ ჩასადენი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და არ ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიში შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ვალდებული იყო და შეეძლო კიდევ შეეგნო და გაეთვალისწინებინა ისინი.

გაუფრთხილებლობის ასეთი გაგება საბჭოთა სისხლის სამართალში, ჩვენი აზრით უფრო სრულყოფილია და მას შეუძლია გარკვეული როლი შეასრულოს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში.

¹⁴ Курс советского уголовного права. Часть общая, Л., 1968, т. I, стр. 429—430; Советское уголовное право. Общая часть, М., 1974, стр. 165; Советское уголовное право. Общая часть, М., 1977, стр. 185—186; В. Г. Макашвили. Уголовная ответственность за неосторожность, М., 1957, стр. 178; К. Ф. Тихонов. К вопросу о разграничении форм виновности в советском уголовном праве. «Правоведение», 1963, № 3, стр. 89; И. С. Самощенко. Понятие правонарушения, М., 1963, стр. 148—149 и др.



რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკა რეციდივულ დანაშაულობათა საქმეებზე

ბ. სულაგა,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

რეციდივული დანაშაულის საქმეთა შესწავლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის სასამართლოებში გაუმჯობესდა ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის ხარისხი. სასამართლოებს წინა წლებთან შედარებით უფრო ნაკლები შეცდომები მოსდით რეციდივული დანაშაულის კანონმდებლობის გამოყენების დროს, ძირითადად სწორად განსაზღვრავენ სასჯელის ზომასა და შრომა-გასწორების დაწესებულებათა სახეობას, ახორციელებენ პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ ღონისძიებებს ასეთ დანაშაულობათა თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის მიზნით.

მიუხედავად ამისა, სასამართლო ორგანოები მთელი სიმტკიცით და თანამიმდევრულად არ ეწევიან რეციდივულ დანაშაულობასთან ბრძოლას, რაც ამცირებს უკვე გნხორციელებული ზომების ეფექტიანობასა და ხელს არ ეწყობს ამ სახეობის დანაშაულის მნიშვნელოვნად შემცირებას.

სასამართლოებში ხშირად საქმის განხილვის დროს გულდასმით არ იკვლევენ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მიზეზებს, ხელშემწყობ პირობებს, ადრე ჩადენილი დანაშაულის ხასიათს, იმას, თუ რატომ არ მუშაობდა სამართალში მიცემული, როგორი ოჯახური მდგომარეობა ჰქონდა, რა ცხოვრებას ეწეოდა, რამ განაპირობა დანაშაული და სხვა.

ზოგჯერ სასამართლო დაუსაბუთებლად ღმობიერ სასჯელს უფარდებს იმ პირებს, რომლებიც წარსულში მრავალჯერ არიან მსჯავრდებულნი და კვლავ ჩაიდინეს დანაშაული. მაგალითად, მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1976 წლის 23 ნოემბერს ს. მატვეევს ბრალი დასდო საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის მეორე ნაწილით, 150-ე მუხლის მეორე ნაწილით და შეუფარდა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მეცხრე რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. ს. მატვეევმა 1976 წლის 14 ივლისს ნასვამმა, ტექნიკური ხერხის, კერძოდ, რკინის ნაჭრის გამოყენებით გატეხა ქ. მახარაძეში მცხოვრებ მოქალაქე ნ. შ-ს საკუჭნაო, საიდანაც მოიპარა 363 მანეთის სხვადასხვაგვარი დაკონსერვებული პროდუქტები და ნივთები. ამის გარდა, ს. მატვეევმა 1976 წლის 4 აგვისტოს მახარაძის რაიონის სოფელ ბაილეთის ჩაის ფაბრიკის ტერიტორიაზე ჩაიდინა ბოროტი ხულიგნობა, მთვრალი უმიზეზოდ აუხირდა ჩაის ფაბრიკის მუშას ლ. ს-ს, აგინა და ხელი გაარტყა სახეში. ხულიგნობა 15—20 წუთს გრძელდებოდა და მხოლოდ მილიციის მუშაკების ჩარევის შემდეგ აღიკვეთა.

სახალხო სასამართლომ არ გაარკვია დანაშაულის ჩადენის მიზეზი, ის, თუ რატომ არ მუშაობდა სამართალში მიცემული. ამის თაობაზე სასამართლოს ს. მატვეევისათვის შეკითხვაც არ მიუცია. სასამართლო არ დაინტერე-

სებულა აგრეთვე იმით, ხორციელდებოდა თუ არა ადმინისტრაციული ზედამხედველობა ს. მატვევისადმი და სხვ.

სახალხო სასამართლოს განაჩენში ნათქვამია, რომ „ს. მატვევი წარსულში ნასამართლევა ორჯერ ბოროტი ხულიგნობისათვის, დანაშაული ჩაიდინა სიმთვრალეში. რომ დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი, რაც მის მიერ ანაზღაურებული არ არის“. შემამსუბუქებელ გარემოებად სასამართლომ მიიჩნია ის, რომ იგი მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობას სავსებით ადასტურებს“.

ს. მატვევის 1972 წლის 4 თებერვლის განაჩენით საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის მეორე ნაწილით მიესაჯა 1 წლისა და 6 თვის თავისუფლების აღკვეთა. ნასამართლობა მას მოხსნილიც არ ჰქონდა, რომ კვლავ ჩაიდინა ბოროტული ხულიგნობა, აგრეთვე, ქურდობაც. ყოველივე ამის გათვალისწინებით ს. მატვევის მიმართ შეფარდებული სასჯელი ლმობიერად უნდა იქნეს მიჩნეული.

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ 1976 წლის 2 დეკემბრის განაჩენით ჯ. ალავიძეს საქართველოს სსკ 17,105 მუხლით და სსკ 112 მუხლის I-ლი ნაწილით მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

სახალხო სასამართლოს განაჩენით ჯ. ალავიძეს მსჯავრი დაედო შემდეგში: 1976 წლის 20 ივლისს, დაახლოებით 19 საათზე ქ. თბილისში, სამტრედიის ქუჩაზე, შეელაპარაკა და ეჩხუბა კ-ს. იქვე მყოფმა პირებმა ისინი გააშველეს.


რამდენიმე ხნის შემდეგ დაზარალებულ მ. კ-სთან, რომელიც სახლიდან გამოვიდა და სასურსათო მაღაზიაში პროდუქტების საყიდლად მიდიოდა, მივიდა ჯ. ალავიძე, შეაჩერა და ჰკითხა: რატომ გამარტყიო, ამოიღო დანა და განზრახ მოკვლის მიზნით ჩაარტყა მუცლის არეში, რითაც მ. კ-მ მიიღო სიცოცხლისათვის საშიში დაზიანება. გ-ს, რომელიც ცდილობდა მ. კ-ს წაყვანას. ჯ. ალავიძემ დანა დაარტყა თედოს მიდამოში და მიაყენა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოშლით.

სახალხო სასამართლომ განაჩენში აღნიშნა: — სასამართლო სამართალში მიცემულისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს მხედველობაში ღებულობს თვითონ დაზარალებულის აგრესიულ ხასიათს სიმთვრალეში, რასაც ადასტურებს თავისი მეუღლე, მის ნაწილობრივ ინიციატივას, რაც დასტურდება მოწმეების მერკვილაძის, ქეზაძის, ვორონინას და გოქაძის ჩვენებით, რამაც ნაწილობრივ ხელი შეუწყო ჩხუბის არასასამართლო შედეგით დამთავრებას და იმას, რომ სამართალში მიცემულმა ჭრილობა მიაყენა ერთზელ“.

სახალხო სასამართლოს ეს მოსაზრებანი უსაფუძვლოა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თავდაპირველად ინციდენტის წამომწყები იყო მსჯავრდებული ჯ. ალავიძე. შესაძლებელია დაზარალებული სხვა დროს სიმთვრალეში მართლაც ამჟღავნებდეს აგრესიულობას, მაგრამ ამ შემთხვევაში მას ეს არ გამოუმყდვენებია, არც მის მეუღლეს ამის შესახებ არაფერი განუცხადებია წინასწარ გამოძიებაში ან სამსჯავრო სხდომაზე.

ვინაიდან სახალხო სასამართლომ ჯ. ალავიძე დამნაშავედ ცნო სსკ 17, 105 მუხლით, არსებითი მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა იმას, რომ მან დაზარალებულს ჭრილობა ერთზელ მიაყენა.



სახალხო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ჭრილობა მიყენებულია მუცლის ღრუში და დაზარალებულს დაუზიანდა ღვიძლი, რომ ჯ. ალავიძემ ასევე დანა დაარტყა მოქალაქე გ. ო-ს თეძოს არეში და მიაყენა მსუბუქი ზრისის დაზიანება ჯანმრთელობის მოშლით. მას გარდა ჯ. ალავიძე 1961 წელს მსჯავრდებული იყო საქართველოს სსრ სსკ 91-ე მუხლის მესამე ნაწილით და მისჯილი ჰქონდა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდის დროს მან კვლავ ჩაიდინა დანაშაული, რისთვისაც 1963 წელს საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის I-ლი ნაწილით და სსკ 228-ე მუხლის მეორე ნაწილით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც დაემატა 1961 წლის 27 აპრილის განაჩენით მოუხდელ სასჯელს. ასეთ პირობებში ჯ. ალავიძის მიმართ გამოტანილი სასჯელი ლმობიერია. სსკ 105-ე მუხლი ძირითადი სასჯელის გარდა ითვალისწინებს გასახლებას ხუთ წლამდე ვადით ან უამისოდ, სახალხო სასამართლოს კი განაჩენის დადგენის დროს ამაზე არც უმსჯელია. აღსანიშნავია, რომ საქმის განხილვის მონაწილე სახელმწიფო ბრალმძებელმა მოითხოვა ჯ. ალავიძეს შეფარდებოდა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო შემდეგ გამოტანილი ლმობიერი განაჩენი არ გააპროტესტა.

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ 1976 წლის 6 ივლისს განიხილა ა. გუმბატოვის ბრალდების საქმე საქართველოს სსრ სსკ 165-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიუსაჯა მას ორი წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. ა. გუმბატოვს მსჯავრი დაედო იმისათვის, რომ სასპეკულაციოდ შეიძინა 1280 მანეთი ღირებულების ხუთ ტონაზე მეტი საზამართო, მას აღმოაჩნდა ნავაჭრი თანხა 587 მანეთი.

პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენი (მოსამართლე — თ. შანიძე), საკასაციო წესით გაპროტესტებულ იქნა პირველი მაისის რაიონის პროკურორის მიერ. პროტესტი განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ და 1976 წლის 27 ივლისის განაჩენი ა. გუმბატოვის მიმართ გააუქმა ლმობიერი სასჯელის გამო. საქმე ხელმეორედ იქნა განხილული 1976 წლის 9 ოქტომბერს და ა. გუმბატოვს მიესაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით!

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ 1977 წლის 25 მაისის განაჩენით ჯ. ლალაძე დამნაშავედ ცნო საქართველო სსრ სსკ 252-ე მუხლის მესამე ნაწილით და მიუსაჯა 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სახალხო სასამართლოს განაჩენით ჯ. ლალაძე მსჯავრდებულ იქნა, იმისათვის, რომ უკანონოდ იძენდა ნარკოტიკულ ნივთიერებებს. მას აღმოაჩნდა 1 აშშულა მორფი და 1,2 გრამი ჰაშიში. სასამართლომ არ გამოარკვია დანაშაულის ჩადენის მიზეზი, მსჯავრდებულის სქმიანობა და მას შეუფარდა ლმობიერი სასჯელი. სახალხო სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას მხე-

1 ა. გუმბატოვი წარსულში რამდენჯერმე იყო გასამართლებული, მაგრამ აქ მას არ ვუთითებთ იმის გამო, რომ წინამდებარე მაგალითისათვის ამ ფაქტს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. სტატიაში მოყვანილია სხვა მაგალითებიც, სადაც ასევე არ არის მითითებული პირის წარსულში ნასამართლობა, რადგან საკითხის იმ ასპექტის გასაშუქებლად, რაც ჩვენს მიზანს შეადგენს, მას ასევე მნიშვნელობა არა აქვს.

დევლობაში მიიღო ის რომ, „ჯ. ლაღაძე გულწრფელად ინანიებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, რომ იგი დაადგა გამოსწორების გზას, ჩაბმულია საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, არის ახალგაზრდა“.

სახალხო სასამართლოს მოსაზრებანი არ გამომდინარეობს შეკრებილი მასალებიდან. სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ ჯ. ლაღაძე მუშაობს თბოფიკაციის სამმართველოში, განაჩენში კი ნათქვამია, რომ იგი დასუფთავების ტრესტის მუშაა. საქმეში არ არის ცნობა სამუშაო ადგილიდან, ამიტომ გაუგებრია, რით გამოიხატა ჯ. ლაღაძის საზოგადოებრივ სასარგებლო შრომა.

ჯ. ლაღაძე აღრე ორჯერ იყო გასამართლებული: ერთხელ ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვოდ ტარებისათვის, ხოლო მეორედ — მოქალაქეთა გაქურდვისათვის.

ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლომ 1976 წლის 2 აპრილს განიხილა გ. ახალაიას და ი. ვადელიას ბრალდების საქმე საქართველოს სსრ სსკ 111 მუხლის I-ლი ნაწილით, 152 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტით, 238-ე მუხლის I-ლი ნაწილით, 263 მუხლის I-ლი ნაწილით და 241-ე მუხლის I-ლი ნაწილით.

სახალხო სასამართლოს განაჩენით გ. ახალაიას და ი. ვადელიას მსჯავრი დაედოთ შემდეგში: 1975 წლის 30 მარტს დაახლოებით 17 საათზე მთვრალეები ჩასხდნენ მოქალაქე მ. ვის „ვაზ-2101“ ავტომანქანაში, რომელსაც ნ. გ.-ა მართავდა. მანქანა მათ გაუჩერა გ. ახალაიას ნაცნობმა ე. ჯ.-მ, გ. ახალაიამ და ი. ვადელიამ ე. ჯ.-ს ავტომანქანაში დაუწყეს უმიზეზოდ ცემა, იგინებოდნენ, შემდეგ კი დანის მუქარით წაიყვანეს ე. ჯ.-ა და ნ. გ.-ა ჩაის ბლანტაციებში, სადაც ე. ჯ.-ას ცემეს, დანით დაჭრეს და მიაყენეს სხეულის ნაკლებად მძიმე კატეგორიის დაზიანება. შემდეგ კი მიატოვეს უმწეო მდგომარეობაში. მოქალაქე ნ. გ.-ს ძალით წაართვეს ავტომანქანა. საჭეს მიუჯდა ი. ვადელია. მოქალაქე ნ. გ.-ა დანის მუქარით ჩასვეს მანქანაში, წაართვეს მავის საათი, ფული 28 მანეთი და საბუთები. შემდეგ მანქანით ატარეს დაახლოებით 24 საათამდე, ამის შემდეგ კი ორივემ სცემეს, დაჭრეს დანით, მიაყენეს მსუბუქი ხარისხის დაზიანება. თავის დაღწევის მიზნით ნ. გ.-ა გადახტა გაქანებულ მანქანიდან და გაიქცა.

გ. ახალაია და ი. ვადელია იმალებოდნენ. მილიციის მუშაკებმა გ. ახალაიას შინ უნახეს ცეცხლმსროლელი იარაღი „შაშხანა“, რომელსაც იგი უკანონოდ ინახავდა.

სახალხო სასამართლომ გ. ახალაიას მიუსჯა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ი. ვადელიას 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

პროკურორის საკასაციო პროტესტის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1976 წლის 14 მაისის განჩინებით განაჩენი გააუქმა ლმობიერების მოტივით.

ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ჯ. მორგოშია) 1976 წლის 12 ივლისს განიხილა ეს საქმე და მიუსჯა: გ. ახალაიას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ი. ვადელიას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ესე იგი თითოეულს მოუმატა 6—6 თვის თავისუფლების აღკვეთა. კომენტარები, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

ი. გადელიამ და მ. ახალაიამ ჩაიდინეს მძიმე დანაშაული. ადრე გ. ახალაია ორჯერ იყო გასამართლებული, მათ შორის საქართველოს სსკ 152 მუხლის მეორე ნაწილით. ი. გადელია ორჯერ იყო გასამართლებული ქურდობისათვის აგრეთვე სსკ 207¹ მუხლის მეორე ნაწილით, დანაშაული მათ ჩაიდინეს სიმთვრალეში.

ყოვლად შეუწყნარებელია როცა სასამართლოები სასჯელის მინიმუმს უფარდებენ იმ პირს, რომელმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინა და ცნობილია განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად.

სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლომ 1976 წლის 16 ივნისის განაჩენით ჯ. ძიგუას საქართველოს სსრ სსკ 110 მუხლის მესამე ნაწილით მიუსაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორებით კოლონიაში მოხდით.

ჯ. ძიგუა ადრე სასჯელს იხდიდა მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის და სახელმწიფო ქონების გატაცებისათვის, იგი ცნობილი იყო განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად. 1976 წლის 28 მარტს ქ. სამტრედიის რუსთაველის ქუჩაზე ერთმანეთთან შელაპარაკების დროს მოქალაქე ზ. ბ-ს ორჯერ დაარტყა დანა გულმკერდის არეში და მიაყენა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება.

სახალხო სასამართლომ განაჩენში აღნიშნა: „სასჯელის განსაზღვრის დროს სასამართლო მიზანშეწონილად სთვლის მხედველობაში მიიღოს, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება ის, რომ სამართალში მიცემული დიგუა პატიმრობიდან გათავისუფლების დღიდან ჩაება საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, სადაც გამოირჩეოდა და ხასიათდებოდა დადებითად, მშრომელთა კოლექტივი ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას და რომ სამართალში მიცემული ინანებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს, იგი არის სამამულო ომში დაღუპულის შვილი და იზრდებოდა ობლად“.

მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ 1976 წლის 23 ივლისს განიხილა ო. ლოლომაძის ბრალდების საქმე საქართველოს სსრ სსკ 91 მუხლის მე-3 ნაწილით, 150 მუხლის მე-3 ნაწილით და მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით. ო. ლოლომაძეს მსჯავრი დაედო შემდეგში: 1976 წლის 14 თებერვალს იგი იმყოფებოდა საკოლმეურნეო ბაზარში, სადაც საყოფაცხოვრებო სამმართველოს მუშაკს — ქალაღის პარკის გამყიდველს ფარულდ მოპარა ნავაჭრი თანხა 21 მანეთი, ხოლო 1976 წლის 17 აპრილს მახარაძეში მცხოვრებ მოქალაქე ლ. გ-ს მოპარა 120 მანეთის ღირებულების ლაბადა.

სახალხო სასამართლომ განაჩენში აღნიშნა: „დამამძიმებელი გარემოებაა ის, რომ ლოლომაძე რეციდივისტია, მან დანაშაული ჩაიდინა განზრახ, ხოლო შემამსუბუქებელი გარემოებაა ის, რომ მან გულწრფელად აღიარა მის მიერ ჩადენილი დანაშაული, ასევე ის, რომ მის ჩადენილ ქმედობას მნიშვნელოვანი ზიანი არ მოჰყოლია“.

ო. ლოლომაძე ადრე რამდენჯერმე იყო მსჯავრდებული ქურდობისათვის, ცნობილია განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად. არ მუშაობდა, არ დაადგა გამოსწორების გზას. ასეთ პირობებში ო. ლოლომაძისათვის სახალხო სასამართლოს ამ მუხლებით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი არ უნდა შეეფარდებია. სკკ 91-ე მუხლის მესამე ნაწილით, მსჯავრდებულს შეიძლება

შეეფარდოს ქონების კონსფისკაციაც, სახალხო სასამართლოს კი ამის შესახებ არც უმსჯელია. ამას გარდა, სახალხო სასამართლოს სასჯელები უნდა განესაზღვრა ცალ-ცალკე, მუხლების მიხედვით, ორივე მუხლით ერთი სასჯელი ხუთი (5) წლით თავისუფლების აღკვეთა არ უნდა შეეფარდებინა.

ზოგიერთი სასამართლო არ ასრულებს საქართველოს სსრ სს კოდექსის 44-ე მუხლის მოთხოვნას, მსჯავრდებულს ცნობს ხოლმე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად და განაჩენში არ ასაბუთებს — რატომ, ან პირიქით, მსჯავრდებული უნდა იცნოს საშიშ რეციდივისტად და ამას არ აკეთებს.

გორის რაიონის სახალხო სასამართლომ 1976 წლის 15 სექტემბერს განიხილა თ. გოგიჩაშვილის ბრალდების საქმე სსკ 17, 105 მუხლით და მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. მოვრალმა, განაწყენებულმა თ. გოგიჩაშვილმა თავის ნაცნობს კამათის დროს მოკვლის მიზნით რამდენჯერმე დაარტყა დანა გულმკერდის არეში და მიაყენა სიცოცხლისათვის საშიში მძიმე კატეგორიის დაზიანება. იგი ადრე არაერთგზის იყო მსჯავრდებული ბოროტი ხულიგნობისათვის, მაგრამ არ დაადგა გამოსწორების გზას, არ მუშაობდა, საპატიმროდან გამოსვლის 6 თვის შემდეგ კვლავ ჩაიდინა მძიმე დანაშაული, ამ მონაცემების მიხედვით სახალხო სასამართლოს თ. გოგიჩაშვილი უნდა ეცნო განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად.

გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე მ. გიოშვილი) 1976 წლის 1 ივნისს განიხილა ლ. ბიძინაშვილის ბრალდების საქმე და საქართველოს სსრ სსკ 150 მუხლის მეორე ნაწილით მიუსაჯა 5 წლით თავისუფლები აღკვეთა.

სახალხო სასამართლოს განაჩენით ლ. ბიძინაშვილს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მატარებელში მგზავრ ქალს ხელჩანთიდან ფარულად ამოაცალა 300 მანეთი, ხოლო მეორე მგზავრს პიჯაკის ჯიბიდან — 50 მანეთი.

სახალხო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ლ. ბიძინაშვილი არ დაადგა გამოსწორების გზას, პატიმრობიდან გათავისუფლების 1 წლის შემდეგ კვლავ ჩაიდინა დანაშაული, ადრე 3-ჯერ იყო გასამართლებული ქურდობისათვის და სსკ 44 მუხლის საფუძველზე იგი უნდა ეცნო განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად.

წულუკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 18 ივნისის განაჩენით მ. დოროფეევი ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის I-ლი ნაწილით. მას მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე დროს სსკ 44 მუხლის თანახმად სასამართლომ იგი ცნო განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად და ეს არ დაასაბუთა. განაჩენში აღნიშნა, რომ ადრე მ. დოროფეევს ორჯერ ჰქონდა ზედისედე ჩადენილი დანაშაული.

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ 1977 წლის 12 აპრილს განიხილა მ. კვირიკაშვილის ბრალდების საქმე სსკ 150-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. მ. კვირიკაშვილმა 1977 წლის 11 თებერვალს პირველი მაისის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში მოქალაქეს ხელჩანთიდან ფარულად ამოაცალა 3 მანეთი. იგი 1973 წლის 23 სექტემბერს გასამართლებული იყო პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ სსკ 17, 91 მუხლის I-ლი ნაწილით და

მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით. გათავისუფლდა 1975 წლის 11 მარტს სასჯელის მოხდის გამო.

1976 წლის 23 ივნისის განაჩენით მ. კვირიკაშვილს სსკ 243 მუხლის I-ლი ნაწილით მიესაჯა ექვსი თვის თავისუფლების აღკვეთა. გათავისუფლდა 1976 წლის სექტემბერში სასჯელის მოხდის გამო. ამდენად მ. კვირიკაშვილი ქურდობისათვის გასამართლებული იყო მხოლოდ ერთხელ და სახალხო სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი ემსჯელა ეცნო თუ არა იგი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად.

სახალხო სასამართლომ განაჩენში აღნიშნა: „სასამართლომ იმსჯელა კვირიკაშვილის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობის შესახებ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხარისხისა თვით დანაშაულის ქმედობის მიმართ დამოკიდებულების შინაარსიდან გამომდინარე, მიზანშეუწონელია კვირიკაშვილის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობა“.

ზოგიერთი სასამართლო რეციდივული დანაშაულის საქმეთა განხილვისას არ იცავს სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ნორმებს, მოსამზადებელ სხდომებზე საქმეებს იღებენ არასწორი კვალიფიკაციით. სამსჯავრო სხდომაზე წინასწარი გამოძიების მასალებს კრიტიკულად არ განიხილავს, ზოგჯერ უმართებულოდ აკვალიფიცირებს დანაშაულს, რაც იწვევს დაუსაბუთებელი განაჩენის გამოტანას. ეს საფუძველად ედება განაჩენების გაუქმებას ან შესწორებას ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ 1976 წლის 9 ივნისს განიხილა ი. კალაჩიანის ბრალდების საქმე საქართველოს სსრ სსკ 165-ე მუხლის I-ლი ნაწილით და მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

მსჯავრდებულ ი. კალაჩიანის საკასაციო საჩივრის საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1976 წლის 8 ივლისის განჩინებით განაჩენი მის მიმართ გაუქმდა იმის გამო, რომ სახალხო სასამართლომ ი. კალაჩიანს არ დაუნიშნა თარჯიმანი, მან არ იცის ქართული ენა. ი. კალაჩიანს წინასწარ გამოძიებისას ჰყავდა თარჯიმანი.

ამით სახალხო სასამართლომ დაარღვია სსსკ 355-ე მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნა.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1977 წლის 6 აპრილს განიხილა ა. მოროზოვის ბრალდების საქმე სსკ 234-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიუსაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. ა. მოროზოვი ეროვნებით რუსია, არ იცის ქართული ენა და სასამართლომ არ დაუნიშნა თარჯიმანი.

საგარეჯოს რაიონის სახალხო სასამართლომ 1967 წლის 23 აგვისტოს განაჩენით ბ. კუპატაძეს მოუხსნა წაყენებული ბრალდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის მე-2 ნაწილით მისი ქმედობა დააკვალიფიცირა სსკ 228-ე მუხლის I-ლი ნაწილით და შეუფარდა 1 წლის თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში



მოხდით. სახალხო სასამართლოს განაჩენი ბ. კუპატაძის მიმართ სწორი არ არის.

საბრალდებო დასკვნით ბ. კუპატაძეს ბრალი ედებოდა იმაში, რომ საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში მცხოვრებ თავის ძმას ც. კუპატაძეს განზრახ, გაჩეხვის გზით გაუნადგურა დიდი ოდენობის ვენახის ნარგავები; კერძოდ გაუნადგურა 176 ძირი ვაზი, რომლის ღირებულება შეადგენს 146 მანეთს. ეს დანაშაული გათვალისწინებულია სსკ 157-ე მუხლის მეორე ნაწილით.

1 წინასწარ გამოძიებაში დაზარალებული ც. კუპატაძე აღნიშნავდა რომ გაუკაფეს 176 ძირი ვაზი, იგივე აღნიშნულია შემდგარ ოქმში, სახალხო სასამართლომ სამსჯავრო გამოძიება სრულყოფილად არ ჩაატარა, სამსჯავრო სხდომაზე არ გამოქვეყნდა წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებები, სასამართლო დაეყრდნო სამსჯავრო გამოძიების დროს ც. კუპატაძის მიერ მიცემულ ჩვენებას, რომ მას გაუკაფეს 15 ძირი ვაზი.

თუ სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გაკაფული იყო 15 ძირი ვაზი, მაშინ ბ. კუპატაძის დანაშაული უნდა დაეკვალიფიცირებინა სსკ 157-ე მუხლის I-ლი ნაწილით. სრულიად გაუგებარია სახალხო სასამართლოს მიერ დანაშაულის სსკ 228-ე მუხლის I ნაწილით დაკვალიფიცირება.

ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით რ. ჯიქია ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლის I ნაწილით, 228-ე მუხლის II ნაწილით და სასჯელის ზომად შეეფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ სასჯელს სსკ 41 მუხლის საფუძველზე დაემატა ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 23 ივლისის განაჩენით განსაზღვრული მოუხდელი სასჯელი, ერთი წლით გამასწორებელი მუშაობა იმავე ვადით თავისუფლების აღკვეთით და რ. ჯიქიას საბოლოოდ განესაზღვრა ოთხი (4) წლით თავისუფლების აღკვეთა. სახალხო სასამართლომ დაუშვა შეცდომა. გამასწორებელი მუშაობა უნდა გადაეყვანა თავისუფლების აღკვეთაში (3 დღე ერთ დღეთ). სასამართლომ 1976 წლის 15 დეკემბერს გამოიტანა განჩინება და შეასწორა განაჩენი — 1 წელი გამასწორებელი მუშაობა გადაიყვანა 4 თვის თავისუფლების აღკვეთად და დაუმატა 1976 წლის 18 ოქტომბერს რ. ჯიქიას მიმართ გამოტანილი განაჩენით განსაზღვრულ სასჯელს.

სახალხო სასამართლომ აქაც შეცდომა დაუშვა. სასამართლოს თვითონ ამის უფლება არ ჰქონდა. იგი წარდგინებით უნდა შესულიყო ზემდგომ სასამართლოში.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს (მოსამართლე — ვ. ევანი) 1977 წლის 10 მაისის განაჩენით რ. ავდალიანი ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 151-ე მუხლის მეორე ნაწილით და მისჯილი აქვს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე დროს სსკ 44-ე მუხლის თანახმად იგი ცნობილია განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად.

სახალხო სასამართლოს განაჩენით რ. ავდალიანს მსჯავრო დაედო შემდეგში: 1977 წლის 27 თებერვალს დაახლოებით 18 საათზე კიროვის რაიონის დახურული ბაზრის მეორე სართულზე, მთვრალმა ა. ა-ს ხელიდან გამოსტაცა 3 მანეთი, რომელიც ა. ა-მ ხურდად მიიღო ბროწყელის გამყიდველისაგან და გაშლილი ჯიბის საკეცი დანის მუქარით მოსთხოვა ხელიდან მოეხს-

ნა ოქროს ბეჭედი, საათი და მიეცა ის ფული. რომელიც ჯიბეში ჰქონდა. რ. ავდალიანმა ბეჭდის და საათის მოხსნა და ფულის წართმევა ვერ შეძლო, რადგან ა. ა-მ ისარგებლა ბროწეულის საყიდლად სხვა პირების მოსვლით, თავი აარიდა რ. ავდალიანს და მომხდარი შემთხვევის შესახებ განაცხადა ბაზრის მილიციის პუნქტში, მიღებული ზომების შედეგად რ. ავდალიანი დააკავეს.

წინასწარი გამოძიების მიერ რ. ავდალიანის ქმედობა სწორად არ იქნა დაკვალიფიცირებული სსკ 151-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სახალხო სასამართლოს მიერ ასევე არასწორად იქნა გაზიარებული.

როგორც წინასწარმა გამოძიებამ, ისე სახალხო სასამართლომ დადგინილად მიიჩნიეს, რომ რ. ავდალიანმა დაზარალებულ ა. ალიევს ხელიდან გამოსტაცა 3 მანეთი, გაშლილი ჯიბის საკეცი დანა ფერდზე მიადო და მოსხოვა ხელიდან მოეხსნა ოქროს ბეჭედი და საათი, აგრეთვე მიეცა მისთვის ფული, რომელიც ჯიბეში ჰქონდა.

უკეთუ ეს დადგენილია, მაშინ ვხედავთ ყაჩაღობას, ესე იგი რ. ავდალიანის მოქმედებაში არის თავდასხმა ა. ა-ს პირადი ქონების დაუფლების იზნით. იგი დანით იყო შეიარაღებული და მოხდა ძალადობის მუქარა, რაც იტოვლისათვის საშიში იყო. ასეთ შემთხვევაში რ. ავდალიანის დანაშაული ენდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლით.

ზოგიერთი სასამართლო შეცდომას უშეგებს კოლონიის სახეობის განსაზღვრაში, რაც აფერხებს მსჯავრდებულთა ხელახალ აღზრდას.

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ 1976 წლის 28 ივლისის განაჩენით ვ. მათეოსიანს საქართველოს სსკ 153-ე მუხლის მეორე ნაწილით მიუსაჯა ერთი წლის თავისუფლების აღკვეთა. ამ სასჯელს სსკ 46 მუხლის საფუძველზე დაუმატა წინა განაჩენით მისჯილი ერთი წელი თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. განაჩენი რეჟიმის განსაზღვრის ნაწილში სწორი არ არის.

ვ. მათეოსიანი გაასამართლა ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ და 1973 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით საქართველოს სსრ სსკ 169-ე მუხლის პირველი ნაწილით შეეფარდა ერთი წლით გამასწორებელი მუშაობა ხელფასიდან 20 პროცენტის დაკავებით სასჯელის სხვა ადგილზე მოხდით. მეორედ იგი კვლავ გაასამართლა იმავე სასამართლომ 1974 წელს და სსკ 150-ე მუხლის I-ლი ნაწილით მიუსაჯა ერთი წლის თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, რაც უკანონო იყო, რადგან ვ. მათეოსიანი ადრე სასჯელს საპატიმროში არ იხდიდა, ამიტომ მას უნდა განსაზღვროდა სასჯელის მოხდა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში. განაჩენი სისრულეში არ იყო მოყვანილი და სსკ 46 მუხლის საფუძველზე ვ. მათეოსიანს დაენიშნა 5 წლის პირობით საგამოცდო ვადა. ვ. მათეოსიანმა განაჩენი გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის სქმეთა სასამართლო კოლეგიაში, რომელმაც 1976 წლის 24 აგვისტოს განჩინებით განაჩენი ძალაში დატოვა უცვლელად, რაც სწორი არ არის, განაჩენი უნდა შესწორებულიყო რეჟიმის ნაწილში.

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საინფორმაციო განყოფილება

გორის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ზ. შერვაშიანი ვილი) 1976 წლის 5 იანვრის განაჩენით გ. ხუციშვილს საქართველოს სსრ სსკ 241-ე მუხლის მეორე ნაწილით მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

სახალხო სასამართლოს განაჩენი გ. ხუციშვილის მიმართ შრომა-გასწორების კოლონიის სახეობის შერჩევის ნაწილში სწორი არ არის, ვინაიდან იგი აღრე რამდენჯერმე იყო გასამართლებული და სასჯელს იხდიდა საპატიმრო ადგილებში. ასეთ ვითარებაში მას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლით სასჯელის მოხდა უნდა განსაზღვროდა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში. მსჯავრდებულ გ. ხუციშვილის საკასაციო საჩივარი განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, რომელმაც განაჩენი ძალაში დატოვა უცვლელად. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1966 წლი 27 თებერვლის დადგენილებით განაჩენი რეჟიმის განსაზღვრის ნაწილში გაუქმებულ იქნა.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს 1977 წლის 6 ივნისის განაჩენით ე. აბულაძეს საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის მეორე ნაწილით და 91-ე მუხლის მეორე ნაწილით მიესაჯა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

სახალხო სასამართლოს განაჩენი რეჟიმის განსაზღვრის ნაწილში სწორი არ არის, რადგან ე. აბულაძეს 1971 წლის 4 მაისის განაჩენით საქართველოს სსრ სსკ 150-ე მუხლის მეორე ნაწილით და 91- მუხლის მეორე ნაწილით შეეფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მის მიმართ გამოყენებულ იქნა 1970 წლის 12 ივნისის ბრძანებულება, თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალა პირობითად იმავე ვადით შრომაში სავალდებულო ჩაბმით. ამ შემთხვევაში სახალხო სასამართლოს ე. აბულაძისათვის უნდა შეეფარდებინა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონია, თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებისა — „სასამართლოთა მიერ თავისუფლების აღკვეთისადმი მისჯილ პირთათვის შრომა-გასწორებითი დაწესებულების სახის დანიშვნის პრაქტიკის შესახებ“.

წულუკიძის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ნ. ბირკაია) 1976 წლის 25 აგვისტოს განაჩენით გ. უგულავას საქართველოს სსრ სსკ 150 მუხლის მეორე ნაწილით მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. განაჩენი მის მიმართ სასჯელის მოხდის რეჟიმის განსაზღვრის ნაწილში სწორი არ არის, რადგან გ. უგულავას წინა განაჩენით შეფარდებული თავისუფლების აღკვეთა პირობითად ჩაეთვალა და ამდენად სახალხო სასამართლოს სასჯელის მოხდა უნდა განესაზღვრა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორებას კოლონიაში.

შესწავილი 300 საქმიდან გამსვლელი სხდომები ჩატარდა 56 საქმის გამო, რაც 16,6 პროცენტს შეადგენს. ზოგჯერ გამსვლელი სხდომები ეწყობა ფორმალურად, არ განიხილება ისეთი საქმეები, რომლებიც მთელი საზოგადოებრიობის ინტერესს იწვევს, შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს მოქალაქეთა სამართლებრივ და ზნეობრივ აღზრდას, დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრას.

სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლომ 1976 წლის 9 დეკემბერს წინაშე განიხილა მ. ბაბალაშვილის ბრალდების საქმე საქართველოს სსრ სსკ 241¹ მუხლით. მ. ბაბალაშვილი 1974 წლის 14 ივნისს მთვრალი მართავდა მოტიციკლს ისე, რომ არ ჰქონდა მართვის მოწმობა და მას ასეთივე დარღვევისათვის ერთი წლის განმავლობაში დადებული ჰქონდა ადმინისტრაციული სასჯელი. ეს არ იყო ისეთი მნიშვნელოვანი საქმე, რომ იგი გამსვლელ სხდომაზე განეხილათ.

ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლომ გამსვლელ სხდომაზე 1976 წლის 2 ივნისს განიხილა შ. ლაგვილავის საქმე და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17, 165 მუხლის მეორე ნაწილით მიუსჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩენი შეასწორა. დანაშაული გადააკვალიფიცირა სსკ 17, 165 მუხლის I ნაწილზე და შ. ლაგვილავს განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ 46 მუხლით შეეცვალა პირობით იმავე ვადით.

სახალხო სასამართლოს განაჩენით შ. ლაგვილავს მსჯავრი დაელო იმაში, რომ 1974 წლის 10 ივნისს სპეკულაციის მიზნით შეიძინა სიგარეტ „ლუქსი“ — 120 კოლოფი, რომელიც უნდა გაეყიდა ზედმეტ ფასებში და მიეღო მოგება 12 მანეთი. საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ შ. ლაგვილავა პირველი ჯგუფის ინვალიდია (წარბეული აქვს ორივე ქვედა კიდური) და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მხედველობაში მიღებით აუცილებელი არ იყო ამ საქმის ინგირის ქალაქის კომბინატის კლუბში განხილვა, მით უმეტეს, რომ ორ წელიწადს არ განუხილავს საქმე სახალხო სასამართლოს შ. ლაგვილავს ავადმყოფობის გამო.

ქ. ზუგდიდის სახალხო სასამართლომ 1976 წლის 23 სექტემბერს განიხილა თ. ჯინჯოლავის ბრალდების საქმე საქართველოს სსრ სსკ 110-ე მუხლის I ნაწილით და მიუსჯა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. თ. ჯინჯოლავს მსჯავრი დაელო იმაში, რომ მთვრალს ჩხუბი მოუვიდა თავის ამხანაგ თ. მეუნარგიასთან, რომელსაც დანა დაარტყა მუცლის არეში და მიაციენა სხეულს სიცოცხლისათვის საშიში დაზიანება.

მსჯავრდებული თ. ჯინჯოლავა და დაზარალებული თ. მეუნარგია მუშაობდნენ ზუგდიდის ფაბრიკის ქარხანაში, შეიძლებოდა ამ საქმის ქარხანაში განხილვა საზოგადოებრიობის წარმომადგენლის მონაწილეობით, მაგრამ სახალხო სასამართლო ასე არ მოიქცა.

სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლოს 1976 წლის 29 ოქტომბერის განაჩენით ჯ. ქორიძეს საქართველოს სსკ 110-ე მუხლის პირველი ნაწილით მიესჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. ჯ. ქორიძემ 1976 წლის 28 ივლისს შეკამათებისა და ჩხუბის დროს გულმკერდის არეში სახრახნისი დაარტყა დაზარალებულ კ. გიორგიძეს და მიაციენა სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება. მსჯავრდებული მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის ელექტრომექანიკოსად, ხოლო დაზარალებული კ. გიორგიძე სამტრედიის სავაგონო დეპოში ვაგონების გამსინჯველად. ამ საქმის განხილვა შეიძლებოდა გამსვლელ

სხდომაზე ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების კლუბში, ან სამტრედიის რკინიგზის სადგურის კლუბში საზოგადოებრიობის წარმომადგენლის მონაწილეობით, მაგრამ სახალხო სასამართლო ასე არ მოიქცა იმ დროს, როდესაც ვ. ტარასიუკის ბრალდების საქმე სსკ 234-ე მუხლის 1 ნაწილით (მაწაწალობა), რომელიც წინა საქმესთან შედარებით უმნიშვნელოა, განიხილა გამსვლელი სხდომით სამტრედიის რკინიგზის მილიციის წითელ კუთხეში.

შესწავლილი 300 საქმიდან საზოგადოებრივი ბრალმდებლის მონაწილეობით განხილულია 28 საქმე, რაც შეადგენს 9,3 პროცენტს, ხოლო საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობით 13 საქმე, ანუ 4,5 პროცენტს.

ზოგჯერ საზოგადოებრივი ბრალმდებელი და საზოგადოებრივი დამცველი ფორმალურად მონაწილეობენ საქმის განხილვაში, არ ითვალისწინებენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში, მშრომელთა კოლექტივებსა და საზოგადოებრიობას მსჯავრდებულთა ხელახლა აღზრდასა და გამოსწორებაში. დადგენილია, რომ ზოგიერთი საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ბრალმდებელი და საზოგადოებრივი დამცველი, მაგრამ ისინი არ გამოუყვიათ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ამ კოლექტივის საერთო კრებას და მონაწილეობდნენ ადმინისტრაციის გაცემული მინდობილობით, რაც კანონს არ ემყარება.

სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლომ 1976 წლის 6 სექტემბერს განიხილა რ. ნინუას ბრალდების საქმე საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის მეორე ნაწილით.

საქმის განხილვაში მონაწილეობდა საზოგადოებრივი დამცველი, რომელიც არ ყოფილა გამოყოფილი ეწრის შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მიერ.

ქ. გორის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე — ნ. ამბოკაძე) 1976 წლის 17 აგვისტოს განიხილა ჯ. დუდაშვილის ბრალდების საქმე საქართველოს სსრ სსკ 228-ე მუხლის მეორე ნაწილით.

საქმის განხილვაში მონაწილეობდა საზოგადოებრივი დამცველი რ. მეტრეველი, რომელიც გორის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებას არ გამოუყვია.

ასევე მოიქცა იგივე სასამართლო შ. თბილთაშვილის, შ. დემუროვის და სხვათა ბრალდების საქმის განხილვის დროს.

არის შემთხვევები, როცა საზოგადოებრივი ბრალმდებელი და საზოგადოებრივი დამცველი გამოყოფილია ერთი და იგივე საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან ან მშრომელთა კოლექტივიდან სამართალში მიცემული ერთი და იმავე პირის მიმართ, რაც დაუშვებელია, რადგან ასეთ შემთხვევაში ვერ იქნება გამოხატული საზოგადოებრიობის ნამდვილი აზრი.

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ 1977 წლის 13 ივნისს გაერთიანება „თბილთამბაქოს“ სხდომათა დარბაზში განიხილა მათი მუშის ქ. სოლოდაშვილის ბრალდების საქმე სსკ 95-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქმის განხილვაში საზოგადოებრივ ბრალმდებლად მონაწილეობდა სააკოვა, რომელსაც რწმუნება არ ჰქონდა. საქმეში არ არის „თბილთამბაქოს“

მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების ოქმი სააკოვას საზოგადოებრივ ბრალმდებლად გამოყოფის შესახებ.

სხდომის ოქმში აღნიშნულია: „გამოცხადდა საზოგადო ბრალმდებელი სააკოვა ცაცა ნიკოლოზის ასული, სამართალში მიცემული სოლოღაშვილი შუამდგომლობს სააკოვა დაშვებული იქნეს მისი საქმის განხილვის პროცესში, როგორც საზოგადო ბრალმდებელი.“

სასამართლომ დაადგინა:

დაკმაყოფილდეს შუამდგომლობა, სააკოვა ცაცა ნიკოლოზის ასული დაშვებული იქნეს სოლოღაშვილის ბრალდების საქმის განხილვის პროცესში. როგორც საზოგადო ბრალმდებელი“. ეს ფაქტი, როგორც იტყვიან, კომენტარს არ საჭიროებს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინასწარი გამოძიების მიერ წარმოება-დაწესებულებებში წარდგინების შეტანას და სასამართლოს მიერ კერძო განჩინების გამოტანას.

შესწავლილი საქმეებიდან წინასწარი გამოძიების დროს წარდგინება გაეგზავნა 72 დაწესებულებასა და ორგანიზაციას, ხოლო სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა კერძო განჩინება 29 საქმეზე, ზოგიერთ წარდგინებაში და კერძო განჩინებაში არ არის მითითებული, რა მიზნებმა გამოიწვია დანაშაული, რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს მომავალში დანაშაულობათა თავიდან აცილებისათვის. კერძო განჩინებები ყოველთვის არ არის პრინციპული ხასიათის, აკლია სიმძაფრე და მიზანსწრაფულობა, დანიშნულების — სამებრ დაგვიანებით იგზავნება, სასამართლოები ზოგჯერ კმაყოფილდებიან წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების ფორმალური პასუხებით, რომლებშიც არ არის მითითებული, თუ რა ღონისძიებები განხორციელდა კონკრეტულად კერძო განჩინებაში მითითებულ დარღვევათა აღმოფხვრისათვის. ყოველთვის ჯეროვანი კონტროლი არ არის დაწესებული კერძო განჩინებათა შესრულებისადმი. სასამართლოების მიერ გამოტანილი 29 კერძო განჩინებიდან პასუხი არ იყო მიღებული 15 საქმის გამო.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა გ. კირაკოზოვის ბრალდების საქმე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის მეორე ნაწილით. იგი მსჯავრდებული იქნა იმისათვის, რომ 1976 წლის 4 ივნისს მთვრალმა თავის ბინაში ჩაიდინა ბოროტი ხულიგნობა. ივინებოდა უცენზურო სიტყვებით, სცემა თავის მეუღლეს, აგინა მეზობლებს, წინააღმდეგობა გაუწვია მილიციის მუშაკებს.

ქ. თბილისის კიროვის რაიონის შინაგან საქმეთა საგამოძიებო ქვეგანყოფილების გამომძიებელმა წარდგინება გაუგზავნა ქ. თბილისის № 1 მექანიკური ქარხნის დირექტორს, რომელშიც აღნიშნულია, თუ რა დანაშაული ჩაიდინა გ. კირაკოზოვმა. დასასრულ გამომძიებელი წერს: „გთხოვთ გ. გ. კირაკოზოვის დანაშაულებრივი ქმედობა გახადოთ მსჯელობის საგნად, დასახოთ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა თქვენდამი რწმუნებული ქარხნის თანამშრომლების მხრივ მსგავსი დანაშაულის ჩადენის ფაქტს ადგილი არ ექნეს“.

კირაკოზოვმა ქ. თბილისის № 1 მექანიკურ ქარხანაში მუშაობა დაიწყო 1976 წლის 13 მაისს, სადაც სულ იმუშავა ორი კვირა, დანაშაულის ჩადენამდე, ე.ი. 1976 წლის 5 ივნისამდე. მანამდე მუშაობდა თუ არა, ან პატიმრო-



ბიდან გათავისუფლების შემდეგ, როდის დაიწყო მუშაობა. ან რა საქმიანობას ეწეოდა, ეს არ გამოურკვევიათ.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. კირაკოზოვი ადრე გასამართლებული იყო ხულიგნობისათვის, სიტემატურად ხულიგნობდა, ხშირად იყო მთვრალი, მისდამი არ ხორციელდებოდა სათანადო ზედამხედველობა, ხოლო კიროვის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას არ მიუღია რეალური ღონისძიება დანაშაულის აღკვეთა-აცილებისათვის, რისთვისაც საჭირო იყო სახალხო სასამართლოს განაჩენის დადგენისას გამოეტანა კერძო განჩინება და იგი სათანადო რეაგირებისათვის გადაეგზავნა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოში.

იმავე რაიონის სახალხო სასამართლომ 1977 წლის 5 იანვარს განიხილა თ. ბაბაევას ბრალდების საქმე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17, 165 მუხლის I ნაწილით.

ამ საქმის გამო სახალხო სასამართლომ გამოიტანა განჩინება, რომ განაჩენი გამოქვეყნებულიყო პრესაში. სახალხო სასამართლოს კერძო განჩინება არ უნდა გამოეტანა, არამედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 324 მუხლის შესაბამისად პრესაში გამოცხადება უნდა მოეხსენებინა განაჩენში.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს 1977 წლის 6 ივნისის განაჩენით ე. აბულაძეს საქართველოს სსრ სსკ 91-ე მუხლის მეორე ნაწილით მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას მსჯავრი დაედო შემდეგში: აბულაძე მუშაობდა ქუთაისის ტყავფეხსაცმელების კომბინატის № 3 სამაქროში და 1976 წლის მარტ-აგვისტოს თვეებში დაიტაცა 610 მანეთის ღირებულების 33 წყვილი ქალის საზაფხულო ფეხსაცმელი და 20 მანეთის ღირებულების 8 წყვილი მამაკაცის ნახევარწაღის ხის კალაპოტი.

მსჯავრდებულის განმარტებით, ფეხსაცმელები მას სხვადასხვა დროს მოუპარავს ნაწილ-ნაწილ. ეტყობა კომბინატში ნედლეულისა და მზა ნაწარმის სათანადო აღრიცხვა არ წარმოებდა, ამავე დროს არ ხდებოდა მისი სათანადოდ დაცვა. იმის გამო რომ დაცვის მუშაკები თავიანთ მოვალეობას ჯეროვნად არ ასრულებდნენ, ე. აბულაძემ შეძლო სახელმწიფო ქონების გატაცება. ამის შესახებ უნდა ემსჯელა სასამართლოს და გამოეტანა კერძო განჩინება.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1977 წლის 20 ივლისს განიხილა თ. ბანტურის ბრალდების საქმე სსკ 169-ე მუხლის II ნაწილით. მან მომხმარებელს ლუღში, ლიბონათში და კანფეტში ზედმეტი გადაახდევინა 1 მანეთი და 12 კაპიკი. ადრე იგი გასამართლებული იყო ანალოგიური დანაშაულისათვის.

სახალხო სასამართლომ გამოიტანა კერძო განჩინება და რეაგირებისათვის გადაუგზავნა კვებავაჭრობის დირექტორს. 1977 წლის 10 ნოემბრისათვის პასუხი მიღებული არ იყო.

რეციდივულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს საქმეთა განხილვას დაწესებულ ვადებში.

ზოგჯერ სასამართლოები უხეშად არღვევენ ვადებს, თვეობით აჭიანურებენ საქმეთა განხილვას. შესწავლილი საქმეებიდან განხილვის ვადა დარღვეულია 43 საქმეზე, რაც შეადგენს 14,3 პროცენტს.

საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ სათანადო ყურადღება არ ეთმობა



იმ პირების სამუშაოზე მოწყობის საკითხს, რომლებიც განთავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, რაც ხშირად იწვევს ამ პირების მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენას.

შესწავლილი საქმეებიდან დანაშაულის ჩადენის მომენტში არ მუშაობდა 44,4 პროცენტი, რაც ძალზე დამაფიქრებელია. სათანადოდ არ ხორციელდება ადამინისტრაციული ზედამხედველობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ ზოგიერთ პირებზე, რაც, უდავოდ, იწვევს დანაშაულის რეციდივს. ზოგიერთი სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ვადამდე პირობით გათავისუფლების შესახებ ისე, რომ არ იკვლევს ყველა მონაცემს მსჯავრდებული პიროვნების შესახებ, რის გამოც ამ ღონისძიებას იყენებენ ისეთი პირების მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ არ დადგომიან გამოსწორების გზას.

განზოგადების მასალების მიხედვით შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და სხვა უწყებებმა მომავალში უფრო ქმედითი ღონისძიებები უნდა განახორციელონ რეციდიულ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.



მოქალაქე აკტივში მოვიდა

საქართველოს სსრ მშაჩის რესპუბლიკურ არქივში დაცულია ცნობები ყველა იმ პირის შესახებ, ვინც დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე გახული სუკუნის დასაწყისიდან დღემდე. აქვე ინახება მოქალაქეთა მდგომარეობის ყველა სახის აქტი, რომლითაც შესაძლებელია დადგინდეს პირის დაბადების, ქორწინების, გვარის და სახელის გამოცვლის, წლოვანების დადგენის, შვილად აყვანისა და გარდაცვალების ფაქტი. ვინაიდან სტატისტიკური მონაცემებისათვის საჭირო ხდება მკვლარად შობილის რეგისტრაცია.

მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე საეკლესიო წესით წარმოებდა. ამ ჩანაწერებისათვის უცხოა შვილად აყვანის ან განქორწინების ინსტიტუტი, აგრეთვე გვარისა და სახელის გამოცვლა ან წლოვანების დადგენა. სარწმუნოების გამოცვლა კი წარმოებდა შემდეგნაირად: თუ არაქრისტიანი მოინათლებოდა ქრისტიანულ ეკლესიაში, იგი უკვე ქრისტიანად იქონიებოდა.

არქივში 0,5 მილიონამდე წიგნია. ყოველი მოქალაქის მონაცემი ერთ ფურცელზეა მოთავსებული, საეკლესიო წიგნებში კი მისი რაოდენობა ასი ათასს აღემატება. ერთ ფურცელზე ჩანაწერია 4-5 მოქალაქის შესახებ. ამ აქტების დათვალია რომ შეიძლებოდეს, ალბად, ასტრონომიულ ციფრს მივიღებდით.

მოქალაქეთა მდგომარეობის აქტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დაბადების, ქორწინების, შვილად აყვანის თუ განქორწინების, ზუსტი ჩანაწერი სჭირდებათ როგორც მოქალაქებს, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ჩანაწერების საუფუძვლოდ წარმოიქმნება უფლებრივი ურთიერთობა მოქალაქეებს შორის, ორგანიზაციებსა და მოქალაქეთა შორის და თვით სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის. ეს ჩანაწერები აუცილებელია საბავშვო ბაღებისა და სკოლებისათვის, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამხედრო კომისარიატებისათვის, შინაგან საქმეთა ორგანოსისა და საგნისთავო განყოფილებებისათვის. ყოველივე ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, რომლებმაც თაობებს შემოუნახეს წიგნები მოქალაქეთა მდგომარეობის შესახებ და უფლებლად გადასცემდნენ არქივს.

ამ აქტების უდიდეს მნიშვნელობას მიუთითებს ისიც, რომ ჩანაწერები განადგურებას არ ექვემდებარება. ჩვენთან ინახება საქართველოში აღრე მოქმედი თითქმის ყველა ეკლესიის როგორც ქართული, ისე სომხური, რუსული, კათოლიკური, გერმანული და სინაგოგის ჩანაწერები, წარსულში საეკლესიო ჩანაწერის ასრულებდენ მღვდლები—იმ დროისათვის შედარებით განათლებული და წერა-კითხვის მცოდნე პირები.

1921 წლიდან მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების წარმოება დავალა სოფლად ადგილობრივ საბჭოებს, ხოლო ქალაქად და რაიონულ ცენტრში — მშაჩის ბიუროებს.

საეკლესიო წესით აქტების წარმოება სავალად დიდ ხარჯებს მოითხოვდა, ამიტომ მოქალაქეები ზოგჯერ იძულებული იყვნენ გადაეღოთ ჯვრისწერა თუ ნათლობა. გასაბჭოების შემდეგ ეს თანხა მარკის ღირებულებამდე შემცირდა, რის გამოც იმატა ჩანაწერთა რაოდენობამ. ამით უნდა აიხსნას, რომ 1921-1925 წლების წიგნებში ვხვდებით 1910-1920 წლებში დაბადებულთა ჩანაწერებსაც.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციაში იყო ნაკლოვანებანი. ხელისუფლების ადგილობრივ ოდგანოებში კადრების სიმცირის გამო მუშაობდნენ წერა-კითხვის მცირე მცოდნე პირები, რის გამოც გზა მიეცა ყოველგვარ ფანტაზიას სახელების შერჩევას, და ეს დიდ ხანს გრძელდებოდა. ჩანაწერებში ჩვენ ვხვდებით ისეთ სახელებს როგორც არის კმაროდი, ინვლისელი, ჭაჭა, კოდექსი, მედალი, ჩერჩეტი, ბრძოლა, ვაინა, მათხოვარი, ჩირაღდანი, სალუტი და ა. შ. დღეს, როცა ამ სახელის მატარებელი პირივინა მოითხოვს განმეორებით დაბადების მოწმობას მას ვავსებთ ჩანაწერების მიხედვით, ვინაიდან მისი შეცვლა შეიძლება მხოლოდ დადგენილი წესით.

ძალიან ბევრია შემთხვევა როგორც საეკლესიო, ისე სარეგისტრაციო ჩანაწერებში, როცა კუთხური გამოთქმის გავლენით ხდება გვარებისა და სახელების დამახინჯება. მაგალითად, გურიის რაიონებში ამბობენ ცეხლს და წერენ გვარს ცეხლასე, ნაცვლად ცეხლადისა, ამბობენ თებში და წერენ თებუაქეს, ნაცვლად თევზაქისა. ასეთ შემთხვევაში გვარი უნდა ეანათავისუფლდეს კუთხური გავლენისაგან და თუ შინაარსი არ იცვლება

ახალი მოწმობის გაცემისას იგი უნდა დაიწეროს ლიტერატურული ფორმით. ვხვდებით მცირე უხერხულობასაც. მაგალითად, საეკლესიო ჩანაწერებში სახელები წერია შემდეგი ფორმით: პელაღია, აღრაფინა, ლაქტიონი და ა. შ. ეს სახელები უნდა ამოიწეროს ისე, როგორც ხმარებაშია.

ამაზე იმიტომ ვჩერდებით, რომ ერთ-ერთი რაიონის მმართველის ბიუროს გამგემ გვითხრა, თუ მოქალაქემ განცხადება შემოიტანა აგრაფინას სახელზე, ხოლო ჩანაწერში აღრაფინა წერია, მოწმობას არ ვაძლევ და წლოვანების დაწდგენ კომისიაზე გავატარებ ისე, თითქოს მის შესახებ ჩანაწერი არ არსებობდესო. ე. ი. მმართველის ბიუროს გამგე არ აძლევს თავს უფლებას აღრაფინა ირწმუნოს აგრაფინად და შეუხედავად იმისა, რომ განმცხადებლისა და ჩანაწერის ყველა მონაცემი ერთმანეთს ედარება ამ „დ“-ს მინც თავისი გააქვს. აი როგორ გაიგო ზოგიერთმა ზუსტად გადაწერის პრინციპი და როგორ ბრძალ ემორჩილება მას.

მმართველის რესპუბლიკურ არქივში წლის მანძილზე 40 ათასამდე განცხადება და კორექტირებისა შემოდის. ალბათ ცოცხა დაწესებულება თუ შედარება არქივში შემოსული განცხადებების სიმრავლეში. ისმის კითხვა, შეიძლება თუ არა მათი შემცირება და როგორ? ეს შეიძლება. მოვიყვან ასეთ მაგალითს. ჩვენში ძალიან გავრცელებულია საშინაო მოფერებითი სახელები. ამ სახელებს როგორც არქივებში, ის წერდნენ: ზურაიკო, თამარიკო, რეზაიკო, ქეთიკო, შალაიკო, მიშუკო და ა. შ. ახლა ეს მოქალაქე გაზრდილი თამარიკო კი არა თამარია და თხოულობს განმეორებით მოწმობას. ეუბნებიან, ჩანაწერში გიწერია თამარიკო და მოწმობას თამარზე ვერ გავცემთ ე. ი. ურჩევნ შეისწოროს სახელი თამარიკო თამარზე. ასე მოიქცა ქ. გორის მმართველის ბიუროს გამგე, სახელი ანადრუშა შეცვალა ანადროთი, ქუთაისისა რეზაიკო — რეზოთი, სამტრედიის ბიუროს ქეთიკო — ქეთევანით. თუ ამ სახელების მფლობელთ არ მოვთხოვთ სახელის შესწორებას და ამოვიწერთ მოწმობას სრული სახით, შემცირდება მმართველის ბიუროს სამუშაო, დიზოგება მოქალაქეთა ნერვები, დრო და ქაღალდი, ეს კი ცოტას არ ნიშნავს.

გარდა ასეთი სახელებისა ჩვენში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, გავრცელებულია ე. წ. ორსახელიანობა. დაბადების რეგისტრაციისას ბავშვს არქივვენ ერთ სახელს, უფრო ხშირად მამა-პაპის სახელებს, ხოლო ეძახიან სულ სხვას ბავშვი ამ უფუ-

ლი სახელით მიღის ბავშვთა ბაგაში, ბაღში, სკოლაში და ხდება ისე, რომ დაბადების რეგისტრაციაში სხვა პიროვნება, ხოლო ცხოვრებაში და მის შესახებ შექმნილ საბუთებში სხვა. როცა ოფიციალურად ითხოვენ დაბადების მოწმობას, აღმოჩნდება, რომ ჩანაწერით ბაგრატი (პაპის სახელი) ცხოვრებაში გააა. ახლგაზრდა შეხვდა წინააღმდეგობას და იმის ნაცვლად, რომ მამა-პაპა პატივისცემით მოიგონოს, ამბობს, ნეტავ რად მინდოდა მის სახელს რომ მარქმევდნენო. ასეთი ყაღბი პატივისცემა ჩვენს წინაპრებს არ სჭირდება. ახალშობილს დარსებული სახელი უნდა დავარქვათ და კიდევ ვუწოდოთ ცხოვრებაში. ასევე საბავშვო ბაგა-ბაღის და სკოლის ხელმძღვანელობა ვალდებულია ბავშვი მიიღოს დაბადების მოწმობის საფუძველზე და უწოდონ ის, რაც ჩანაწერში ჰქვია. ამით თავიდან ავიცილებთ ახლგაზრდობას წინააღმდეგობასა და უხერხულობას, ხოლო სათანადო ორგანიზაციებს ავაცილებთ ზედმეტ სამუშაოს.

მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ზრდას იწვევს ე. წ. მამობის დადგენა. თუ ბავშვი დაიბადა რეგისტრირებული ქორწინების გარეშე, იგი უნდა გატარდეს დედის გვარზე. ასეთია კანონი, ხოლო ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ მამას ეძლევა უფლება ბავშვი გადაიყვანოს თავის გვარზე. მამას უფლება აქვს ბავშვს თავისი გვარი მიაკუთვნოს ქორწინების რეგისტრაციაში გაუტარებლადაც.

მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების ხელშეწყობისათვის ზრდას ხელს უწყობს აგრეთვე ქორწინების რეგისტრაციის დროს გვარის მიკუთვნების საკითხი.

ქორწინებისას თითოეულ მეუღლეს უფლება აქვს დარჩეს თავის გვარზე ან მიიღოს მეუღლის გვარი ან თავის გვარს შეუერთოს მეუღლის გვარი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, როცა ქალი ჯვარს იწერდა, იგი მწესიუკურად ქმრის გვარზე გადადიოდა. დღეს როცა თითოეულ მოქალაქეზე შექმნილია დოკუმენტების მთელი წყება, დაწყებული დაბადების მოწმობით და დამთავრებული საბედისწილი წინააღმდეგ, სასურველია მეუღლეები დარჩნენ თავიანთ გვარზე, ან მეუღლას გვარის მიღებასთან ერთად შეცვალოს მთელი პირადი საბუთები.

არის კიდევ ერთი საკითხი — რომელიმე ეროვნების გვარის შეცვლა მეორე ეროვნების გვარით. უნდა ვიცოდეთ, რომ ეროვნების გამოცვლა არ ხდება, შეიძლება მხოლოდ გვარისა და სახელის გამოცვლა. ეროვნების ჩანაწერი დაშვებულია მხოლოდ შესწორების შემთხვევაში.

საქართველო
2025

საკავშირო დებულების მიხედვით, გვარისა და სახელის გამოცვლის ნებართვა გაცივმა მხოლოდ მაშინ, როცა ამისათვის არსებობს აუცილებელი საპატიო მიზეზები: გვარის, სახელის, მამის სახელის არაკეთილმორავნება ან შათი წარმოთქმის სიძნელე, ცოლ-ქმრის სურვილი ატარონ საერთო გვარი ან დაიბრუნონ ქორწინებამდელი გვარი ან სახელი და ა. შ..

ეროვნების შესწორება მაშინ ხდება, თუ, მაგალითად, მოქალაქეს მშობლები ქართველი ჰყავს, ხოლო დაბადების სააქტო ჩანაწერი შვიტლით უწერია სომეხი, ოსი ან სხვა. თუ ბავშვს სხვადასხვა ეროვნების მშობლები ჰყავს, მაგალითად, მამა ქართველი, დედა კი რუსი, პასპორტის მიღებისას შეუძლია მიიღოს ერთ-ერთი მშობლის ეროვნება — ქართველი ან რუსი. ამის შემდეგ კი ეროვნების ჩანაწერის შეცვლა აღარ შეიძლება.

ზნითად მოქალაქე მოგვართავს გაცემთ განქორწინების მოწმობა სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, რომელიც ხუთი ან ათი წლის წინათ არის გამოცხადებული. კანონით სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ წარდგენილ უნდა იქნეს საცხოვრებელი ადგილის მმაჩის ბიუროში, სადაც დგება განქორწინების აქტი, ხოლო მმაჩის რესპუბლიკურ არქივში და შესაბამის რაიონის მმაჩის ბიუროში ვაიგზავნება შეტყობინება ქორწინების შეწყვეტის შესახებ. ქორწინება შეწყვეტილად ითვლება მხოლოდ იმ დღიდან, როცა სათანადო აღნიშვნა გაცემდება რაიონის მმაჩის ბიუროში არსებულ ჩანაწერში და მმაჩის რესპუბლიკურ არქივში. სასამართლოს გადაწყვეტილებას ამ საკითხზე სამი წლის ხანგაზმულობის ვადა აქვს. მოქალაქის აცხადებენ, რომ ისინი ამის შესახებ არაფერს ვაუფრთხილებია. ამიტომ ქარგი იქნება, თუ სასამართლოები გადაწყვეტილებაში მიუთითებენ, რომ „იგი წარდგენილი უნდა იქნეს მმაჩის ბიუროში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სამი წლის განმავლობაში“. ასეთივეა წესი იურიდიული ფაქტის დადგენისას — ქორწინების ან გარდაცვალებისა, თუ უგზოუფლოდ დაკარგულად ცნობის დროს.

ზოგჯერ საპასპორტო მაგიდებშიც გაურკვევლობა ახალი პასპორტის გაცემის დროს და დაკავშირებულია გვარისა და სახელის გამოცვლასთან. თუ სრულწლოვანი მოქალაქე გვარს იცვლის, მის მშობლებს ძველი გვარი რჩებათ, ან პირიქით, როცა მშობლები იცვლიან გვარს, ეს სრულწლოვან შვილზე არ ვრცელდება. გვარის გამოცვლის გამო ახალი მოწმობის გაცემისას მოქალაქეს მამის

გრაფიში მამა სხვა (ძველი) გვარით უწერია. გვარშეცვლილ მოქალაქეს სხვადასხვა დაწესებულება თუ ორგანიზაცია, განსაკუთრებით კი საპასპორტო მაგიდები გზავნიან ჩვენთან და მოითხოვენ ამ თითქოსდა შეუსაბამობის მოწმობიგებას, ვინაიდან მამა და შვილი ერთი გვარისა უნდა იყოსო. როგორც ვხედავთ, შეიძლება ეს ურველთვის ასე არ იყოს.

მოქალაქის თბილისში ჩაწერასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა რაიგზყოფილებები გვიგზავნიან ხოლმე მიმართვას შევითხვით, ესა თუ ის მოქალაქე იმყოფება თუ არა ქორწინებაში. ასე ზოგადად შევითხვავ არქივს პასუხის გაცემა არ შეუძლია. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ სად და როდის მოხდა რეგისტრაცია, რომ დავადასტუროთ მოხდა თუ არა აღნიშნულ ადგილას და იმ თარიღით რეგისტრაცია. ამას გარდა აღნიშნულმა პიროვნებამ შესაძლოა სხვა რესპუბლიკაში იქორწინა.

არქივის ჩანაწერის მესაკუთრენი ვინ იცის ამჟამად სად არიან, მაგრამ ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს; ერთნაირად ვუფრთხილებით ყველა ჩანაწერს. ზნითად მოგვმართავენ საზღვარგარეთ მყოფი თანამემამულენიც ვუპასუხებთ რა მათ თხოვნას, ვუგზავნით ე. წ. საზღვარგარეთის ფორმის გერბიან მოწმობას.

არქივის ფონდი თუმცა სათანადოდ არის დატეხილი და ქალაქის პატარა ნაგლეჯიც კი არ შეიძლება განადგურდეს, იგი მაინც სრულად არ მოიცავს ყველა წლის ჩანაწერს, 1917 წლიდან 1920 წლამდე საეკლესიო წიგნები ნაკლებად გვაქვს შემონახული, ვინაიდან ამ დროს ეკლესიის სასახურნი სათანადო ცერემონიალები და მათი რეგისტრაციისათვის ნაკლებად ზრუნავდნენ.

ჩანაწერის არარსებობის დროს, გარდა სასამართლო წესით იურიდიული ფაქტის დადგენისა, შეიძლება წლოვანების დადგენა, რაც მმაჩის ბიუროს ექვემდებარება. მმაჩის ბიურო სათანადო მასალებს შეაგროვებს, გაიტანს რაიადმასკომის სხლომანზე და მაძიებელს დაუდგენს სათანადო წელს თუ წლოვანების ფაქტს.

რესპუბლიკაში მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია სათანადო სიმაღლეზე დგას. ფართო პროპაგანდას ვუწევთ მის მნიშვნელობას. ამიტომ არის, რომ ყველა მოქალაქე ცდილობს სრულ წესრიგში იქონიოს პირადი საბუთები, რაც მისასაღებელია.

ც. ხომერიკი,

საქართველოს სსრ მმაჩის რესპუბლიკური არქივის გამგე

თავისუფლების შეზღუდვა — სასჯელის სრულიად ახალი ზომა პოლონეთის სისხლის სამართალში

იან სკუპინსკი

1. თავისუფლების შეზღუდვა — სასჯელის სრულიად ახალი ზომაა, რომელსაც პოლონეთის წინანდელი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა არ იცნობდა. იგი პირველად პოლონეთის 1969 წლის 19 აპრილის სისხლის სამართლის კოდექსმა შემოიღო¹. ამ კოდექსით გათვალისწინებული სასჯელთა ნუსხა გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ის ნუსხა, რომელსაც 1932 წლის კოდექსი შეიცავდა. ახალი სისხლის სამართლის კოდექსი სასამართლო ორგანოებს აძლევს სასჯელთა უფრო სრულყოფილი ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას. ამ მიზნით სისხლის სამართლის კოდექსმა, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად შეცვალა უკვე არსებულ სასჯელთა (მაგალითად, ჯარიმის, დამატებითი სასჯელის, სასჯელის აღსრულების პირობით გადადების) სამართლებრივი ფორმა და გამოყენების პირობები, ხოლო, მეორე მხრივ, მთელი რიგი ახალი სახის სასჯელი შემოიღო. მათ შორის უნდა აღინიშნოს, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის საქმის წარმოების პირობით მოსპობა და სასჯელის სახით თავისუფლების შეზღუდვის გათვალისწინება ხოლო, მეორე მხრივ, გამაფრთხილებელი ზედამხედველობა და სოციალურა შეგუების ცენტრის შემოღება. თუ უკანასკნელი ზომები რეციდივიზმის უაღრესად საშიშ შემთხვევებთან, ე. ი. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან (არა მარტო თვით დანაშაულის სიმძიმის, არამედ აგრეთვე დანაშაულის ჩამდენი პირის საშიშროების თვალსაზრისით) ბრძოლის საშუალებას წარმოადგენენ, თავისუფლების შეზღუდვა და საქმის წარმოების პირობით შეწყვეტა გამიზნულია როგორც ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია ნაკლებად მძიმე დანაშაულთან საბრძოლველად. ისინი შემოიღეს არა რეპრესიის გასაძლიერებლად, არამედ მის შემამსუბუქებლად, სახელდობრ, იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს წვრილმანი გადაცდომისათვის გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის გვერდის ავლა ან მისი შეზღუდვა.

კანონმდებელს სურდა შეემსუბუქებინა წვრილმანი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ გამოსაყენებელი სასჯელის რეპრესიულობა; შეეცალა თავისუფლების აღკვეთის (განსაკუთრებით მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის) ფორმა ისეთი ფორმით, რომელიც არ გულისხმობს დამნაშავის იზოლაციას და არ არის მხოლოდ რეპრესიის ზომა, არამედ იძლევა აგრეთვე დამნაშავეზე ზემოქმედების შესაძლებლობას მისი ნამდვილი რესოციალიზაციის მიმართულებით.

ასეთია ძირითადი კრიმინალურ-პოლიტიკური მიზანი, რომლისთვისაც პო-

¹ Уголовный, Уголовно-процессуальный и Уголовно-исполнительный кодексы Польской Народной Республики. Перевод под редакцией М. А., Гельфера, М., 1973.



ლონეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შემოიღეს თავისუფლების შეზღუდვა.

2. მოქმედ პოლონურ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში სამ ანტი-ტუტს ეწოდება „თავისუფლების შეზღუდვის სასჯელი“. 2.1 პირველი — ის ზომაა, რომელიც ნახსენებია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში (33-35-ე მუხ.) როგორც ერთ-ერთი (თავისუფლების აღკვეთასა და ჯარიმასთან ერთად) ძირითადი სასჯელი, გათვალისწინებული დანაშაულისათვის ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ასეთია მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაული, ე. ი. ისეთი დანაშაული, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ან თავისუფლების შეზღუდვით 3 თვეზე მეტი ვადით ან 5 ათას ზლოტზე მეტი ჯარიმით.

თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება დანიშნულ იქნეს ვადით 3 თვიდან 2 წლამდე. იგი განისაზღვრება წლებითა და თვეებით. ეს სასჯელი გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის 46 მუხლში შედარებით წვრილმანი დანაშაულისათვის. ასეთი მოქმედებანი საერთოდ ალტერნატიულ სასჯელს იწვევენ: თავისუფლების აღკვეთას (ერთ ან ორ წლამდე), თავისუფლების შეზღუდვას (ორ წლამდე) ან ჯარიმას (5.000 ზლოტამდე)².

თავისუფლების შეზღუდვა გამოიხატება მსჯავრდებულის პირადი თავისუფლების ოთხგვარ შეზღუდვაში: ა) მსჯავრდებულს უფლება არა აქვს სასამართლოს ნებართვის გარეშე გამოიცვალოს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; ბ) იგი ვალდებულია შეასრულოს სამუშაო, რომელსაც სასამართლო დაუნიშნავს; გ) უფლება არა აქვს შეასრულოს რაიმე ფუნქცია საზოგადოებრივ ორგანიზაციებში; დ) ვალდებულია ჩააბაროს ანგარიში სასჯელის მოხდის თაობაზე (33-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი).

ამ ოთხი სახის შეზღუდვიდან უფრო არსებითია პირველი ორი შეზღუდვა, ამიტომ შედარებით დაწვრილებით მათზე შევიჩერდებით.

სასამართლოს თანხმობის გარეშე ადგილსამყოფლის გამოცვლის აკრძალვა ზღუდავს მსჯავრდებულის პიროვნების თავისუფლებას იმ მხრივ, რომ მსჯავრდებული ვალდებულია სთხოვოს სასამართლოს ნებართვა ყოველთვის, როდესაც სურს გამოიცვალოს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. სასამართლოს შეუძლია არ დააკმაყოფილოს მსჯავრდებულის თხოვნა. თუ მსჯავრდებული მხოლოდ დროებით იცვლის ადგილსამყოფელს და არ აპირებს მუდმივად საცხოვრებლად სხვა ადგილას გადასახლებას, სასამართლოს ნებართვა საჭირო არ არის. ამავე დროს, როდესაც პირს სასამართლოს განაჩენით მისჯილი აქვს თავისუფლების შეზღუდვა, არავითარ სხვა ორგანოს არა აქვს უფლება მოსთხოვოს მსჯავრდებულს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა.

მსჯავრდებულისათვის სამუშაოს შესრულების დაკისრება, სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, შეიძლება გამოიხატებოდეს მსჯავრდებული ვალდებულებაში უფასოდ შეასრულოს განსაზღვრული სამუშაო საზოგადოებრივი მიზნებისათვის თვეში 20-დან 50 საათამდე ხანგრძლივობით, ან მსჯავრ

² მაგალითად, ნაკლებად მნიშვნელოვანი ქურდობა და სახელმწიფო ქონების გატაცება (მუხ. 203, § 2, მუხ. 199, § 2), მუქარა (მუხ. 166), იძულება (მუხ. 157), დიფამაცია (მუხ. 178, § 1), შეურაცხყოფა (მუხ. 181), სხეულებრივი ხელშეუხებლობის დარღვევა (მუხ. 182, § 1), ნაქურდალის განუზრახველი შესყიდვა (მუხ. 216). თანამდებობის პირის შეურაცხყოფა (მუხ. 236).

დებულის ვალდებულებაში განაგრძოს თავისი მუდმივი სამუშაო შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, მაგრამ შრომის ხელფასის 10 პროცენტებიდან 25 პროცენტამდე უზადოს სახელმწიფოს. მსჯავრდებულს, რომელიც სამუშაოს შრომითი ხელშეკრულებით ასრულებს, უფლება არა აქვს სასჯელის მოხდის პროცესში მოშალოს ეს ხელშეკრულება სასამართლოს ნებართვის გარეშე. მისთვის უფრო მაღალი ხელფასის დანიშვნა ან მისი უფრო მაღალ თანამდებობაზე გადაყვანა აკრძალულია.

შრომის უსასყიდლოდ შესრულებას კოდექსი შრომითი ვალდებულების ძირითად ფორმად თვლის (34-ე მუხლის 1 პარაგრაფი). კოდექსი ითვალისწინებს, რომ სამუშაო, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით სრულდება, ცვლის უსასყიდლო სამუშაოს. სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება ასეთი შრომითი ვალდებულების შეცვლის ფორმის შესახებ ორ შემთხვევაში:

ა) როდესაც პირი განსაზოგადოებულ სექტორში მუშაობს, სასამართლოს შეუძლია უფლება დართოს მას შეასრულოს იგივე სამუშაო, რომელსაც მანამდე ასრულებდა (34-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი), ოღონდ ზემოთ მითითებული შეზღუდვებით (ხელფასიდან განსაზღვრული თანხის გამორიცხვა, უფრო მაღალ თანამდებობაზე გადაყვანა სასამართლოს ნებართვის გარეშე, შრომის ხელშეკრულების მოშლის აკრძალვა);

ბ) როდესაც პირი არ მუშაობს, სასამართლოს შეუძლია გაგზავნოს იგი სამუშაოდ განსაზოგადოებულ სექტორში ზემოთ აღნიშნული შეზღუდვების გავალისწინებით (35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფი).

ამგვარად, შრომითი ბეგარა, რომელიც თავისუფლების შეზღუდვის ძირითად შინაარსს წარმოადგენს, შეიძლება სამი სახისა იყოს:

1. უსასყიდლო სამუშაო, რომელიც შეიძლება შეასრულოს როგორც იმ პირმა, ვინც მუშაობს, ისე იმ პირმა, ვინც არ მუშაობს;
2. მუშაობა წინანდელ „საკუთარ“ საწარმოში;
3. მუდმივი მუშაობა ისეთ ადგილას, რომელსაც სასამართლო განსაზღვრავს, თუ პირი წინათ არ მუშაობდა.

პირი, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების შეზღუდვა, ვალდებულია კეთილსინდისიერად და ნაყოფიერად იმუშაოს, დაიცვას სამუშაო ადგილის დადგენილი შინაგანაწესი და დისციპლინა. ამაზე მიუთითებს სისხლის სამართლის აღსრულებითი კოდექსის 113-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი³. აღნიშნული მუხლი ამავე დროს 1-ლ პარაგრაფში განსაზღვრავს, რომ თავისუფლების შეზღუდვის განაჩენის შესრულება მიზნად ისახავს მსჯავრდებულის საზოგადოებრივი ზემოქმედების გზით ფორმირებას მისთვის დანიშნული სამუშაოს შესრულების მეშვეობით. თავისუფლების შეზღუდვის სასჯელის ძირითადი მიზანი — მსჯავრდებულის მოვალეობა იშრომოს — სამგვარ როლს ასრულებს:

ჯერ ერთი, იგი წარმოადგენს პიროვნების თავისუფლების შემდგომ შეზღუდვას (რომელსაც მოსდევს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის აკრძალვა სასამართლოს თანხმობის გარეშე). ეს შეზღუდვა განსაკუთრებით მკაცრია მაშინ, როდესაც მსჯავრდებულს გზავნიან მუდმივ სამუშაო ადგილას. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება სამუშაოს არჩევის თავისუფლების შეზღუდვა,

³ 1969 წ. 19 აპრილის კანონი (Dz. u. № 13, პოზ. 98. ცვლილება Dz. u., 1975, № 45, პოპ. 234.



რაც სრულებით არ გულისხმობს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის შეცვლასაც, რადგანაც ყველა შემთხვევაში თავისუფლების შეზღუდვის სასჯელი (ე. ი. შრომითი ბეგარა) პირმა უნდა მოიხადოს თავის მუდმივ საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილას ან ამ ადგილის აზლოს. ამაზე მიუთითებს კანონის დებულება (სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლი), რომელიც უშვებს ამ პრინციპის გამოწვევის მხოლოდ მაშინ, როდესაც „მნიშვნელოვანი გარემოებანი განაპირობებენ სასჯელის შესრულებას სხვა ადგილას“⁴.

მეორე, შრომითი ბეგარა მსჯავრდებულისათვის განსაზღვრულ ეკონომიკურ შეზღუდვასაც წარმოადგენს. ამ მოვალეობის შესრულებისას შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში, როდესაც მსჯავრდებულს დაუქვითავენ ხელფასის ნაწილს, ეს შეზღუდვა კონკრეტულია და მისი ოდენობა განსაზღვრულია. როცა სამუშაო სრულდება ზედამხედველობის ქვეშ განსაზღვრული საათების განმავლობაში, ეკონომიკური შეზღუდვა იგულისხნება. იგი უსასყიდლო მუშაობის შედეგს წარმოადგენს.

მესამე, შრომითი ბეგარა მსჯავრდებულის მიმართ აღმზრდელობით როლს უნდა ასრულებდეს და ხელს უწყობდეს მის სოციალურ ადაპტაციას.

გარდა ამისა, იმ პირებს, ვისაც მისჯილი აქვს თავისუფლების შეზღუდვა, სასამართლოს შეუძლია დააკისროს კიდევ ორი დამატებითი ვალდებულება:

- ა) დანაშაულით მიყენებული ზიანის მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურება;
- ბ) დაზარალებულის წინაშე ბოდიშის მოხდა.

ამ მოვალეობათა შეუსრულებლობას სისხლის სამართლის კოდექსი (მუხ. 84-ე) თვლის თავისუფლების შეზღუდვის სასჯელისაგან თავის არიდებად. აღნიშნული სასჯელისათვის თავის არიდების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია თავისუფლების შეზღუდვა შეცვალოს ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით (85-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი)⁵.

ამავე დროს, თუ მსჯავრდებული ასრულებს ყველა მოვალეობას, რომლებიც თავისუფლების შეზღუდვიდან გამომდინარეობს, ეს შეიძლება საფუძველი გახდეს სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის ვადამდე გათავისუფლებისა. სახელდობრ: სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მსჯავრდებული სასჯელის დარჩენილი ვადის მოხდისაგან, თუ მან მოიხადა სასჯელის ნახევარი მაინც, ამ ხნის განმავლობაში იცავდა მართლწესრიგს, გამოიჩინა თავისი დამოკიდებულებით შრომისადმი, პირნათლად ასრულებდა დაკისრებულ ვალდებულებებს.

2. 2. ახლა, როდესაც გავეცანით თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას, კანონზომიერად იბადება კითხვა: წარმოადგენს თუ არა თავისუფლების შეზღუდვა სასჯელის ისეთ სპეციფიკურ ფორმას, რომელსაც იცნობს მხოლოდ პოლონეთის კანონმდებლობა, თუ იგი სხვა ქვეყნების სისხლის

⁴ პრაქტიკა დღემდე არ იყენებს ამ განსაკუთრებულ მდგომარეობას.

⁵ სასჯელის შეცვლა ჯარიმით შეიძლება შემდეგი ანგარიშით: თავისუფლების შეზღუდვის ერთი თვე — ჯარიმით 1.000-დან 3.000 ზლოტამდე, ხოლო თავისუფლების აღკვეთის ერთი თვის ეკვივალენტია თავისუფლების შეზღუდვის ერთი თვე. კოდექსი რეკომენდაციას იძლევა შესაცვლელ სასჯელად დაინიშნოს ჯარიმა, ხოლო თავისუფლების აღკვეთით შეიცვალოს მხოლოდ „განსაკუთრებულ შემთხვევაში“. თავისუფლების აღკვეთა როგორც შემცველი სასჯელი ინიშნება მხოლოდ მაშინ, თუ უფრო ადრე დაინიშნული შემცველი ღონისძიება — ჯარიმა არ შესრულდა, და დადგენილია, რომ მისი შესრულება აღსრულებითი წესით შეუძლებელია (მუხ. 34, § 3).

სამართლის კანონმდებლობებში არსებული ანალოგიური სასჯელების, კერძოდ, გამასწორებელი სამუშაოების ეკვივალენტური ფორმაა.

თავისუფლების შეზღუდვა უეჭველად გამასწორებელი სამუშაოდან მომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ გამასწორებელ სამუშაოს იცნობდა პოლონეთის 1950-1958 წლების კანონმდებლობაც, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში მან იმ პერიოდში ისეთი სახე მიიღო, რომ ფაქტიურად ეკონომიკურ შეზღუდვამდე დავიდა. ამის გამო მისი მისამართით გაისმოდა მრავალრიცხოვანი კრიტიკული შენიშვნები. მას უწოდებდნენ „ჯარიმას განვადებით“. 1958 წლის შემდეგ ასეთი სახელწოდების სასჯელი („გამასწორებელი სამუშაო“) პოლონეთის კანონმდებლობაში არ არის.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღების დროს პოლონეთის კანონმდებლობამ ვაითვალისწინა გამასწორებელ სამუშაოთა გამოყენების გამოცდილება. ამიტომ, კანონმდებლის აზრით, თავისუფლების შეზღუდვა რამდენადმე უფრო მძიმე სასჯელი უნდა ყოფილიყო, ვიდრე გამასწორებელი სამუშაო. ამისათვის გამასწორებელი სამუშაოს არსი არ უნდა ამოწურულიყო ეკონომიკური შეზღუდვით, არამედ პირიქით, სასჯელის ამ ღონისძიების ძირითადი აქცენტი გადატანილი უნდა ყოფილიყო იმ ელემენტებზე, რომლებიც ზღუდავენ მსჯავრდებულის პიროვნების თავისუფლებას, ხოლო ეკონომიკური ელემენტი მისი დამატებითი ნიშანი უნდა ყოფილიყო და არა ძირითადი.

2.3. სასჯელის ზომა ანალოგიური სახელწოდებით „თავისუფლების შეზღუდვა“⁶ შეტანილია აგრეთვე პოლონეთის 1971 წლის „გადაცდომათა კოდექსში“. იგი შედის იმ ოთხ ძირითად სასჯელთა სიაში, რომელთაც ეს კოდექსი ითვალისწინებს გადაცდომებისათვის, ე. ი. ისეთი მოქმედებებისათვის, რომლებიც ისჯება პატიმრობით 3 თვემდე, თავისუფლების შეზღუდვით 3 თვემდე, ჯარიმით 5.000 ზლოტამდე ან გაკიცხვით.

ეს სასჯელი წარმოადგენს მოდიფიკაციას, რომელიც გადაცდომათა კოდექსის მოთხოვნებზე შეესაბამება. განსხვავება ის არის, რომ გადაცდომათა კოდექსში არ შევიდა ნორმები, რომელთა განხორციელებაც თავისუფლების შეზღუდვის მეტად ხანმოკლე (სამთვიანი) ვადის პირობებში შეუძლებელია. ამგვარად, გადაცდომათა კოდექსი ითვალისწინებს არა ოთხი, არამედ სამი სახის შეზღუდვას. კერძოდ, მასში შეტანილი არ არის საზოგადოებრივ ორგანიზაციებში რაიმე ფუნქციის შესრულების აკრძალვა. არ არის ვათვალისწინებული აგრეთვე სასჯელის ვადადღე მოხდის შესაძლებლობა.

2.4. ანალოგიური სახელწოდების სასჯელის ღონისძიება გვხვდება აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულს სამხედროთა მიერ. კერძოდ, ამ კოდექსის 294-ე მუხლი უფლებას აძლევს სასამართლოს, თუ იგი ცნობს, რომ დამნაშავე იმსახურებს სასჯელად სამხედრო პატიმრობას 6 თვის ვადადღე, დაუნიშნოს მას თავისუფლების შეზღუდვა ვადით ერთი თვიდან ერთ წლამდე.

ამ სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებული: ა) ვალდებულია, მეცადინეობისა და სამსახურისაგან თავისუფალ დროს დარჩეს განსაზღვრულ ადგი-

⁶ გამასწორებელი სამუშაო სასჯელის სახით შემოღებული იყო 1950 წლის 19 აპრილის კანონით „შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების შესახებ“ (Dz. u. № 20, ПОЗ. 168). ხოლო იგი გააუქმა 1956 წლის 10 სექტემბრის კანონმა (Dz. u. № 41, ПОЗ. 187) ეს სასჯელი გამოიყენებოდა დანაშაულთა მეტად ვიწრო, სპეციფიკური წრის მიმართ.

⁷ 1971 წლის 20 მაისის კანონი (Dz. u. № 12, ПОЗ. 114).

ლას კვირაში ორი დღისა და სამუშაოსაგან თავისუფალი დღეების განმავლობაში: ბ) მას არა აქვს უფლება არმიაში მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში განახორციელოს რაიმე ფუნქცია; გ) არ შეიძლება გადაყვანილ იქნეს უფრო მაღალ თანამდებობაზე ან მიიღოს უფრო მაღალი სამხედრო წოდება; დ) ვერ ისარგებლებს შევებულებით.

გარდა ამისა, სასამართლოს შეუძლია მიუსაჯოს მას ხელფასის დაქვითვა 10-დან 25 პროცენტამდე, ან დაწესებული მიყენებული ზარალის ანაზღაურება, ან დაზარალებულის წინაშე ბოდიშის მოხდა.

თავისუფლების შეზღუდვის იმ ღონისძიებაში, რომელსაც ნიშნავს სამხედრო ტრიბუნალი, პიროვნების თავისუფლებას აღმკვეთი ელემენტები გაცილებით უფრო დიდ როლს ასრულებენ, ხოლო ეკონომიკური შეზღუდვის ელემენტი სავალდებულო არ არის. ეს ზომა იმდენად გამასწორებელ სამუშაოს კი არ უახლოვდება, რამდენადაც შინაურ პატიმრობას, რომელიც 1969 წლამდე არსებობდა და დღესაც არსებობს როგორც ტრადიციული სასჯელი მრავალი ქვეყნის სამხედრო სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

2.5. ჩვენი სპეციალური ინტერესის საგანს ამჟამად წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვის ის სახე, რომელიც სისხლის სამართლის ზოგად ნაწილშია გათვალისწინებული. იგი სავსებით იმსახურებს ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგანაც ხსენებულ სამ სახეს შორის იგი ყველაზე ხშირად ენიშნებათ სისხლისსამართლებრივი დარღვევის ჩამდენ პირებს.

3. თავისუფლების შეზღუდვა, როგორც სასჯელის სახე, ცხარე დისკუსიის საგანი იყო ახალი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შედგენის დროს როგორც იურიდიული მეცნიერების წარმომადგენელთა, ისე პრაქტიკოსთა შორის. როგორც უფრო გვიანდელმა გამოკვლევებმა გვიჩვენა⁸, მოსამართლეთა გარკვეული, თუმცა შედარებით მცირერიცხოვანი ნაწილი, მის შემოღებას მხარს არ უჭერდა. კოდექსის მიღების შემდეგ სასამართლო პრაქტიკის წარმომადგენლებმა უკვე შეიცვალეს აზრი სასჯელის ახალი სახის შესახებ. ობიექტური მასალა ამ სფეროში წარმოადგინა პოლონეთის სხალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის სექტორმა 1973 წლის მეორე ნახევარში ასი მოსამართლის ანონიმური გამოკითხვის საფუძველზე. გამოკითხულთა 53 პროცენტი მხარს უჭერდა ახალ სასჯელს, 31 პროცენტი აგრეთვე დადებითად აფასებდა მას, მაგრამ აღნიშნავდა სიძნელებებს, რომლებთანაც დაკავშირებულია მისი სწორად შესრულებისადმი ზედამხედველობა, 8 პროცენტი სკეპტიკურად უყურებდა, ხოლო 6 პროცენტმა გადაჭრით გამოთქვა უარყოფითი შეხედულება ამ სასჯელზე (გამოკითხულთა 2 პროცენტი ამ თემას სრულიად არ შეეხო)⁹. მხედველობაშია

⁸ 1969 წლის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებისთანავე ახალი სისხლისსამართლებრივი სასჯელების კრამინალურ-პოლიტიკურ და დოგმატიკურ პრობლემატიკას მრავალი მეცნიერული ნაშრომი მიეძღვნა. ამ საკითხებს მთელ რიგ მეცნიერულ ცენტრებში ამუშავებდნენ. ასეთი ხასიათის გამოკვლევები ჩატარდა აგრეთვე პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის სექტორში. თავისუფლების შეზღუდვის პრობლემატიკა დამუშავდა სტატისტიკური ანალიზის, სისხლის სამართლის საქმის მასალების ანალიზის და პრაქტიკის წარმომადგენელთა აზრის გამოკვლევის მეშვეობით.

⁹ შეადარე ლ. კუბიციკი, ი. სკუპინსკი, ე. ვოიცხოვსკი, „მოსამართლეთა შეხედულებები თავისუფლების შეზღუდვის შესახებ“ Studia Prawnicze, 1974, № 3-41, გვ. 59 და შემდეგ.



მიხედობი, რომ ეს აზრი გამოითქვა კოდექსის ძალაში შესვლიდან 4 წლის შემდეგ, ე. ი. როდესაც უკვე შექმნილი იყო განსაზღვრული გამოცდილება.

პირველი სამი წლის განმავლობაში დღიდან კოდექსის მიღებისა თავისუფლების შეზღუდვას, სხვა სასჯელებთან შედარებით, მეტად იშვიათად იყენებდნენ. მას უსჯიდნენ მსჯავრდებულთა 10 პროცენტზე ნაკლებს. ამ პერიოდის განმავლობაში სასამართლო განაჩენთა სტატისტიკაში განუწყვეტლივ მცირდება სასჯელად ჯარიმის დანიშვნის პროცენტი (1970 წელს იყო 20,2 პროცენტი, ხოლო 1972 წელს — 8,3 პროცენტი), მაგრამ ამავე დროს უცვლელი რჩებოდა თავისუფლების აღკვეთის მისჯის პროცენტი. ეს კი ადასტურებს, რომ ახალმა დონისძიებამ, თუმცა ხელი არ შეუწყო თავისუფლების აღკვეთის განაჩენთა შემცირებას, სამაგიეროდ შეამცირა სასჯელად ჯარიმის დანიშვნის შემთხვევები.

ამგვარად, პირველი სამი წლის გამოცდილებამ არ გაამართლა ის იმედები კრიმინალური პოლიტიკის დარგში, რომლებიც დაკავშირებული იყო ახალი სასჯელის შემოღებასთან. მაგრამ ეს იყო დასაწყისი ხანა, ახალი პრაქტიკის დამკვიდრების ხანა. მხოლოდ მომდევნო წლებს შეეძლო მოეტანა ცვლილება ამ სფეროში.

ცხრილი № 1 გვიჩვენებს განაჩენთა სტრუქტურას 1970-1976 წლების განმავლობაში სასჯელის ცალკეული სახეების მიხედვით და საშუალებას გვაძლევს შევადაროთ პირველი სამი წელი მომდევნო პერიოდს¹⁰.

1970	172753	100,0	51079	29,6	75282	43,6	11294	6,5	3487	20,2
1971	204318	100,0	60562	29,6	8837	43,5	19814	9,7	34816	17,0
1972	177378	100,0	63307	35,9	87657	49,4	10603	6,0	15338	3,6
1973	159072	100,0	59593	37,5	68221	42,9	14112	8,9	16708	10,5
1974	152298	100,0	61946	40,7	6740	37,3	15815	10,4	17702	11,6
1975	167623	100,0	58980	35,3	60689	36,3	22736	13,6	24485	14,7
1976*	159600	100,0	48565	30,4	60879	38,2	24935	15,6	24886	15,6

* 1976 წლის მონაცემები შეეხება მხოლოდ ისეთ დანაშაულს, რომელიც იდენება სახელმწიფო ბრალდების მიხედვით.

როგორც ცხრილიდან ჩანს, თავისუფლების აღკვეთის შეზღუდვა, 1973 წლიდან დაწყებული, სულ უფრო ვრცელდება სასამართლო პრაქტიკაში. ამას თან ახლავს ჯარიმების დანიშვნის რიცხვის ზრდა და პირობითი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის პარალელურად შემცირება. ეს ნიშნავს, რომ იმ სასჯელთა საერთო რიცხვში, რომლებიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან, თავისუფლების შეზღუდვის ხვედრითი წონა თანდათანობით მატულობს. თავისუფლების შეზღუდვისა და ჯარიმის გამოყენების მატებასთან ერთად 1975

¹⁰ ამ წერილში მოტანილი მონაცემები 1970-1975 წლებისათვის აღებულია ი. სკუპინსკის წერილიდან „თავისუფლების შეზღუდვის სასჯელი 1973-1975 წწ. სასამართლო განაჩენებში“. „Studia Prawnicze“, 1977, № 4/54, გვ 71 და შემდეგ, აგრეთვე ი. ისინსკის წერილიდან „სასამართლოთა“ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ფორმირება 1972-1976 წლებში („Panstwo u Prawo“, 1978, № 2, გვ. 42 და შემდეგ).

1970-1975 წლის მონაცემები შეეხება განაჩენებს იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც იდენება სახელმწიფო და კერძო ბრალდებით, ხოლო 1976 წლის მონაცემები — განაჩენებს მხოლოდ იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც სახელმწიფო ბრალდებით იდენება.

წლიდან მცირდება აბსოლუტური თავისუფლების აღკვეთის განაჩენთა რაოდენობა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამ წლიდან თავისუფლების შეზღუდვის უფრო ფართო მასშტაბით გამოყენება ხელს უწყობს სასამართლოთა სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის იმ მიმართულებით წარმართვას, რომელიც დასახული იყო 1969 წლის სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავების პერიოდში. სრული შეფასება შესაძლებელი იქნება, რა თქმა უნდა, გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც საშუალება გვექნება ვიმსჯელოთ იმის თაობაზე, თუ რამდენად მუდმივი ხასიათი აქვს ამ მიმართულებას¹¹.

4. სასამართლო პრაქტიკამ ხსენებული შვიდი წლის განმავლობაში ევოლუცია განიცადა არა მარტო თავისუფლების შეზღუდვის გამოყენების დიაპაზონში სხვა სასჯელებთან შედარებით, არამედ აგრეთვე კონკრეტული რაოდენობითაც: ყოველივე ეს განპირობებულია იმ ფორმით, რომელსაც აძლევს სასამართლო პრაქტიკა ამ დონისძიებას.

ამ ფორმას სამი ძირითადი მომენტი განსაზღვრავს: ა) ხსენებული ღონისძიების ფორმის შერჩევა, ე. ი. შრომითი ბეგარის სამი ვარიანტიდან, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის 1-3 პარაგრაფებში, ერთ-ერთის შერჩევა (გავიხენოთ ეს ვარიანტები: საზოგადოებრივი მიზნებით უსასყიდლოდ, ზედამხედველობის ქვეშ მუშაობის ვალდებულება — § 1, განსაზოგადებელ სექტორში მომუშავე პირისათვის ხელფასიდან განსაზღვრული პროცენტის დაქვითვა — § 2 და განსაზოგადებელ სექტორში სამუშაოდ გაგზავნა, დაკავშირებული ხელფასიდან დაქვითვასთან — § 3); ბ) სასჯელის ხანგრძლივობის განსაზღვრა 3 თვიდან 2 წლამდე ფარგლებში; გ) ზედამხედველობის ქვეშ უსასყიდლოდ მუშაობის საათების განსაზღვრა (მუხ. 34-ე, § 1) ან ხელფასიდან დასაქვითი თანხის ოდენობის განსაზღვრა (მუხ. 34-ე, § 2 და § 3); მხედველობაში მისაღებია აგრეთვე 35-ე მუხლში გათვალისწინებული დამატებითი ვალდებულებების დაკისრება (დაზარალებულის წინაშე ბოდიშის მოხდა, დანაშაულით მიყენებული ზარალის მთლიანად ან ნაწილობრივი ანაზღაურება).

სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს სასამართლო სტატისტიკის ცნობები ხელფასიდან დასაქვითი თანხისა და საზოგადოების სასარგებლოდ უსასყიდლოდ მუშაობის საათების ოდენობის შესახებ. რაც შეეხება ხსენებული სასჯელის დანარჩენ ელემენტებს, მათ თანამიმდევრულად შევვხებით.

4. 1. სასამართლოს მიერ თავისუფლების შეზღუდვის განმსაზღვრელი ცნობები სამწუხაროდ არ შეგვიძლია მთლიანად წარმოვადგინოთ შვიდივე წლისათვის (1970-1976), რადგანაც მე-2 ცხრილში ყველა წყარო ერთნაირი არ არის. ისინი მაინც შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს, რამდენადაც განსხვავება ამ წყაროებს შორის უმნიშვნელოა, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ შეფარდებით რიცხვებს.

1970-1976 წლების განმავლობაში არსებული ტენდენციები წარმოდგენილია 2 ცხრილით.

¹¹ 1977 წელი ვერ მოგვეცემა, სამწუხაროდ, ამ მიზნისათვის სანდო მონაცემებს, რადგანაც ეს წელი, ამნისტიის განხორციელების გამო, ტიპური არ იყო (შეად. 1977 წლის 19 ივლისის დეკრეტი ამნისტიის შესახებ, Dz. u. № 24. მოვ. 102).

თავისუფლების შეზღუდვის სახეები 1970-1976 წლებში

წელი	სულ თავისუფლების სახეები	თავისუფლების შეზღუდვის სახე (ფორმა, ვარიანტი)					
		მუხ. 34 § 1		მუხ. 34 § 2		მუხ. 34 § 3	
1970	14058*	6172	43,9	7277	51,8	609	4,2
1971	18349**	7682	41,9	9934	54,2	733	4,0
1972	9718**	3702	38,1	5713	58,8	303	3,1
1973	14112***	5018	35,6	8391	59,5	703	5,0
1974	15815***	5339	33,8	9431	59,8	1025	6,5
1975	22736*	9434	41,5	11632	51,2	1670	7,3
1976	24935*	11470	46,0	10790	43,3	2675	10,7

* კანონიერ ძალაში შეუსვლედი განაჩენები იმ დანაშაულებზე, რომლებიც იდევნება სახელმწიფო და კერძო ბრალდებით.

** კანონიერ ძალაში შესული განაჩენები იმ დანაშაულებზე, რომლებიც იდევნება სახელმწიფო ბრალდებით.

*** კანონიერ ძალაში შესული განაჩენები იმ დანაშაულებებზე, რომლებიც იდევნება სახელმწიფო და კერძო ბრალდებით.

მე-2 ცხრილის მონაცემთა შეჯერება და შედარება უფლებას გვაძლევს დავადასტუროთ, რომ დღემდე სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული იყო ორი სრულიად განსხვავებული ტენდენცია.

1970-1972 წლებში მუდმივად და თანაბრად მატულობდა თავისუფლების შეზღუდვის ის სახე, რომელიც დაკავშირებულია მსჯავრდებულის მუშაობის ადგილზე მის მიერ მისაღები ხელფასიდან განსაზღვრული პროცენტის დაკავებასთან. მსჯავრდების ეს სახე აშკარად გაბატონებული იყო 1972 წელს. ამის პარალელურად ასევე სისტემატურად ნიკირდებოდა მსჯავრდებულისათვის უსასყიდლოდ, ზედამხედველობის ქვეშ მუშაობის ვალდებულების დაკისრების შემთხვევები, აგრეთვე უმუშევარი მსჯავრდებულების გაგზავნა განსაზღვრულ სექტორში რაიმე სამუშაოს შესასრულებლად.

მომდევნო ორი წლის განმავლობაში ძირითადად დარჩა ასეთივე მიმართულება, თუ მხედველობაში მივიღებთ პირველ ორ სახეს: შემდგომში იზრდებოდა (თუმცა გაცილებით ნაკლები ინტენსიურობით) მსჯავრდება 34-ე მუხლის მე-2 პარაგრაფით და ნიკირდებოდა იმ განაჩენების დინამიკა, რომლებითაც ინიშნებოდა უსასყიდლო სამუშაო ზედამხედველობის ქვეშ. სამაგიეროდ აშკარად გაიზარდა იმ განაჩენების დინამიკა, რომლებითაც ინიშნებოდა უმუშევარი მსჯავრდებულის გაგზავნა მუდმივ სამუშაოზე.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ზედამხედველობის ქვეშ უსასყიდლო სამუშაოზე გაგზავნის მისჯის პროცენტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. გაიზარდა აგრეთვე მსჯავრდებულთა გაგზავნა მუდმივ სამუშაო ადგილას. ამასთან ერთად მკვეთრად შემცირდა დინამიკა განაჩენებისა მუდმივ სამუშაო ადგილზე ხელფასის დაქვითვის შესახებ; 1976 წელს იგი უკვე აღარ არის პირველ ადგილზე, ახლა უკვე უპირატესობა აქვს უსასყიდლოდ, ზედამხედველობის ქვეშ მუშაობას, რაც სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ხსენებული სახელების ძირითადი სახე უნდა ყოფილიყო.



4.2. თავისუფლების შეზღუდვის ყველაზე უფრო ობიექტური კონკრეტული საზომია ამ შეზღუდვის ვადა. დროის მიხედვით თავისუფლების შეზღუდვის 1970-76 წლის განმავლობაში ახასიათებდა ზოგიერთი ძირითადი თავისებურება, რომლებიც ასახულია მე-3 ცხრილში.

ცხრილი 3

თავისუფლების შეზღუდვის განსაზღვრის ვადები
1970-1976 წლების განმავლობაში

წელი	სულ	ვა დ ე ბ ი						
1970	14058*	100,0	7215	51,3	62400	44,4	603	4,3
1971	22159*	100,0	11213	50,6	10146	45,8	800	3,6
1972	11136*	100,0	5332	47,9	5300	47,6	4504	4,5
1973	14112**	100,0	4620	32,7	8244	58,4	1248	8,8
1974	15815**	100,0	4162	26,3	9808	62,0	1845	11,7
1975	22736*	100,0	4752	20,9	14125	62,1	3859	17,0
1976	249,35***	100,0	3879	15,5	15063	00,3	5993	24,0

* კანონიერ ძალაში შეუსვლედი განაჩენები იმ დანაშაულებებზე, რომლებიც იდევნება სახელმწიფო და კერძო ბრალდებით;

** კანონიერ ძალაში შესული განაჩენები იმ დანაშაულებებზე, რომლებიც იდევნება სახელმწიფო და კერძო ბრალდებით;

*** კანონიერ ძალაში შესული განაჩენები იმ დანაშაულებებზე, რომლებიც იდევნება სახელმწიფო და კერძო ბრალდებით.

მე-3 ცხრილიდან ჩანს, რომ თავისუფლების შეზღუდვის ვადების ზრდა მნიშვნელოვნად უფრო ინტენსიური იყო 1973-1976 წლებში, ვიდრე პირველი სამი წლის განმავლობაში, მაშასადამე, მცირე პერიოდში სასამართლო პრაქტიკას ახასიათებს შეზღუდვის ამ ელემენტის ზრდის ტენდენცია.

4. 3. რაც შეეხება იმ დამატებით ვალდებულებებს, რომლებიც ეკისრებათ მსჯავრდებულთ 35-ე მუხლის საფუძველზე, ე. ი. დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და დაზარალებულის წინაშე ბოდიშის მოხდას, აქ საქმის მდგომარეობას ვეცნობით მე-4 ცხრილის მიხედვით.

ცხრილი 4

35-ე მუხლით დაკისრებულ ვალდებულებათა სურათი 1970-1975 წლებში

წელი	სულ	მისჯილი აქვს თავისუფლების შეზღუდვა				
		ზარალის სავალდებულო ანაზღაურებით (მუხ. 35, ნაწ. I)		სულ	დაზარალებულის წინაშე ბოდიშის მოხდით (მუხ. 35, ნაწ. II)	
		რაოდენობა	%		რაოდენობა	%
1970	1458*	1212	8,6	11294	612	5,4
1971	22159*	1664	7,5	19814	914	4,6
1972	11136*	859	7,6	10603	443	4,2
1973	14112	936	6,6	14112	514	3,6
1974	15815	1174	7,4	15815	443	2,7
1975	22736	1418	6,2	22736	422	1,9

* კანონიერ ძალაში შეუსვლელი განაჩენები იმ დანაშაულებებზე, რომლებიც იდევნება სახელმწიფო ან კერძო განაჩენით.

მე-4 ცხრილის მონაცემთა საფუძველზე შეგვიძლია დავსკვნათ, რომ სასამართლოები მეტად ვიწრო დიაპაზონით იყენებენ ამ მოვალეობათა დაკისრების შესაძლებლობას. მათი გამოყენების ინტენსიურობა აშკარად მცირდება. ეს განსაკუთრებით ითქმის ბოდიშის მოხდის ვალდებულებაზე, რომელმაც მონაშაპართლეთა შორის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

ამავე დროს მარტოოდენ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ვერ გამოვიტანთ საბოლოო დასკვნას იმის თაობაზე, თუ როგორია სასამართლო პრაქტიკის ტენდენცია ზარალის ანაზღაურების დაკისრების საკითხში.

ამის მიზეზია ჯერ ერთი, ის, რომ მოსამართლემ ჩვენი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის თანახმად ზარალის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება დააკისროს დამნაშავეს ორი, ურთიერთ კონკურენციაში მყოფი ნორმის საფუძველზე. ეს ნორმებია სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის I პუნქტი (თავისუფლების შეზღუდვის მისჯასთან დაკავშირებით დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება) და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 363-ე მუხლის 1-3 პარაგრაფები¹². მეორე, ზარალის ანაზღაურების ვალდებულება სასამართლომ შეიძლება დააკისროს დამნაშავეს, ისევე, როგორც ყველა სხვა საქმეზე, სამოქალაქო სარჩელის აღძვრასთან დაკავშირებით, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის.

ამიტომ იმ კითხვას, თუ რამდენად იყენებს სასამართლო უფლებამოსილებას, რომელიც მას მინიჭებული აქვს 35-ე მუხლის 1 პუნქტით, შეიძლება ვუპასუხოთ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მხედველობაში მივიღებთ ზიანის ანაზღაურების დაკისრების ყველა შესაძლებლობას იმ საქმეებზე, რომლებზეც გამოტანილია თავისუფლების შეზღუდვის განაჩენი.

5. თავისუფლების შეზღუდვა კანონმდებლისათვის იყო ერთგვარი ექსპერიმენტი. იგი მან ჩაატარა ისეთ ახალ გამასწორებელ სასჯელთა ძიების პროცესში, რომლებსაც ეფექტიანად უნდა შეეცვალა თავისუფლების აღკვეთა.

ჩვენი აზრით, იმ დაბრკოლებებისა და სიძნელების დაძლევის შემდეგ, რომლებიც თან ახლდა ამ სასჯელის გამოყენებას მისი შემოღების პირველ პერიოდში, ეს ღონისძიება სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იჭერს პოლონეთის კანონმდებლობის გამასწორებელ ღონისძიებათა სისტემაში. ამას ადასტურებს, უპირველეს ყოვლისა, მისი სულ უფრო მეტი მასშტაბით გამოყენება, რასაც თან სდევს აბსოლუტური თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შემცირება.

რა თქმა უნდა, დღეს ჯერ კიდევ კატეგორიულად ვერ ვიტყვი, თუ პრაქტიკაში არსებული ზემოთ ნახსენები ტენდენციიდან რომელი დამკვიდრდება როგორც მუდმივი და რომელი აღმოჩნდება გარდამავალი. მაგრამ უკანასკნელი ორი წლის ტენდენცია ადასტურებს, რომ იმელები, რომლებსაც ამჟამად კანონმდებელი სასჯელის ამ ღონისძიების შემოღებაზე უკვე გამართლებულია.

¹² ეს მდგომარეობა აკლავს მოსამართლებს დააკისროს ფულადი ზარალის ანაზღაურება დაზარალებული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საწარმოს სასარგებლოდ, თუ აღძრული არ იყო სამოქალაქო სარჩელი, განაჩენი კი გამოტანილია დანაშაულისათვის, რომელმაც ზარალი მიყენა საზოგადოებრივ ქონებას.

ქართული საბაქთონის ინჟოკიის გუბომოვინა ეკვლევაკი



მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ქართული სამართლებრივი კულტურის აღიარებულ მკვლევართა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკუთვნის დავით ფურცელაძეს. მისი ცხოვრების გზა საუკუნის სამ მეთხედზე მეტი ხნის წინათ — 1902 წლის 25 ნოემბერს (8 დეკემბერს) დაიწყო და ბევრი ღირსშესანიშნავი მოვლენით აღინიშნა.

დავით ლევანის ძე ფურცელაძე თბილისში, გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ანტონ ფურცელაძის ოჯახში დაიბადა და ერთ-ერთი კულტურის ტრადიციებზე აღიზარდა. დავითის დედა მასწავლებლობდა, ხოლო მამა თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის მოსამსახურე იყო და საბჭოთა ხელისუფლების დამყარე-

ბის შემდეგაც განაგრძობდა მუშაობას საკრედიტო სისტემაში.

საშუალო განათლება დავითმა მიიღო თბილისის პირველ გიმნაზიაში (ოდეს-დაც კეთილშობილთა სასწავლებელი), რომელიც 1920 წელს ოქროს მედლით დაამთავრა. გიმნაზიის დამთავრებისთანავე შევიდა თბილისის უნივერსიტეტში და 1926 წელს წარჩინებით დაასრულა სოციალ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილება.

დ. ფურცელაძის მომავალი საქმიანობა კარგა ხანს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ წარიმართა. დავითი სტუდენტობაშივე ამჟღავნებდა მეცნიერული მუშაობისადმი მიდრეკილებას, აქტიურად მონაწილეობდა ლ. ანდრონიკაშვილისა და ე. ტატიშვილის სემინარებში, იმთავითვე მუყაითობითა და საზრიანობით გამოირჩეოდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი მას არ მიეცა შესაძლებლობა მეცნიერულ მუშაობას შედგომოდა. ოჯახური პირობების გამო იძულებული გახდა პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაბმულიყო. დ. ფურცელაძემ სამსახური სტუდენტობიდანვე დაიწყო. იგი, მართალია, დედისურთა იყო, მაგრამ განვითარებული არასოდეს ყოფილა. 1926 წელს კი მამა გარდაეცვალა და მას შემდეგ ოჯახის რჩენის ტვირთი მთლიანად მას დააწვა.

სამსახურთან ერთად დავითი თავის სიყრმისეულ გატაცებასაც არ ივიწყებდა და აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა მთამსვლელო-ტურისტულ მოძრაობაში. 1941 წელს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტმა მთამსვლელობის კურსის წასაკითხად მიიწვია. სამა-

მულო ომის დროს დ. ფურცელაძე საბჭოთა არმიის რიგებში ეწეოდა მუშაობას სამთო მომზადების დარგში, რაც მედლებითა და სხვა ჯილდოებით აღინიშნა. სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში პრეზიდენტის თანაშემწედ, ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორად, ბოლოს აკადემიის პრეზიდიუმის სწავლულ მდიანად.


რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აპარატში მისვლისთანავე დ. ფურცელაძე იწყებს ინტენსიურ მუშაობას თავისი ძირითადი სპეციალობის — სამართალმცოდნეობის დარგშიც. 1949-53 წლებში კითხულობს სამოქალაქო სამართლის პროცესისა და სასამართლო წყობილების კურსებს. თავისი მეცნიერული მოღვაწეობის სფეროდ დავითმა საბოლოოდ ქართული სამართლის ისტორია აირჩია. არჩევანი პირადად მიდრეკილებამ და ოჯახურმა ტრადიციებმა განსაზღვრა. ერთნული სამართალშემოქმედების საკითხებით დავითი სტუდენტობიდანვე დაინტერესდა, როცა ისმენდა ივ. ჯავახიშვილის კურსს ქართული სამართლის ისტორიაში. 1959 წელს დ. ფურცელაძე მუშაობას იწყებს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორში. იგი ამჟამადაც ნაყოფიერად იღვწის ამ სექტორის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებაში.

მიუხედავად იმისა, რომ დ. ფურცელაძე გვიან ჩაება საკვლევაძიებო მუშაობაში, მან შედარებით მოკლე დროის მანძილზე მნიშვნელოვან მეცნიერულ შედეგებს მიაღწია. ეს განაპირობა მისმა წინასწარმა საფუძვლიანმა მომზადებამ, დიდმა ბუნებრივმა ნიჭმა და, რაც მთავარია, გასათვარმა შრომისმოყვარეობამ. დავითმა მთელი რიგი მაღალხარისხოვანი მონოგრაფიული გამოკვლევები და მეცნიერული სტატიები დაწერა. ამათგან

აქ მხოლოდ ზოგიერთის მოკლე მიმოხილვა-დახასიათება იქნება წარმოდგენილი.

პირველ ხანებში დ. ფურცელაძე XVIII და XIX საუკუნეთა მიჯნაზე შემუშავებულ სამართლებრივ ძეგლებს იკვლევდა. მან შეისწავლა თანამედროვეთაგან „სამოქალაქო ჰსჯუღვილებად“ წოდებული კანონპროექტთა კრებული. მანამდე თითქმის უცნობი ამ მნიშვნელოვანი ძეგლის დაწერილებითი კვლევა-ძიების შედეგები 1960 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა. თვით კრებულის ტექსტი ლექსიკონითა და საძიებლებით 1966 წელს გამოიცა. სამეცნიერო ბრუნვაში მოექცა სარეფორმო საქმიანობის თავისებური ძეგლი, რომელიც ასახავს იმდროინდელ სამართლებრივ სინამდვილეს, ქალაქის მოსახლეობის მართლშეგნებას და ცხოვრების მოსაწესრიგებლად გამიზნულ საკანონმდებლო ღონისძიებებს.

1964 წელს დ. ფურცელაძემ გამოსცა ძეგლი ქართული სჯულმდებლობის ყველაზე გვიანდელი საკოდიფიკაციო ძეგლი — „სამართალი ბატონისშვილის დავითისა“, რომელსაც ვრცელი გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონიც დაურთო. დავით ბატონისშვილის საკანონმდებლო განზრახულობა საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მეტად საყურადღებო წყაროა, რომელშიც არეკლილია ქართლ-კახეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ქართული სამართლებრივი კულტურის დონე საქართველოს რუსეთთან შეერთების წინა პერიოდში. დ. ფურცელაძის ნაშრომში თვალგაღვწეულია დასავლეთის სოციალურ-პოლიტიკური აზრის საქართველოში შემოჭრის გზა და ფარგლები, ნაჩვენებია საერთოდ სარეფორმო საქმიანობის მიმართულეობა და პირობები, დახასიათებულია დავით ბატონისშვილის პიროვნება, შეფასებულია მისი თავისუფალი მოაზროვნეობა — „ვოლტერიანობა“; განხილულია დავით ბატონისშვილის



„სამართალი“ ძველის ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით — მისი სისტემის, შედგენილობა-შინაარსისა და ფორმის მხრივ, წარმოჩენილია სამართლებრივი მოწესრიგების სფეროს სიფართოვე, დიდძალი ძველი ქართული და უცხო მასალის კრიტიკული ათვისება და თავისთავადი გადამუშავება, გამოკვლეულია „სამართლის“ დამოკიდებულება სხვა იმდროინდელ პროექტებთან და იურიდიულ-მიმოხილვითს ძეგლებთან, სამართლის სხვადასხვა დარგების ფართო ცოდნისა და მრავალგვარი მაგალითისა თუ შედარების საფუძველზე გამოვლენილია მისი წყაროები. ძველის პუბლიკაცია, რომელიც შესრულებულია მაღალი ისტორიულ-ფილოლოგიური ცოდნით, იძლევა ტექსტის კრიტიკულ სურათს და წარმოაჩენს მასზე ავტორის ხანგრძლივი მუშაობის პროცესს. ამ საკოდიფიკაციო ძეგლის გამოცემა და ღრმა მეცნიერული ისტორიულ-სამართლებრივი ანალიზი გახდა იმის საფუძველი, რომ დ. ფურცელაძეს 1969 წელს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მინიჭებოდა.

1969 წელსვე დ. ფურცელაძემ ჟურნალ „საბჭოთა სამართალიში“ გამოაქვეყნა სტატია ვახტანგ VI-ის სამემკვიდრეო კანონის შესახებ. ვახტანგ VI-ის კრებულის მოქმედებისა და მერმინდელი კანონმდებლობის საკითხებს იგი ეხება ნაშრომში, რომელიც 1973 წელს „ქართული სამართლის ისტორიის საკითხების“ პირველ წიგნში გამოქვეყნდა. აღსანიშნავია აგრეთვე „საბჭოთა სამართალში“ 1974 წელს დაბეჭდილი სტატია, რომელშიც ავტორი მრავალფეროვან ფაქტობრივ მასალებზე — იურიდიული დოკუმენტებისა და მხატვრული ლიტერატურის ცნობებზე, ფოლკლორულსა და დიალექტოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით თვალსაჩინოდ წარმოგიდგინებს სხვისშვილობის — ქართული სამართლის ამ თავისებური, თა-

ნაც მნიშვნელოვანი ინსტიტუტის ჩასახვა-განვითარების ისტორიულ პროცესს, სხვისშვილის სოციალურსა და სამართლებრივ მდგომარეობას.

დ. ფურცელაძის თანაავტორობით მომზადდა და დაიბეჭდა იურიდიული ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი). ბატონი დავითის ფასდაუდებელი წვლილი ამ მეტად რთული დარგობრივი ლექსიკონის შედგენაში ისტორიული მასალის, ეროვნული სამართლებრივი ტერმინების ღრმა ცოდნამ განაპირობა. მისი მეცადინეობით ბევრი ძველი ქართული იურიდიული შინაარსის სიტყვა-გამოთქმა აღდგა და თანამედროვე მნიშვნელობით დამკვიდრდა.

დავითი ხალისითა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით წერს ისტორიულ-იურიდიული შინაარსის სტატიებს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისათვის; ბევრი მათგანი უკვე დაიბეჭდა ენციკლოპედიის I, II და III ტომებში. ამ სტატიების უმეტესი ნაწილი კვლევითი ხასიათისაა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. ფურცელაძის დედაწლი ძველი ქართული სამართლის წიგნების რუსულ ენაზე თარგმნის ფრიად ძნელ, მაგრამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. კარგა ხანია, რაც იგი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის თარგმნას შეუდგა. კრებულის არსებულ რუსულ თარგმანსა და გამოცემებს, რომლებიც გასულ საუკუნეში შესრულდა, უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველოლოგიის განვითარებაში. ამასთანავე ისიც ეჭვგარეშეა, რომ დღესდღეობით ისინი, მეტი რომ არა ვთქვათ, მოძველებულია და ვეღარ აკმაყოფილებენ თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნებს. ამიტომ კრებულის ახლად თარგმნა და გამოცემა ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის პირველრივისეულ ამოცანას წარმოადგენს. ბატონმა დავითმა უკვე თარგმნა საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი, კა-

თალიკოსთა სამართალი და ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი. ამთგან, რაღა თქმა უნდა, გამოირჩევა ვახტანგის სამართალი, რომელიც დანარჩენთა მოცულობითაც ბევრად სჭარბობს და, რაც მთავარია, სხვებს თავისი შინაარსით, მრავალფეროვან საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწყობისგებითა და საკანონმდებლო ტექნიკის დონით აღემატება.

ვახტანგის სამართლის წიგნის დ. ფურცელაძისეულ თარგმანს ახასიათებს განსაკუთრებული სიზუსტე, დედანთან ზედმიწევნითი სიახლოვე. ნათარგმნ ტექსტში იგრძნობა ორიგინალის თავისებურება, ისტორიულ-სამართლებრივი ტერმინოლოგიის მოქნილად გამოყენება. სამართლის წიგნის ბევრი ადგილი ახლებურად და მართებულად არის გააზრებულ-გაგებული. ამასთან უაღრესი მეცნიერული კეთილსინდისიერებით, სკრუპულოზურად არის აღნუსხული წინამორბედ მთარგმნელთა თუ სხვა ავტორთა დამსახურება და მოსაზრებანი. თარგმანი აღჭურვილია სრულყოფილი სამეცნიერო აპარატით. იგი მალე გამოქვეყნდება და ამით მნიშვნელოვნად გაფართოვდება ძველი ქართული სამართლებრივი კულტურის ასპარეზი, მსოფლიო მეცნიერულ ბრუნვაში ჩაერთვება ისტორიულ-შედარებითი სამართალმცოდნეობის თვალსაზრისით მეტად საინტერესო და უხვი მასალის შემცველი ვახტანგისეული სჯულისდებების ახალი თარგმანი, რომელიც შესრულებულია თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

დიდად მნიშვნელოვანია საძიებლები, რომლებიც დ. ფურცელაძემ ცალკეულ სამართლებრივ ძეგლთა პუბლიკაციებს დაურთო. ისინი სანიმუშო და ყოველმხრივ საიმედოა. შეიძლება სრულიად დამშვიდებული იყო, რომ ძეგლში შენთვის საინტერესო ტერმინის ხმარების არც ერთი შემთხვევა არ გამოგრჩება, ყველა ფორმა

ზუსტად იქნება აღნუსხული და გამოტანილი საძიებელში.

საერთოდ, დ. ფურცელაძის დამახასიათებელი თვისებაა ჩადრმავებული კვლევა-ძიება. მისი სამეცნიერო მუშაობის რაობას ყველაზე უფრო სიტყვა „გამოწვლილივით“ მიესადაგება და გამოხატავს. დავითის ყოველ ნაშრომს ნათლად ეტყობა აზროვნების მაღალი კულტურა და ფართო ზოგადი განათლება. მისი ყველა გამოკვლევა სერიოზული წვლილია ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერების განვითარებაში. დავითის ნაშრომები დაწერილია დედაქართულით შეფერილი ძარღვმაგარი ენით, რომელსაც გარდასულ დროთა ტკბილქართულის სურნელიც ასდის.

დ. ფურცელაძე შესანიშნავი მოქალაქე და ერთგული, ჭირსა თუ ღხინში გამტანი ამხანაგია. დავითი საოცრად დაუსარებელია. პირადი გამოცდილებითაც ვიცი, თუ როგორი გულისყურით ეპყრობა და რა განსაკუთრებული ხალისით ეხმარება იგი ახალგაზრდა, დამწყებ მეცნიერ მუშაკს. მას ხშირად მიუტოვებია თავისი სამუშაო და სხვისთვის გაუწევია უანგარო, გულწრფელი დახმარება. დავითი დისერტანტების ოფიციალური ხელმძღვანელი არ ყოფილა, მაგრამ მისგან არაერთი მკვლევარია ძალიან დავალებული და მისი ფაქტობრივი ხელმძღვანელობით დისერტაციებიც მომზადდა.

სანიმუშოა და მისაბაძი დ. ფურცელაძის რედაქტორული საქმიანობა. იგი ისეთი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საქმეს, ისე ჩაუღრმავდება გამოსაცემ ნაშრომს და იმდენს მუშაობს ხოლმე, რომ მისთვის ჩვეულებრივი ვაგებით რედაქტორობა კი არა, ლამის თანავტორობა უფრო უპრიანია. მეგობრული ურთიერთობა ხელს არ უშლის იყოს უაღრესად ობიექტური რეცენზენტი. იგი ზედმიწევნით ზუსტად აფასებს სარეცენზიო ნაშრომის ღირსება-ნაკლოვანებებს, შენიშვნის სახით არცთუ იშვიათად საკუ-

თარ მოსაზრებასაც წამოაყენებს ხოლმე და დიდად ეზმარება ავტორს შემდგომ მუშაობაში.

აღსანიშნავია დ. ფურცელაძის ლიტერატურული საქმიანობა მთამსვლელობისა და ტურიზმის დარგში. მან გამოაქვეყნა წერილები, შეადგინა და გამოსცა კრებული „კავკასიონზე“. იგი თანაავტორია წიგნისა „მთამსვლელობა საქართველოში. 1923 — 1950 წლები“. დავითის სპორტულ ნაწერებს მიმზიდველობას მატებს მთის ტურიზმით თვით ავტორის გატაცება და მთამსვლელობის შემცნებით-ესთეტიკური მხარით დაინტერესება. დავითი თვითონაც ხომ ქართული ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მას მინიჭებული აქვს სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება.

დავითს ახლაც მშობლიური მთა-ბარისა და ქართული კულტურის ძეგლებისაკენ მიუწევს გული. მოგზაურობის შინს იგი ჩვენი ერთობლივი საკვირაო საოჯა-

ხო გასვლებითღა იკლავს. ძველებურად ზურგჩანთამოკიდებული დავითი ისევ მხნედ მიაბიჯებს, ამტანობასა და ყველაზე დიდ სიკეთეს — კაცურკაცობის თვისებებს, მშობელი ხალხის, სამშობლოს სიყვარულს უნერგავს უკვე დიდ გზებზე მეოცნებე ყმაწვილებს — ჩვენს წინ ეტიკებად მიმავალ სუბიასა და დათოს.

დავით ფურცელაძის კეთილმოსურნეთ გულით სწადიათ, რომ კიდევ დიდხანს იაროს მან ამ დალოცვილ მიწა-წყალზე და ხანგრძლივად ემსახუროს თავის საყვარელ საქმეს.

ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერებას კვლავაც ბევრს შესძენს დავითისათვის ჩვეული გარჯა, რომელსაც დიდი სულხან-საბა „მოუსვენებლობით შრომად“ განმარტავდა.


იბაკოზ მუხტაბარაძე,

ჟორიდიუჲ მეცნიერებათა კანდიდატი

30 წელი აქმინისგანსივლელ ოკგანოებში

საქართველოს იურიდიული საზოგადოებრიობა კარგად იცნობს ივანე მაღვას ძე ყორდანიას—მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, რომელიც ათეული წლებია დაუღალავად ემსახურება მართლმსაჯულების განხორციელებას.

ი. ყორდანიამ, იურიდიული ფაკულტეტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ პროკურატურაში. მალე იგი კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაიგზავნა ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებში. 1954—1955 წლებში დამთავრდა ლენინგრადის პროკურატურის ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. საქართველოში დაბრუნებისას ი. ყორდანია მუშაობას აგრძელებს რესპუბლიკის პროკურატურაში. მალე მისი უშუალო მონაწილეობით საქართველოს სსრ პროკურატურაში დაარსდა კრიმინალისტიკის კაბინეტი.



ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელიც ღრმად იყო დაუფლებული კრიმინალისტიკის სამეცნიერო ტექნიკურ სიახლეებს, დიდ დახმარებას უწევდა გამომძიებლებს დანაშაულის გახსნაში. ამ პერიოდში მან თვითონაც გამოიჩინა თავი, გახსნა მკვლელობის რამდენიმე ურთულესი საქმე. ამ საქმეების ფაბულა დაედო საფუძვლად 1962 წელს დასტამბულ მ. თოფურაძის წიგნს „საფლავის ქვა უწარწეროდ“, აგრეთვე ძმების არკადი და გიორგი ვიანერების რომანს — „მე გამომძიებელი“, რომელიც შემდეგ კინოსტუდია — „ქართულმა ფილმმა“ ეკრანზე გააცოცხლა.

1971 წელს ი. ყორდანიამ წარმატებით დაიცვა დისერტაცია მეტად აქტუალურ თემაზე — „დანაშაულის ჩადენის ხერხის ცნება, კლასიფიკაცია და სამართლებრივი მნიშვნელობა“, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს, პროკურატურის და შინაგან საქმეთა ორგანოების პრაქტიკული საქმიანობისათვის. ი. ყორდანია მრავალი სამეცნიერო სტატიისა და წიგნის ავტორია. სულ ახლახანს დაისტამბა მონოგრაფია დანაშაულის ჩადენის ხერხის ფსიქოლოგიურ-სამართლებრივი სტრუქტურის შესახებ.

ი. ყორდანია 15 წელზე მეტია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი. ღრმა თეორიულმა ცოდნამ და მდიდარმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ ხელი შეუწყო მას გამხდარიყო თავისი დარგის უზალო სპეციალისტი.

ჟურნალ — „სოციალისტიჩესკიე ზაკონოსტის“ შტატგარეშე კორესპონდენტი, „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, უმაღლესი სასამართლოს მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი სემინარის ხელმძღვანელი, უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებასთან არსებული იურიდიული სექციის წევრი — აი არასრული სია იმ საზოგადოებრივი დავალებებისა, რასაც ასრულებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრი ი. ჟორდანია.

ი. ჟორდანიას შრომა სათანადოდ არის დაფასებული, არაერთხელ აქვს გამოცხადებული მადლობები, მიღებული აქვს მთავრობის საპატიო ჯილდოები. ამ ცოტა ხნის წინ ი. ჟორდანიას 50 წელი შეუსრულდა. მივულოცოთ თავისი პროფესიის ჭეშმარიტ პატრიოტს, შესანიშნავ მოქალაქესა და პიროვნებას ეს თარიღი და ვუსურვოთ მას მომავალი ცხოვრება შრომითა და შთაგონებით აღსავსე ყოფილიყოს.


ლ. ჭანტურია



კრიტიკა და კიბეობრივი

კახენაია ქართველი სწავლული იურიდიის ნაბროშა უნგრულ ჟურნალში

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ჟურნალმა „იურიდიულმა გამოკვლევებმა“ 1978 წლის ოქტომბრის ნომერში გამოაქვეყნა უნგრელი მეცნიერის ფ. ლენკეს რეცენზია გ. ტყეშელაძის ნაშრომზე „სასამართლო პრაქტიკა და სისხლის სამართლის კანონი“, რომელიც 1975 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ რეცენზიის შინაარსს.




ის აღებული, რომელთა შესახებ პუბლიკაციები იშვიათია.

ავტორი სასამართლო პრაქტიკისა და სისხლის სამართლის კანონის კავშირს ორი ასპექტით განიხილავს, იკვლევს მას სამართლის შეფარდებისა და სამართალშემოქმედების თვალსაზრისით. იგი ცდილობს სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობა ნათელყოფს კომპლექსურად, სისხლის სამართლის კანონის შეფარდებისა და კანონმდებლობის განვითარებისა და სრულყოფის თვალსაზრისით.

თავდაპირველად ავტორი მიუთითებს, რომ იურიდიული პრაქტიკა, როგორც საზოგადოებრივი პრაქტიკის ნაწილი, შეიძლება იყოს სამი სახეობის: 1. სამართალშემოქმედების პრაქტიკა; 2. სამართლის შეფარდების პრაქტიკა; 3. უფლების განხორციელების პრაქტიკა. სამართლის შეფარდების სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკას. სასამართლო პრაქტიკის, როგორც სამართლებრივი რეალობის არსებობა დასაბუთებულია, უპირველეს ყოვლისა, იურიდიული ნორმების მაღალი ნორმატიულობითა და ამ საფუძველზე წარმოშობილი აუცილებლობით, რომ დაკონკრეტდეს კანონის ზოგადი მოთხოვნები ცალკეული შემთხვევების შესაბამისად. სასამართლო პრაქტიკა მრავალმნიშვნელოვანია. ფართო მნიშვნელობით იგი მოიცავს სასამართლო სისტემის ყველა რგოლის მოღვაწეობას კონკრეტულ საქმეთა გადასაწყვეტად. ვიწრო მნიშვნელობით სასამართლო პრაქტიკა მოიცავს

საქართველოს სამეცნიერო წრეებში ცნობილმა ავტორმა თავს იღო მნიშვნელოვანი თეორიული პრობლემის გადაწყვეტა, როცა შეუდგა საზოგადოებრივი პრაქტიკის მოთხოვნების საფუძველზე სისხლის სამართლის კანონის შექმნის, განმარტების და იურიდიულ პრაქტიკაში მისი შეფარდების საკითხის გულმოდგინე დამუშავებას. იგი შეეცადა განეზოგადებინა პრაქტიკაზე თეორიისა და თეორიაზე პრაქტიკის ზემოქმედების სპეციფიკა. მიუხედავად ჩარჩოს სივიწროვისა, ტყეშელაძე გულსარ უტებს მკითხველს და ადგენს შენობულ, ღრმა ურთიერთობას აბსტრაქტულ იურიდიულ ნორმასა და სასამართლო პრაქტიკას შორის, რითაც ამდიდრებს როგორც სისხლის სამართლის თეორიას, ისე პრაქტიკას.

წიგნს არა აქვს პრობლემის სისრულის პრეტენზია. ამის მიუხედავად იგი არ აღიქმება არასაკმარისად, რადგანაც გვაძლევს თემატიკური პროფილის ნათელ, თვალმისაწვდომ სურათს, ხოლო დეტალურად დამუშავებული საკითხები ისეთი დარგებიდან არ-



სასამართლოს მხოლოდ ისეთ მოღვაწეობას, რომელიც დაკავშირებულია კანონის კონკრეტულადი და მრავალგზის შეფარდების საფუძველზე განსაზღვრულ დებულებათა შემუშავებასთან. სასამართლო პრაქტიკის ფორმები: თავისუფალი სასამართლო სამართალშემოქმედება, სასამართლო პრეცედენტი, სასამართლო მოღვაწეობა სამართლის ნორმების შეფარდების საფუძველზე.

ავტორი იკვლევს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო განმარტებების სამართლებრივ ბუნებას, ანალიზებს დანაშაულის შემადგენლობასთან დაკავშირებულ საკითხებს და აღნიშნავს, რომ დანაშაულის შემადგენლობას აქვს სამი ფუნქცია: ფუნდამენტური, გამიჯნვითი და საგარანტიო. ფუნდამენტური ფუნქცია იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა ახატულებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

გამიჯნვითი ფუნქცია არის ის, რომ სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების აღწერა უზრუნველყოფს დანაშაულებრივ ქმედებათა გამიჯვნას ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც არ ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით. ამასთან, დანაშაულის შემადგენლობის საშუალებით კანონმდებელი საზოგადოებრივი საშიშროების დონის მიხედვით ერთმანეთისაგან მიჯნავს დანაშაულებებს, რომელთა ჩადენისთვისაც დაწესებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვადასხვა დონისძიება.

დანაშაულის შემადგენლობის საგარანტიო ფუნქცია ასახავს იმას, რომ დაუშვებელია სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიეცეს და დაისაჯოს პირი, რომლის მოქმედებაში არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, ე. ი. დანაშაულის შემადგენლობა. ეს ფუნქცია გამოხატავს კონსტიტუციით გარანტირებული პიროვნების თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის პრინციპს. სასამართლო პრაქტიკაში მკაცრად და თანამიმდევრულად არის დაცული საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა, რომ „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადებაში, ესე იგი ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგა-

დობრივად საშიში ქმედობა. სისხლის სამართლის სასჯელი გამოიყენება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით“ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი).

წინის მომდევნო თავში განხილულია დანაშაულის შემადგენლობა ღირებულების თეორიის თვალსაზრისით. როგორც ავტორი აღნიშნავს, ღირებულების მარქსისტულ-ლენინურმა თეორიამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს იურადიულ მეცნიერებაში, რომელიც თითქმის მთლიანად შეფასებითს და ნორმატიულ მეცნიერებას წარმოადგენს. მაგრამ ღირებულების თეორიის თვალსაზრისით სისხლის სამართლის ნორმის მიჩნევა შეფასებითს მსჯელობად არ ნიშნავს იმას, თითქოს იგი აღწერილობითს ელემენტს არ შეიცავდეს. საქმე ის არის, რომ ღირებულებითი მსჯელობა ყოველთვის გულსხეობს ინფორმაციას ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღირებულებითი მსჯელობა მოიცავს დესკრიპციულ ასპექტს, თუმცა ეს ასპექტი არ წარმოადგენს მის სპეციფიკას.

სისხლისსამართლებრივი ნორმის აღწერილობითი ასპექტი გამოიხატება იმით, რომ ქვეყნის წესთან ერთად მისი დისპოზიცია შეიცავს მითითებას დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებზე, რომელთა ერთობლიობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი და საკმარისი საფუძველია.

ამრიგად, სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიცია შეიცავს ქვეყნის წესს, მაგალითად, „ქურდობა აკრძალულია“, ადგენს ამ აკრძალული ქმედობის ნიშნებს — „სხვისი ქონების ფარული ვატაცება“. მასხალაძემ, დისპოზიცია უნდა განხილულ იქნეს როგორც შეფასებითი და აღწერილობითი მსჯელობების ერთიანობა. სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიცია განსაზღვრავს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, მაგრამ მისი იგივეობრივი არ არის.

თუ შეფასებითი მსჯელობა, ე. ი. ქვეყნის წესი იგულისხმება სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიციაში, მაშინ, ბუნებრივია, ისმება მართლწინააღმდეგობისა და დანაშაულის შემადგენლობის ფაქტობრივი კავშირის საკითხი. ეს საკითხი ფართო დისკუსიის საგანი იყო როგორც საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში, ისე მრავალი სოციალისტური ქვეყნის კრიმინალისტთა შორის. დავა წარმოებდა საკითხებზე, ახასიათებს თავად მართლწინააღმდეგობა დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანს, თუ იგი მისი

განსაკუთრებული, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ნიშანია? არ შეიძლება ფაქტის, ქმედობის აღწერა და ამ ფაქტის, ქმედობის შეფასება ერთ სიბრტყეში იქნეს განხილული. შეფასების საგანია ქმედობა, მაგრამ შეფასება, ბუნებრივია, ქმედობის იგივეობრივი არ არის. ამიტომ მართლწინააღმდეგობა, როგორც შეფასებითი მსჯელობა, არ შეიძლება ჩაითვალოს ნიშნად, რომელიც ჩართულია დანაშაულის შემადგენლობაში, როგორც აღწერილობითი მსჯელობაში.

დასკვნა, რომ დანაშაულის შემადგენლობა აღწერილობითი მსჯელობაა, დასტურდება საბჭოთა სისხლისსამართლებრივი ნორმების ანალიზით. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო ან წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას“. ეს აზრი ასახულია აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლში, ხადაც ნათქვამია: „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში“.

დანაშაულის შემადგენლობა შეიცავს საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ნიშნების აღწერას და თუ მოხსენიებულ შემთხვევებში მოქმედება არ ითვლება დანაშაულად, ეს აიხსნება არა შემადგენლობის ნიშნების არ არსებობით — ძნელი არსებობს, არამედ იმით, რომ თავად სისხლისსამართლებრივი ნორმა არ აფასებს მოცემულ ქმედობას დანაშაულად საზოგადოებრივი საშიშროების არ არსებობის გამო.

წიგნის შემდეგ თავში ავტორი განიხილავს ბურჟუაზიულ კრიმინალისტთა შეხედულებებს დანაშაულის შემადგენლობის შეფასებითი ნიშნების შესახებ, ხოლო შემდეგ უბრუნდება დანაშაულის შემადგენლობის აღწერილობითი და შეფასებითი ნიშნების საკითხს საბჭოთა სისხლის სამართალში.


საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი დიდხანს ითვლებოდა, აღწერილობითი ნიშნებად. საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში დანაშაულის შემადგენლობის შეფასებითი ნიშნების საკითხი პირვე-

ლად წამოჭრა ვ. კულრიაცევიმა მონოგრაფიაში „დანაშაულის შემადგენლობის კვალიფიკაციის თეორიული საფუძვლები“. (1963 წ.) ხოლო შემდეგ 1972 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „დანაშაულის შემადგენლობის კვალიფიკაციის ზოგადი თეორია“.

ვ. კულრიაცევი შემადგენლობის ყველა ნიშანს ყოფს პოზიტიურ და ნეგატიურ, აგრეთვე მუდმივ და ცვალებად ნიშნებად. მუდმივ ნიშნად იგი ისეთ ნიშანს მიიჩნევს, რომლის შინაარსი უცვლელი რჩება მოცემული სისხლის სამართლის კანონის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში და არსებითად დამოკიდებული არ არის კონკრეტულ გარემოებებზე. ასეთი ნიშნის მიმართ სასამართლო მხოლოდ მისი არსებობის დადგენას ხვრდებდა. ცვალებადი ნიშანი ისეთი ნიშანია, რომლის შინაარსი შეიძლება შეიცვალოს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლის დისპოზიციის ცვლილების გარეშე. ამ ნიშნების შინაარსი განისაზღვრება არა მარტო მუხლის ტექსტით, არამედ სხვა მომენტებითაც. ცვალებად ნიშანთა ჯგუფს შეადგენს ბლანკეტური და შეფასებითი ნიშნები.

ტყეშელიძის აზრით, ეს კლასიფიკაცია მთლიანად ზუსტი არ არის, განსაკუთრებით ტერმინოლოგიის მხრივ. სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი მუდმივია. მაგალითად, „მძიმე შედეგები“, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მრავალ თავში და რომელთაც ვ. კულრიაცევი ცვალებად ნიშანს უწოდებს, ავტორის აზრით, მუდმივი ნიშანია. სხვა საკითხია, რომ ამ ნიშნების შინაარსი და მოცულობა დამოკიდებულია დამდგარი შედეგების შეფასებაზე, ამრიგად, თავად ნიშანი მუდმივია, მაგრამ მისი შინაარსის დადგენა სასამართლო შეფასების საგანია.

აღწერილობითი შემადგენლობის იმეტი ნიშანი, რომელიც მოცემულია ობიექტურად, აქვს საგნობრივი, გარეგანი ხასიათი და მისი დადგენა მოითხოვს მხოლოდ გრძნობად, უშუალო შემეცნებას. „უშუალო შემეცნების“ ცნებას ერთგვარად პირობითი ხასიათი აქვს, რადგან ფილოსოფიური თვალსაზრისით წმინდა უშუალო შემეცნება არ შეიძლება არსებობდეს. მატერიალისტური დიალექტიკა გრძნობადსა და რაციონალურს წინააღმდეგობათა ერთიანობად მიიჩნევს. გრძნობადი



და რაციონალური შემეცნების პროცესის კოპონენტებია.

შემადგენლობის აღწერილობითი ნიშნების უმრავლესობის სპეციფიკა ის არის, რომ ისინი უკვე შეფასებულია კანონით, ხოლო განმარტების საშუალებით სასამართლო გამოყენების კანონმდებლობის შეფასებით მსჯელობას, რომელიც კანონის დისპოზიციასაა ახასუთი. ასეთი ნიშნები შეიძლება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათისა იყოს.

აღწერილობითი ნიშნების უმრავლესობას ერთი, მკაცრად განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს და პრინციპულად რაიმე მნიშვნელოვან დამატებით ასოციაციებს არ იწვევს. ახეთია, მაგალითად, „ქალი“ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხ.). მაგრამ ყველა აღწერილობითი ნიშანი როდი ხასიათდება ასეთი ერთმნიშვნელობით. სიტყვების მრავალმნიშვნელობის პრობლემა არა მარტო ენათმეცნიერების, არამედ აგრეთვე სამართლებრივი მეცნიერების პრობლემაა. მაგალითად, რუსული სიტყვა „церковь“ გულისხმობს როგორც „შენობას“, ისე „რელიგიურ ორგანიზაციას“. სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლში ერთი და იგივე სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობით გამოხატვა სიძნელეებს ქმნის სასამართლო პრაქტიკაში და ზოგჯერ უნაყოფო დავას იწვევს იურიდიულ ლიტერატურაში. მაგალითად, სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად განმარტავენ შეიარაღების ნიშანს მუხლებში ბანდიტიზმის, ყაჩაღობისა და განსაკუთრებით საშიში ხულიგნობის შესახებ. იმავე პრობლემას წარმოშობს სხვადასხვა მუხლებით გათვალისწინებული არსებითი ზიანი და მნიშვნელოვანი ზიანი.

ფართო მნიშვნელობით შეფასებითი ნიშნები ბლანკეტური ნიშნის ნაირსახეობას შეადგენს. ბლანკეტური ნიშნის შინაარსი და მოცულობა დამოკიდებულია სამართლის სხვა დარგის (სამოქალაქო სამართლის, აღმინისტრაციული სამართლის, საკომუნურ-ნო სამართლის, მიწის სამართლის, საფინანსო სამართლის) ნორმებზე, რომლებიც გამოხატულია კანონის ან ქვეკანონური აქტით. ბლანკეტური ნიშნები სასურველი არ არის, რადგან იმ ქმედებათა წრის განსაზღვრა, რომლებიც დანაშაულის ობიექტურ მხარეში შედის, სისხლის სამართლის კანონის ამოცანად ითვლება, მაგრამ ვინაიდან სისხლის სამართლის კანონით ყოველთვის შესა-


ძღვებელი არ არის შესაბამისი დანაშაულის ობიექტური მხარის ზუსტი აღწერა, ამიტომ ბლანკეტური ნიშნის არსებობა აუცილებელია.

დანაშაულის შემადგენლობის შეფასებითი ნიშანი თავისთავად ფაქტობრივი არ არის, შეუძლებელია მისი მიყენება ან განხორციელება. შეფასებითი ნიშნის შემეცნება შესაძლებელია გონებით. აღწერილობითი და შეფასებითი ნიშნები ერთობლივად და ერთიანად ასახულებს მართლწინააღმდეგობას.

ყოველგვარი შეფასება სტრუქტურულად ოთხი ნაწილისაგან შედგება: სუბიექტი, შეფასების საგანი, შეფასების ხასიათი და შეფასების საფუძველი. ჩვენთვის, აღნიშნავს ავტორი, განსაკუთრებით საინტერესოა შეფასების საფუძველი.

ყველაზე უფრო მიზანშეწონილია შეფასებითი ნიშნების კლასიფიკაცია შემადგენლობის ცალკეული ელემენტების მიხედვით, რომლებიც ახასიათებს ობიექტსა და ობიექტურ მხარეს, სუბიექტსა და სუბიექტურ მხარეს. მაგალითად, შეფასებითი ნიშანს, რომელიც ახასიათებს დაზარალებულს როგორც ობიექტს, წარმოადგენს მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით (თვითმკვლელობამდე მიყვანა). სასამართლო პრაქტიკაში ამ ნიშანს განმარტავენ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გულდასმითი ანალიზის საფუძველზე. სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა რამდენიმე დებულება, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს ყველა სასამართლო ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას. ამგვარი მაგალითები შეიძლება მოგვყვანს.

წიგნის მეხამე თავში ავტორი აანალიზებს სასამართლო მიხედულების სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას. საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ეს თემა ჯერ კიდევ არ არის ღრმად დამუშავებული. სასამართლო მიხედულება დასაშვებია მაშინ, როდესაც სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლება მოახდინოს არჩევანი სისხლისსამართლებრივი ნორმით გათვალისწინებულ ორ ან რამდენიმე ისეთ გადაწყვეტილებას შორის, რომლებსაც თანაბარი მნიშვნელობა აქვს კანონიერების თვალსაზრისით. როცა კანონით სასამართლოს არჩევანის უფლება ენიჭება, ეს ნიშნავს იმას, რომ სასამართლომ უნდა გამოიტანოს კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალურ თავისებურებათა შესაბამისი გადაწყვეტილება. სასამართლოს ეს უფლება



ენიჭება არა რაღაც პრეროგატივის სახით, არამედ კონკრეტული პირისა და კონკრეტული ქმედობის სწორი შეფასების მიზნით. ამიტომ არჩევანის უფლება უნდა მიეჩინოთ სასამართლოს არა მარტო უფლებად არამედ აგრეთვე მის მოვალეობად მოახდინოს ისეთი არჩევანი, რომ შერჩეული გადაწყვეტილება ყველაზე მეტად შეესაბამებოდეს საქმის კონკრეტულ თავისებურებას. ამრიგად, სასამართლო მიხედულება არ ნიშნავს, რომ სასამართლო აბსოლუტურად თავისუფალია კანონით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებათა შერჩევაში.

სასამართლო განაჩენი ემყარება სოციალისტური კანონიერების ძირითად პრინციპებს და დეტერმინირებულია კანონით. სწორედ კანონის საფუძველზე და კანონის ფარგლებში ხდება არჩევანი სხვადასხვა გადაწყვეტილებათა შორის. ამ მოთხოვნის მტიცივე და თანამიმდევრული დაცვის გარეშე დაირღვეოდა კანონისადმი თანასწორობის პრინციპი.

სასამართლო მიხედულება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც დადგენილია ზუსტად განსაზღვრული მატერიალურ-სამართლებრივი პირობები. ამის გამო მისი მართლწიმიერი გამოყენების ერთ-ერთი წინამძღვარია ყველა იმ რელიევანტური ფაქტის დადგნა, რომლებზეც დამოკიდებულია ქმედობისა და მისი ჩამდენი პირის საზოგადოებრივი საშიშროების დონის გამოვლენა და ამის საფუძველზე კონკრეტული სასჯელის განსაზღვრა.

თითოეულ სისხლის სამართლის კანონს აქვს ზუსტად განსაზღვრული სოციალური მიზანი. სასამართლომ მიხედულების გამოყენებისას უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც კანონის ფარგლებში ყველაზე მიზანშეწონილია. მაგრამ ეს წყალება არა სასამართლოს სუბიექტური თვალსაზრისით, არამედ კანონმდებლის მიერ დახატული ამოცანებისა და მიზნების საფუძველზე.

დანაშაულის ფაქტისა და მისი კვალიფიკაციის შემდეგ სასჯელის ზომის განსაზღვრა სასამართლოს მოღვაწეობის მესამე, დამავიკრივებელი ფაზა, სასამართლოს შეფასებითი მოღვაწეობის უმაღლესი პუნქტია. აქ წარმოიშობა სასამართლო მიხედულებისა და მისი რეგლამენტაციის პრობლემა. ასეთი რეგლამენტაციის გარეშე სასამართლოს მიხედულება შეიძლება თვითნებობად აქცეს, სასამართლო მიხედულების რეგლამენტაციის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის კანონის სანქციაში სასჯე-

ლის ჩარჩოების სწორად განსაზღვრას, სანქციის სწორად განსაზღვრას აქვს არა მარტო სისხლისსამართლებრივ-ადმწრდულობითი, არამედ აგრეთვე ისტორიული, ფილოსოფიური და პოლიტიკური ასპექტები. თუ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განსაზღვრული არ იქნება სასჯელის მიზნები, ამით შეიძლება შეიქმნას პირობები სასამართლოს თვითნებობისათვის.

თუ კანონმდებელს სასჯელის მიზნად სამაგიეროს მიზღვა მიანია, მაშინ სასჯელი კანონში აბსოლუტურად განსაზღვრული სანქციის სახით იქნება დადგენილი. ასეთ შემთხვევაში იხსნება სასამართლო მიხედულების პრობლემა. თუ სასჯელი ზოგადი და სპეციალური პრევენციის მიზნებს ისახავს, მაშინ სასჯელის ჩარჩოები დადგენილი იქნება მიმართებით განსაზღვრული სანქციის ფორმით. დასასრულ, თუ სასჯელის მიზნებად სამივე ეს მიზანი იქნება შიჩნეული, ეს გამოიწვევს სასჯელის უფრო ვიწრო ჩარჩოს დადგენას. ტყვეშლიაძე ხაზს უხვავს, რომ სამაგიეროს მიზღვა საბჭოთა სისხლის სამართალში არ არის სასჯელის მიზანი.

ავტორი ეხება სასჯელის აბსოლუტურ და შეფარდებით თეორიებს, აგრეთვე გამაართიანებელ თეორიას და აკრიტიკებს მათს არსს. წიგნში განხილულია აგრეთვე დანაშაულის შემადგენლობისა და სასჯელის ჩარჩოს კავშირი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაულის შემადგენლობა, რომლის ნიშნები გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონის დიხბოვიციაში. ამრიგად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ზუსტად განსაზღვრული. სისხლის სამართლის კანონით სასჯელის ზომის განსაზღვრისას ასეთი სიზუსტე და განსაზღვრულობა გამორიცხულია, რადგან თითოეული კონკრეტული ქმედობა და დამნაშავის პიროვნება იმდენად სპეციფიკური და ინდივიდუალურია, რომ კანონმდებელს არ ძალუბს განსაზღვროს სასჯელის კონკრეტული ზომა, რაც თანაბრად ეფექტიანი იქნებოდა მოცემული დანაშაულის ჩამდენი ყველა დამნაშავისათვის. ამის გამო კანონმდებელი აფარდება ზოგადი წესებით, რომლებიც, ერთი მხრივ, გამორიცხავს სასამართლო თვითნებობას, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინონ დანაშაულის სიმძიმე, მასთან დაკავშირებული გარემოებები და დამნაშავის პიროვნება. ამ მიზანს ემსახურება სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის ცალკეუ-

ლი სახეობებისათვის გათვალისწინებული მიმართებით განსაზღვრული სახეებები.

დანაშაულთა კლასიფიკაციის დროს წარმოიშობა საკითხი, კანონმა თუ სასამართლომ უნდა შეაფასოს მოცემული ქმედობა, ვთქვათ, ნაკლებმნიშვნელოვან დანაშაულად ან დანაშაულად, რომელიც არ ხასიათდება საზოგადოებრივი საშიშროების მაღალი დონით. ავტორი მიმოიხილავს ამ საკითხზე საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებებსა და რეკომენდაციებს.

წიგნის ბოლო თავში ავტორი აანალიზებს სასამართლო პრაქტიკას როგორც სისხლის სამართლის სოციალურ წყაროს, პრაქტიკის შემოქმედებას სამართლებრივ რეგლამენტაცი-აზე და პირიქით.

დასასრულ, გ. ტყეშელაძე დიდ მნიშვნე-

ლობას ანიჭებს სასამართლო პრაქტიკას ხაბ-ქოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფაში, ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით მიაქცევს იმას, რომ სასამართლო სტატისტიკის, სასამართლო პრაქტიკის მონაცემების გათვალისწინება ხელს უწყობს პრაქტიკის მოთხოვნების შესაბამისად სანქციის ჩარჩოების უფრო ზუსტ განსაზღვრას.

წიგნის სხვა ღირსებებთან ერთად გვსურს განსაკუთრებით აღვნიშნოთ ღირებულების თეორიის თვალსაზრისით სისხლისსამართლებრივი ნორმის შეფასება, აგრეთვე სასამართლო მოღვაწეობის თეორიის ლოგიკური განვითარება, რაც ავტორის დრმა მეცნიერულ აზროვნებას მოწმობს.

ფ. ლენკა



პრეზიუმის პრეკტიკა

1. საქონლის რაოდენობრივ მიღებაში მონაწილეობის უფლება საზოგადოებრივ წარმომადგენლებად არა აქვთ მატერიალურ ფასეულობათა მიღება-გაცემასთან დაკავშირებულ პირებს

ჩსტს რესპუბლიკის „ქსოვილვაჭრობის“ არმავირის სავაჭრო ბაზამ ქუთაისის მაუდის ფაბრიკისაგან მოითხოვა 712 მანეთის — ფაბრიკის მიერ გავზავნილი შალის სახნის დანაკლისის ღირებულებას — გადახდევინება.

საქონლის დანაკლისის ფაქტის დასადასტურებლად არმავირის სავაჭრო ბაზამ სხვა საბუთთან ერთად, წარმოადგინა აქტი საქონლის რაოდენობრივი მიღების შესახებ. ეს დოკუმენტი უმთავრესი მტკიცებულებაა და იგი უნდა აკმაყოფილებდეს საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის რაოდენობრივი მიღების ინსტრუქციის მე-16-28-ე პუნქტების მოთხოვნას. აღნიშნული აქტის შედგენისას დარღვეული იყო ინსტრუქციის მე-20 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც მატერიალურად პასუხისმგებელი და მათდამი დაქვემდებარებული პირები, აგრეთვე მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვასთან, შენახვასთან, მიღებასა და გაცემასთან დაკავშირებული პირები არ შეიძლება გამოყოფილი იყვნენ როგორც მიმღები საწარმოს საზოგადოებრიობის წარმომადგენელი.

სადავო საქმის გამო საზოგადოებრიობის წარმომადგენლად გამოყოფილი იყო მტვირთავი მუშა, რომელიც თავისი საქმიანობით დაკავშირებულია მატერიალურ ფასეულობათა მიღება-გაცემასთან.

ამის გამო მიღების აქტი ვერ მიიჩნეეს მტკიცებულებად და ამ მოტივით მოსარჩელის მოთხოვნა უარყოფილ იქნა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება ძალაშია დატოვებული.

2. საქმის წარმოებით შეწყვეტისათვის აუცილებელია ერთ-ერთი ის საფუძველთაგანი, რომელიც გათვალისწინებულია სახელმწიფო არბიტრაჟის სამეურნეო დავათა განხილვის წესების 92-ე პუნქტით

ერევნის სამრეწველო და სასურსათო სარაიონთაშორისო სავაჭრო ბაზამ სასარჩელო განცხადებით მოითხოვა გარდახნის მუყაო-რუბერთილის ქარხნისათვის 722 მანეთის — მიმდინარე წლის პირველ კვარტალში განრიგით გათვალისწინებული საქონლის მიუწოდებლობისათვის ჯარიმის თანხის — გადახდევინება.

ქარხანამ სავაჭრო ბაზის პრეტენზია უარყო იმ მოტივით, რომ მიწოდების ვადა — პირველი კვარტალი — ფონდის მფლობელმა „საქმეშენქვანანშირმომარაგებაგასაღებამ“ შეცვალა მეორე კვარტალში.

სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულების მე-20 პუნქტი ითვალისწინებს მხარეთა მიერ განრიგის მიღების გზით სახელშეკრულებო ურთიერთობათა წარმოშობის მხოლოდ არასაბაზრო დანიშნულების საქონლის მიწოდებისას, ხოლო საბაზრო დანიშნულების საქონლის მიწოდების დროს აუცილებელია მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმება. ამის საფუძველზე სახელმწიფო არბიტრაჟმა განჩინებით მოსარჩელეს მოსთხოვა, რომ საქმის განხილვის დღისათვის წარმოედგინა მიწოდების ხელშეკრულება, რომელიც მოსარჩელემ ვერ წარადგინა, რის გამოც საქმის წარმოება შეწყდა.

განჩინება საქმის შეწყვეტაზე ემყარება სახელმწიფო არბიტრაჟების სამეურნეო დავათა განხილვის წესების 92-ე პუნქტის მოთხოვნას, რომლის მიხედვით მაძიებელი ვალდებულია წარმოადგინოს სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ გამოთხოვილი მტკიცებულებანი. არასაბაზრო მიზეზით მისი შეუსრულებლობა იწვევს საქმის წარმოების შეწყვეტას.

აღნიშნული საფუძველით განჩინება საქართველოს სსრ არბიტრაჟის მთავარმა არბიტრმა ძალაში დატოვა.

8. რკინიგზის მისასვლელ ჩიხში ვაგონის ბრუნვისა და დატვირთვა-გადმოტვირთვისას მოცდენის დრო განისაზღვრება სათანადოდ გაფორმებული ვაგონების მიწოდება-აღების უწყისით

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს ნავთლულის პურპროდუქტების კომბინატმა თავისი სარჩელით ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსაგან მოითხოვა 1792 მანეთის გადახდევინება, რაც შეადგენდა რკინიგზის მიერ ვაგონების მოცდენისათვის უაქცეპტო წესით ჩამოწერილი ჯარიმის თანხას.

კომბინატი აღნიშნავდა, რომ ვაგონები მისი მიზეზით არ მოცდენილა და ვაგონების მიწოდება-აღების უწყისს, რომელიც ჯარიმის ჩამოწერის საფუძველია, ხელს არ აწერს კომბინატის წარმომადგენელი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და ასხნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ რკინიგზამ ჯარიმა ვაგონების მოცდენისათვის კომბინატის ანგარიშიდან სწორად ჩამოწერა სსრ კავშირის რკინიგზების წესდების 156-ე, 160-ე მუხლების შესაბამისად, მხარეთა შორის დადებული რკინიგზის მისასვლელი ჩიხის ექსპლოატაციის ხელშეკრულების საფუძველზე.

ვინაიდან ამიერკავკასიის რკინიგზაზე სადგურების მიერ საწარმოთა მისასვლელ ჩიხში ვაგონების მიწოდების პროცესი ფორმდება ერთიანი პრინციპით — ვაგონების მიწოდება-აღების უწყისითა და ტვირთის მიღება-ჩამბარებლის სამახსოვროთი, მოპასუხემ წარადგინა კომბინატის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი სამახსოვროები, ხოლო ვაგონების მიწოდება-აღების იმ უწყისებზე, რომელიც ხელმოუწერელი იყო, გაკეთებული იყო სათანადო აღნიშვნა ტვირთის გადაზიდვის წესების 37-ე განყოფილების მე-3 პარაგრაფის საფუძველზე.

სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არბიტრაჟის მთავარმა არბიტრმა სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

ქეფოკუასია

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე აკ. კარანაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. შუშუნაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე პ. ბერძენიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მსაჯულთა საბჭოს წევრები, მეცნიერი მუშაკები, რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სახალხო მისამართლები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1974 წლის 21 იანვრის № 2 დადგენილების, „სასამართლო ზედამხედველობის წესით სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო განაჩენების, განჩინებების და დადგენილებების გადასინჯვის პრაქტიკის შესახებ“, შესრულების მიმდინარეობის თაობაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ლორიაძე.

რესპუბლიკის საზედამხებლო სასამართლოები, — თქვა მოხსენებელმა — ეყრდნობიან რა ზემდგომი ორგანოების მითითებებსა და სადირექტივო წერილებს, შეურიგებელ ძროლას ეწევიან ყოველგვარი დარღვევებისა და დამახინჯებების წინააღმდეგ. ეს იმაში გამოიხატება, რომ ისინი ძირითადად სწორად და დროულად ასწორებენ შეცდომებს, რომლებსაც პირველი და საკასაციო ინსტანციების სასამართლოები უშვებენ, ამავე დროს ორიენტაციას აძლევენ ქვემდგომ სასამართლოებს კანონიერების დაცვასა და სასჯელთა გამოყენების დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობაზე. საზედამხებლო სასამართლოთა ბევრ დადგენილებაში სათანადო ასახვა პპოვა იმ მნიშვნელოვანმა და სადავო საკითხებმა, რომლებიც წარმოიშობოდნენ ხოლმე სასამართლო პრაქტიკაში. მართალია გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა განაჩენთა თუ განჩინებათა რაოდენობა, მაგრამ მისი რიცხვი ჯერ კიდევ მაინც მაღალია. საზედამხებლო სასამართლოებში განსახილველ საქმეთა მოცულობის ზრდას განაპირობებს პირველი ინსტანციისა და საკასაციო წესით საქმეთა განხილვის დაბალი დონე, განაჩენების კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე დროული, ზუსტი ზედამხედ-

ველობის განუზოციელებლობა, ზოგიერთი სასამართლო მუშაკის უყურადღებო, დაუდევარი დამოკიდებულება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების, მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებებისადმი.

საზედამხებლო სასამართლოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრას, მკაცრად არ მსჯელობენ კანონის ცალკეულ დარღვევებზე, სუსტად იბრძვიან სასამართლო შეცდომების თავიდან აცილებისათვის. ზოგჯერ საზედამხებლო სასამართლო კანონის უხეში დარღვევის გამო აუქმებს განაჩენსა და მის შემდგომ სასამართლო გადაწყვეტილებას, ადგენს სამსახურებრივი მოვალეობის დაუდევრად შესრულების ან სხვა მსგავს ფაქტებს, რომლებიც დაშვებული იყო წინასწარი გამოთიბებს თუ სასამართლო განხილვის დროს, მაგრამ არ უყვებენ მათ სათანადო რეაგირებას, არ გამოაქვს კერძო განჩინებები.

საზედამხებლო წესით სასამართლოები ძირითადად განხილავენ სოციალისტური ქონების გატაცების, მექრთამეობის, ხულიგნობის, გაუპატიურების, განზრახ მკვლელობის, ავტო-სატრანსპორტო, თანამდებობრივ დანაშაულთა და სხვა ისეთი კატეგორიის საქმეებს, რომელთა სასამართლო პრაქტიკის განზოგადებასაც ზნობად ახდენენ მოსამართლენი, ამასთან, ამ კატეგორიის საქმეთა შესახებ არსებობს რეორგანიზაციის სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის, ასევე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო მითითებანი და განმარტებანი. მიუხედავად ამისა, ერთი და იგივე კატეგორიის საქმეებზე განმეორებითი ხასიათის დარღვევების აღკვეთისა და სასამართლო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საზედამხებლო სასამართლოები ყოველთვის არ ანზოციელებენ სათანადო დონისძიებებს.

საზედამხებლო სასამართლოები თვითონაც უშვებენ შეცდომებს და ამა თუ იმ კონკრეტული საქმის განხილვის დროს ცვლიან ან აუქმებენ კანონიერ ძალაში შესულ სწორ და დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

საზედამხებლო სასამართლოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი იმიოთცაა გამოწვეული, რომ ზოგჯერ სხდომები მიმდინარეობს ძალიან დიდხანს ან არარეგულარულად, ერთ სხდომაზე იხილავენ დიდი რაოდენ-



ნობის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, საზედამხედველო სასამართლოს ზოგადი წევრი საქმის მოხსენების დროს ღრმად და საფუძვლიანად არ არის გარკვეული მასალებში და სხვ. ყველაფერი ეს კი, უდავოდ გავლენას ახდენს საქმეთა განხილვის ხარისხზე.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ თბილისის საქალქო სასამართლოს თავმჯდომარე შ. მახარაძე, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

დ. თამაზაშვილი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე კ. ჯაქარაია, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ი. ჟორდანიას, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი უ. კობაშვილი.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შეხამების დადგენილება.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე პროტესტები სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კონკრეტულ საქმეთა გამო.

სოკლა-კოლოკვიუმი გაკურინაში

დაბა ბაკურიანში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტთან ერთად, მოაწყო სკოლა-კოლოკვიუმი, რომელსაც მიეძღვნა დამნაშავეების და ანტიანაზღალოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა.

სკოლა-კოლოკვიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. იაკოვლევი, დანაშაულის მიზეზების შემსწავლელი საკავშირო ინსტიტუტის სექტორის გამგე პროფესორი ა. რატიანოვი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი კ. უზნეცოვა, შორეული აღმოსავლეთის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი პ. დაგელი, ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი მ. ბლუმის, სტუმარი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან პროფესორი ულრიხ ლენი და სხვები.

პლენარული სხდომა გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა თ. შავგულიძემ.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სექტორის გამგემ პროფესორმა ა. იაკოვლევიმ.

სკოლა-კოლოკვიუმის მუშაობის პირველი დღე მიეძღვნა სსრ კავშირის კონსტიტუციას და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სისხლისსამართლებრივ დონისძიებათა სრულ-

ყოფის საკითხებს. საყოველთაო ინტერესი გამოიწვია მომხსენებლის — პროფესორ ნ. კუზნეცოვას და თანამომხსენებლების — პროფესორების მ. ბლუმისა და პ. დაგელის გამოსვლებმა.

დადალ სინტერესო იყო სხდომა, რომელზეც განიხილებოდა დანაშაულებრივი ქმედების სოციალურ-ფსიქოლოგიური სტრუქტურა. დისკუსიები გაიმართა პროფესორ ა. იაკოვლევის („სოციალური კონტროლის სტრუქტურა“) და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის თ. შავგულიძის („დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგიური სტრუქტურა“) მონაშენებების ირგვლივ.

დანაშაულის მიზეზების შემსწავლელი საკავშირო ინსტიტუტის სექტორის გამგემ პროფესორმა ა. რატიანოვმა და ამავე ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ეფერმონამ დამსწრეთ გააცნეს დანაშაულის შესახებ საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის მეთოდიკა და იმ გამოკვლევათა ზოგიერთი შედეგები, რომლებიც ეწყობა მათს ინსტიტუტში დამნაშავის პიროვნების შესასწავლად.

სამეურნეო დანაშაულთან ბრძოლის მოკვლევის მეთოდიკაზე ისაუბრა დანაშაულის მიზეზების შემსწავლელი საკავშირო ინსტიტუტის სექტორის გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. იასტრეხოვმა.

ალკოჰოლიზმის და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა მიზეზების კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის შესახებ, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დანაშაულის სოციოლოგიის ლაბორატორიამ გასწია, ისაუბრა პროფესორმა ა. გაბიანიამ.

პროფესორმა უ. დენმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ილაპარაკა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დემენალიზაციას

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

„დამნაშავეობასთან ბრძოლაში სისხლის სამართლის კანონის ეფექტურობაზე“ მოხსენებები წაიკითხეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ტყეშელაძემ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ი. გამყრელიძემ.

მოხსენებებმა დამსწრეთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. კამათში გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი მ. ლეკვიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი გ. შვანია, ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი რ. ცინცაძე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ი. დუბოვიცი და სხვები.

სკოლა-კოლოკვიუმის მუშაობა თ. შავგულიძემ, რომლებმაც აღნიშნა, რომ სკოლა-კოლოკვიუმში ჩატარდა მაღალ პოლიტიკურ და მეცნიერულ დონეზე.

გადაწყდა სკოლა-კოლოკვიუმის მიერ შემუშავებული პრაქტიკულ რეკომენდაციები წარედგინოს სადირექტივო ორგანოებს. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კრებულად გამოიცეს სკოლა-კოლოკვიუმის მონაწილეთა გამოსვლები, რათა დამნაშავეობასთან ბრძოლის პრობლემებით დაინტერესებულ მეცნიერებს და პრაქტიკოსებს საშუალება მიეცეთ ფართოდ გაეცნონ სკოლა-კოლოკვიუმის მუშაობის შედეგებს.

გამოითქვა სურვილი ამგვარი კოლოკვიუმები აქტუალურ სამართლებრივ პრობლემებზე ყოველწლიურად მოეწეოს რესპუბლიკაში.

დასასრულ, სტუმრები თბილისში შეხვდნენ საქართველოს იურიდიულ საზოგადოებრიობას, აგრეთვე თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს.

პლენარულ სხდომას ეხსრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი ა. კვიციანი.

მ. გუშლდანი

* * *

სკოლა-კოლოკვიუმის მუშაობის დამთავრების შემდეგ ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტი შეხვდა და ინტერვიუ მიმართა ნ. კუზნეცოვას, რომელიც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. ქვემოთ ვაქვეყნებთ პროფ. ნ. კუზნეცოვას პასუხს რედაქციის თანამშრომლის შეკითხვებზე.

კითხვა: თქვენთვის ცნობილია, რომ ასეთი ერთობლივი ღონისძიება ოც წელზე მეტია საქართველოში არ მოწყობილა. როგორია თქვენი აზრი მეცნიერთა თანამშრომლობის ასეთ ფორმაზე?

პასუხი: ორი აკადემიის სახელმწიფო-სამეცნიერო ინსტიტუტების ასეთი გაერთიანებული ღონისძიებები მეტად მაღალ შეფასებას იმსახურებს. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ იგი ასე იშვიათად, ოც წელშია ერთხელ ეწყობა.

კითხვა: როგორ გაქვთ წარმოდგენილი სწავლულ იურისტთა კონტაქტების შემდგომი გაღრმავება?


პასუხი: ბაკურიანის კოლოკვიუმმა უთუოდ ხელი შეუწყო მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერთა საქმიან მეცნიერულ-პედაგოგიური კონტაქტის დამყარებას. მონაწილეთა შორის იყვნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რე-

გიონის წარმომადგენლები, კერძოდ ცნობილი მეცნიერები მოსკოვიდან, ბალტიისპირეთიდან, შორეული აღმოსავლეთიდან, საქართველოდან და უცხოეთიდანაც კი. ამასთან საყურადღებოა, რომ კოლოკვიუმში მონაწილეობდნენ როგორც აკადემიების, ისე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლები, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი.

კონტაქტების შემდგომი გაღრმავება წარმოუდგენელია, თუ ასეთ თანამშრომლობას სისტემატური ხასიათი არ მიენიჭა.

კითხვა: როგორ იყო ორგანიზებული სკოლა-კოლოკვიუმის მუშაობა, რა შეფასებას იმსახურებს კოლოკვიუმის მეცნიერულ-თეორიული დონე? გამართლებული იყო თუ არა მისი ბაკურიანში მოწყობა?

პასუხი: კოლოკვიუმში დიდებულად იყო ორგანიზებული. მისი მეცნიერულ-თეორიული დონე ხუთბალიანი სისტემით „ფრიადზე“ შეფასებას იმსახურებს. ბაკურიანში მისი მოწყობა მით იყო კარგი, რომ შესაძლებლობა გვქონდა მეცნიერული მუშაობა შეგვეთავსებინა კულტურულ-შემეცნებით მისწრაფებას. ბაკურიანში ამ ღონისძიების ჩატარების ერთ-



გვარ ხარვეზად მიგვიჩნია აუდიტორიისა და შემადგენლობის შეზღუდულობა, რაც პერიფერიული ლოკალიზაციით უნდა აიხსნას.

მომავლისათვის ალბათ აუცილებელი იქნება: ა) უფრო ვიწრო პრობლემატიკა, ბ) მოხსენებების თემების და დისკუსიაზე დასმული პრობლემების შინაარსის წინასწარი გაცნობა.

შეკითხვა: რომელი გამოსვლა უფრო მოგწონათ.

პასუხი: კოლოკვიუმზე განხილული ყველა პრობლემა თავისებურად სინტერესო და აქტუალური იყო, ყველაზე მეტად მომეწონა

თსუ სადაკულტეტთა შორისო დამნაშავეობის სოციოლოგიის ლაბორატორიის გამოკვლევები (თვით მისი ხელმძღვანელი, ანზორ გაბაინი). მე უკვე მოვასწარი ამ ლაბორატორიის გამოკვლევების გამოყენება მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტზე, კრიმინოლოგიის კურსის წაითხვისას.

შეკითხვა: კოლოკვიუმში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მეცნიერები, როგორი შთაბეჭდილება დასტოვეს მათ თქვენზე.

პასუხი: აუცილებელია ახალგაზრდობას უფრო ფართოდ მიზიდვა ასეთ კოლოკვიუმებში.

თბილისს საქალაქო სასამართლოს მუშაობის თაობაზე

1978 წლის 21 ოქტომბერს გაიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მუშაობაზე გადართობული ოპერატიული თათბირი, რომელზეც მოწვეული იყვნენ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრები და კონსულტანტები, აგრეთვე თბილისის რაიონების სახალხო სასამართლოთა თავმჯდომარეები და სახალხო მოსამართლეები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ამგვის მოადგილე ა. ბარაბაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე თ. ტურაბელიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ა. აბეხაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. დედუაიანი და სხვ.

მოსხენება „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის დადგენილების შესაბამისად 1978 წლის 9 თვეში თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ“ — ვაკეთა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მ. მახარაძემ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოღვაწეობა, თქვა მომხსენებელმა, ემთხვევა დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის XX XVI კონფერენციის შემდგომ პერიოდს. ამიტომ მისი საქმიანობა უშუალოდ არის დაკავშირებული კონფერენციის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებასთან.

ადმინისტრაციული ორგანოების და მათ შორის სასამართლოების მუშაობა მკაცრად იქნა გაკრიტიკებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმზე,


რომლის დადგენილება დღეისათვის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაზე ხელმძღვანელო დოკუმენტია.

ამ დადგენილების პასუხად თბილისის სასამართლო ორგანოებმა უკანასკნელ პერიოდში მკვეთრად გააძლიერეს ბრძოლა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ, რის შედეგადაც შემამჩნევად შემცირდა უსაფუძვლო მსჯავრდების შემთხვევები, გაუმჯობესდა განაჩენების სტაბილურობა სისხლის სამართლის საქმეებზე, ნაკლებად ირღვევა ვადები პირველი ინსტანციით განხილულ საქმეებზე და სხვა.

მომხსენებელმა მოიყვანა თბილისის სახალხო სასამართლოების მიერ დაშვებული დამახასიათებელი შეცდომების კონკრეტული მაგალითები და მიუთითა მათი აღმოფხვრის გზებზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, განაგრძობს შ. მახარაძე, — კერძო განიხილება გამოტანისა და მათი რეალიზაციის საკითხებს, სამართლებრივ პრობლემა განდისა და მსაჯულებთან მუშაობას, საერთოდ დამნაშავეობის პროფილაქტიკას, რაც სასამართლოთა მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი უბანია. შემოწმებული მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალაქის სასამართლოები ჯერ კიდევ ნაკლებად იხილვენ საქმეებს გამკვლელ სესიებზე, არ გამოაქვთ კერძო განიხილებები, ფართოდ არ იყენებენ პრობანდის ისეთ ნაცად იარაღს, როგორიც პრესა და რადიოა.

საქალაქო სასამართლოში არადამაკმაყოფილებელია გატაცებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ ამოღება. ეს იმიტომ არის გამოწვეული, რომ ქალაქის სასამართლოს შტატში არ ჰყავს აღმასრულებელი, რომელიც უხელმძღვანელებდა და კონტ-



როლს გაუწევდა სახელმწიფოს სასარგებლოდ თანხების ამოღებას. ალბათ იუსტიციის სამინისტრო დადებითად გადაწყვეტს ამ საკითხს და მაშინ აღსრულების საქმეც გაუმჯობესდება.

განვიღმა სამმა წელმა, თქვა დასასრულს შ. მახარაძემ, — მეტი გამოცდილება შესძინა ქალაქის სასამართლო მუშაკებს, ამოღდა კოლეგიის წევრთა პასუხისმგებლობა მიმავრებული სახალხო სასამართლოების საქმიანობისათვის, მჭიდრო, პრინციპული და საქმიანი ურთიერთობა დამყარდა ქალაქის სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან, განსაკუთრებით კი ქალაქის პროკურატურასთან, რაც გვიადვილებს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლას. ეს იმის საწინდარია, რომ მომავალში მაჩვენებლებიც, ალბათ, უკეთესი გვექნება.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ა. აბესაძე, თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი ი. წიკლაური, თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი ბ. სავანელი, ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლე თ. დათეშიძე, კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე გ. ხაბეიშვილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ჩორგოლაშვილი, პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ვ. შადური, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. დევედარიანი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე თ. ტურაბელიძე.

იურიდიული სამსახური და სპრინსთ კვალიზინგ პროგრამა

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობის სამართლებრივი მუშაობის განყოფილებამ ა. წ. 24 ნოემბერს საწარმოო გაერთიანება „თბილისის“ კლუბში გამართა ქ. თბილისის იურიდიული სამსახურის მუშაკთა თათბირ-სემინარი თემაზე — სამართლებრივი საშუალებების გამოყენება პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში.

თავის შესავალ სიტყვაში საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბ. ბუმბაძემ ილაპარაკა სამართლებრივი სამსახურის მნიშვნელობაზე მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოშვების საქმეში.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ნ. წამრთაძემ ვაკეთა მოხსენება „პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის შესახებ“.

დასწრეთ ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვის ზოგიერთი შედეგი გააცნეს საწარმოო გაერთიანება „თბილისის“ დირექტორმა დ. ლაბოვიძემ და ამავე გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა ზ. ცმიტიშვილმა.

თათბირ-სემინარზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ ზორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს იურიდიული განყოფილების უფ-

როსი ი. ზარძუაძე, კვების მრეწველობის სამინისტროს იურიდიული განყოფილების უფროსი ჯ. მიშაძე, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს იურიდიული განყოფილების უფროსი დ. ფოჩინი, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს იურიდიული განყოფილების უფროსი ბ. ჯამბახიანი, საწარმოო გაერთიანება „თბილისის“ იურისკონსულტი მ. ზიზიანი, ფეხსაცმლის გაერთიანება „ისნის“ იურიდიული განყოფილების უფროსი ი. მამუკაძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის არბიტრი ლ. კორძაძე, ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის პროკურორის თანაშემწე მ. ხიდაშელი. მათ ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება იურიდიული სამსახურის მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

დარბაზში დემონსტრირებული იყო საწარმოო გაერთიანება „თბილისის“ პროდუქცია მიღებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

თ. საბიაშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის განყოფილების უფროსი.

თამარ გრიგოლის ასული დადიანი



გარდაიცვალა თამარ დადიანი — სახელმწიფო არბიტრაჟის განყოფილების გამგე, არბიტრაჟის კოლეგიის წევრი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი.

იგი დაიბადა ცნობილი ქართველი იურისტის გრიგოლ პლატონის ძე დადიანის ოჯახში, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისში. თბილისის მერვე შრომის სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე. მისი ლექტორები იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, ზოზო ნანეიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ბადინა რამიშვილი და სხვები, რომელთა


მრავალმხრივმა განათლებამ, ბრწინვალე მიტმა და ღრმაშინაარსიანმა ლექციებმა დიდი ინტერესი აღუძრა თ. დადიანს საერთოლსადმი და აზიარ იურიდიულ აზროვნებას.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე თ. დადიანი მუშაობას იწყებს ამიერკავკასიის ცაკთან არსებული საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის ინდექსატორად, ხოლო შემდეგ — ამიერკავკასიის ცაკის კონტროლიორ-შემსრულებლად, რაიონის სახალხო გამომძიებლად, ადვოკატთა კოლეგიის წევრად.

თ. დადიანს წილად ხვდა ქართველ იურისტ ქალებს შორის პირველს გაეტეხა სახელმწიფო არბიტრაჟის რთული და მეტად პასუხსაგები საქმიანობის ყამირი. იგი ოთხი ათეული წელი არკვევდა და იხილავდა სარჩელებს სოციალისტურ დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, წყვეტდა ხელშეკრულებისწინა და ქონებრივ დავებს,

დიდია და დაუფასებელი მისი დამსახურება საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟისათვის კადრების აღზრდაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მომთხოვნელობათან შერწყმული ის მეგობრული დამოკიდებულება, რომელსაც თ. დადიანი თავისი ახალგაზრდა კოლეგებისადმი იჩენდა.

თ. დადიანს ვარკვეული დავალი მიუძღვის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსის შემუშავებაში. იყო ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ იურისკონსულტთა საბჭოს წევრი, პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



თ. დადიანისათვის უცხო იყო ვიწრო პროფესიონალიზმი და კარჩაკეტილობა. განუზომელი სიყვარულით უყვარდა ჩეხოვის დიდბუნოვანი ენა და ტატოს უზადო სტრიქონები, ლაღო გუდიაშვილის გრაფიკას თავის უტყვე მეგობრად თვლიდა და მუდამ აცტებდა რახმანინოვის შემოქმედების სიდიადე...

სათკრად წმინდა გული ჰქონდა ქალბა-

ტონ თამარს! დიდ სიბოხსა და სიყვარულს იჩენდა ადამიანებისადმი... მშვიდობით ძვირფასო თამარ! თქვენ დაგვიტოვეთ დაუვიწყარი გაკვეთილი ცხოვრებისა და სისადავისა.

თქვენი ინტელიგენტობით, ერუდიციით, სიღარბასლით, ნიჭიერებით, ჭეშმარიტად, ქართული იურიდიული საზოგადოებრიობის მშვენება იყავით!

ლ. მსაპაძე

პარლენ ზიორგის ქე ურავაძე



გარდაიცვალა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის უხუცესი წევრი, ცნობილი იურისტი, პენსიონერი ვარლენ გიორგის ძე ურავაძე.

უმადლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ, ვ. ურავაძემ როგორც ადვოკატმა, მუშაობა დაიწყო ქ. სოხუმში, შემდეგ კი 1952 წლიდან თბილისში ცხოვრობდა და ირიცხებოდა ქ. თბილისის ორგანიკების სახელობის რაიონის იურიდიული კონსულტაციის წევრად.

რამდენიმე ათეული წელი ვ. გ. ურავაძე კეთილსინდისიერად, დიდი პრინციპული შემართებით იღვწოდა საბჭოთა მართლმსაჯულების განსაზოციელებლად.

საქართველოს იურისტთა საზოგადოებრიობა კარგად იცნობდა ვ. ურავაძეს, რო-

გორც დიდად განსწავლულ იურისტს და საერთოდ, განათლებულ ადამიანს. გადაუჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ჭეშმარიტად სანიმუშო იყო ენერგია, რომელსაც იგი იჩენდა სისხლის სამართლის სამართალწარმოებისას საქმის ღრმა და ამომწურავი შესწავლისათვის. პროცესისათვის მომზადებისა და დაცვისათვის, როგორც წინასწარ გამოძიებისას, ისე სასამართლოში.

სასამართლოს და პროკურატორის ორგანოებში მუშაობისას ვ. ურავაძე ყოველთვის გამოირჩეოდა ზომიერებით, თავდაჭერით და სიღინჯით, რაც მტკიცე პრინციპულობასა და უკომპრომიზობასთან იყო შერწყმული. ჩვენს ეკონომიკაში კარგად ერკვეოდა იგი და მშვენივრად ემარჯვებოდა სამეურნეო საქმეთა წარმოება, არანაკლებ წარმატებით გამოდიოდა ის აგრეთვე სხვა ხასიათის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს.

ვ. ურავაძემ პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე, იგი დიდი სამამულო ომის მონაწილეა და როგორც გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენების მცოდნე წარგზავნილი იყო ნიურნბერგის პროცესზე მთარგმნელად.

წავიდა ჩვენგან სამშობლოს, ოჯახის, მეგობრებისა და აშანაგების წინაშე ვალმონდილი ადამიანი და მოქალაქე, რომელმაც კეთილი მოგონება და მისი დაკარგვით გამოწვეული დიდი სინანული დაგვიტოვა.

სამართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი



ბიბლიოგრაფია

ქართულ „საჭოთა სამართალში“ 1978 წელს გამოქვეყნებული მასალების სპიკეული

გოფინავე, სარედაქციო სტატიები, ოფიციალური ცნობები

ადამიანის უფლება-მოვალეობათა დიადი ქართია. № 5, გვ. 6-11.

აფხაზეთის ახსრ და აჭარის ახსრ კონსტიტუციებში ცხოვრება და მოქმედება დაიწყეს. № 3, გვ. 3-7.

გავაჩაღოთ ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. № 6, გვ. 3-7.

დაუნდობლად ვებრძოდით ნეგატიურ მოვლენებს. № 1, გვ. 3-8.

პირველი საბჭოთა კონსტიტუციის მესამე ცვლილება. № 4, გვ. 3-8.

რესპუბლიკის ძირითადი კანონი. № 2, გვ. 37-39.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების მოთხოვნათა შესასრულებლად რესპუბლიკის აღვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის ორგანიზატორული საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. № 5, გვ. 3-5.

სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, ისტორია; კოლიტიკური მომავლების ისტორია, სახელმწიფო, აღმნიშვნა-ციული, სპარტაშორისო სამართალი

ზანძეღაძე გ. — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და სოციალისტური ცხოვრების წესების შემდგომი სრულყოფა. № 4, გვ. 9-22.

ერემოვი გ. — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. № 3, გვ. 8-16.

მეტრეველი ვ. — ილია ჭავჭავაძე დანაშაულის არსის შესახებ. № 5, გვ. 51-57.

ნადარეიშვილი გ. — ილია ჭავჭავაძის იურიდიული ნაზრევიდან. № 3, გვ. 55-61.

ნადარეიშვილი გ. — საქორწინო სამართალი V საუკუნის საქართველოში იაკობ ტურტაველის „შუშანიკის მარტილობის“ მიხედვით. № 6, გვ. 71-76.

უვანია გ. — სსრ კავშირის კონსტიტუცია და საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები. № 6, გვ. 8-18.

სავანელი ბ. — მართლწესრიგის პრობლემა. № 2, გვ. 37-39.

სავანელი ბ. — მართლწესრიგი როგორც თვითმართვი სისტემა. № 4, გვ. 23-25.

ფარვიშვილი ბ. — საბჭოთა კავშირ-იარანის ხელშეკრულების 50 წელი. № 1, გვ. 16-21.

შუშანიშვილი ა. — სახელმწიფო საბჭოში ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის ერთი საკითხი. № 5, გვ. 45-50.

სამოქალაქო სამართალი, კრიმინალი; სამეურნეო, საოჯახო სამართალი, არბიტრაჟი

ზოიძე ბ. — სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება. № 4, გვ. 26-32.
ლაბარტყავა ა. — კოლმეურნეობაში სოკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობის უფლების შესახებ. № 1, გვ. 32-38.

ნინიძე თ. — მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში. № 2, გვ. 45-55.

სუხიტაშვილი დ. — სამოქალაქო სამართალწარმოების ზოგიერთი თავისებურებანი. № 6, გვ. 19-29.

ცინცაძე რ. — იურიდიული პასუხისმგებლობის ცნება. № 1, გვ. 39-44.

ხოჭოლაძე ა. — კაციაძე ო. — საბჭოთა საბინაო კანონმდებლობის ირგვლივ. № 6, გვ. 36-46.

სისხლის სამართალი, კრიმინალი, კრიმინოლოგია, კრიმინალისტიკა

ავაქიანი გ. — გზა, ავტომოტორანსპორტი, კრიმინალი. № 3, გვ. 50-51.

ბაბილაშვილი გ. — სისხლის აღება ყველაზე მანერ გაღმონაშთია, № 3, გვ. 17-29.

ბანცაძე ნ. — ავტოტექნიკური ექსპერტიზის უფლებამოსილების საკითხისათვის. № 1, გვ. 60-62.

გაბიანი ა. დიდებულიძე მ. — დამნაშავე-ობის გეოგრაფიის შესწავლის ზოგიერთი მე-თოდოლოგიური საკითხი. № 4, გვ. 44-53.

გაყერელიძე ო. — საქართველოს სსრ სი-სხლის სამართლის კოდექსი და საკანონმ-დებლო ტექნიკის ზოგიერთი საკითხი. № 6, გვ. 58-66.

გედევანიშვილი ლ. — ფიზიკა და კრიმინ-ალისტიკა. № 3, გვ. 45-49.

კვიციანი ა. — ქრთამი მოსყიდვა და ქრთა-მი გასამრჩელო. № 1, გვ. 50-53.

ლემონჯავა ტ. — აფექტის მიზეზად აღი-ულტერის ჩათვლისათვის. № 1, გვ. 45-49.

ნიშინაიძე გ. — ვიქტიმოლოგია — კრი-მინოლოგიის ახალი დარგი. № 3, გვ. 37-44.

ჟღენტი ო., კოჭმაწავილი გ. — რა დროს უნდა დაინიშნოს ავტოტექნიკური ექსპერ-ტიზა. № 1, გვ. 56-59.

უგრეხელიძე მ. — საზოგადოებრივი წეს-რიგის დამცველი მილიციის მუშაის ან სა-ხალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა. № 4, გვ. 54-62.

უგრეხელიძე მ. — ბრალის ხარისხის მნიშ-ვნელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათ-ვის. № 6, გვ. 47-57.

ფაფიაშვილი შ. — თანამდებობრივ დანა-შაულთა სუბიექტის ცნება სისხლის სამარ-თლის თეორიასა და პრაქტიკაში. № 4, გვ. 33-43.

შანიძე ვ. — საექიმო შეცდომა და დანა-შაული. № 3, გვ. 30-36.

ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის პრაქტიკა.

აბესაძე ა. — გადაჭრით გავაძლიეროთ მექ-რთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა. № 1, გვ. 9-15.

ანაშკინი ვ., ობრაზცოვი ვ. — მექრთამე-ობის საქმეების გამოძიებისა და განხილვის ზოგიერთი საკითხი. № 5, გვ. 20-26.

ბრეგაძე შ. — ეს საკითხები უნდა მოგვა-რდეს. № 3, გვ. 52-54.

გველეხიანი ო. — რესპუბლიკის სასამარ-თლოებში მოკლევადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პრაქტიკის შესახებ. № 6, გვ. 30-35.

გორგაძე შ. — ხალხის საიმედო გუშაგი. № 6, გვ. 67-70.

დომორაცვი ვ. — რესპუბლიკის იუსტი-ციის ორგანოებში აღრიცხვის თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ. № 2, გვ. 61-66.

თალაკაძე ზ. — უფრო მეტი ყურადღე-ბა დაეუთმოთ პროკურატურის ორგანოებში

საბჭოთა კანონმდებლობის სისტემატიზაციას. № 1, გვ. 54-55.

კვაშილავა ა. — მექრთამეობის კვალიფი-კაციის ზოგიერთი საკითხი საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში. № 2, გვ. 56-60.

ლემონჯავა ტ. — სრულუყოთ სოფლის მე-ურნეობის იურიდიული სამსახური. № 5, გვ. 35-44.

რატაიანი ზ. — სამართლის პროპაგანდის და სამართლებრივი აღზრდის საკოორდინა-ციო-მეთოდური საბჭოების ამოცანები. № 5, გვ. 12-19.

ყიფიანი გ. — საქართველოს სსრ სსკ 471 მუხლის გამოყენების სასამართლო პრაქტი-კის შესახებ. № 5, გვ. 27-34.

ქართველ იურისტთა და კინემატოგრაფის-ტთა შეხვედრა. № 2, გვ. 67-76.

კრიტიკა და ზიგლიზობა

ანდრევი ი. — იურიდიული ძიებანი. წე-როლებს კრებული. რევენზია ქართველ მე-ცნიერთა ნაშრომებზე პოლონურ ჟურნალში. № 3, გვ. 65-69.

ბიბლიოგრაფია. ჟურნალ „საბჭოთა სამა-რთალში“ 1977 წელს გამოქვეყნებული მსა-ლების საძიებელი. № 1, გვ. 92-94.

გაბიანი ა, სარჯველაძე ნ. — საბჭოთა კრი-მინოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენი. № 2, გვ. 88-90.

ინჭვირველი გ., ლილუაშვილი თ. — ქონე-ბრივი ურთიერთობა ოჯახში. № 1, გვ. 75-77.

მხატვრული ნაწარმოებები, ნარკვევები.

ადვოკატი იურიდიულ მეცნიერებათა კან-დიდატი. № 5, გვ. 62-64.

ბოკერია გ. — დაფასებული შრომა. № 2, გვ. 86.

ვისოცი ს. — ცოცხლებს შორის გაუჩი-ნარებულნი. № 1, გვ. 63-69.

ექსპერტი, მეცნიერი, მოქალაქე (რ. გვე-ტაძის 60 წლისთავისათვის.) № 1, გვ. 73-74.

მესხენგისერი ზ. — დეაწლოსილი. № 5, გვ. 58-61.

ქანტურია ლ. — გ. ცქიტიშვილი — 65. № 1, გვ. 70-72.

ქანტურია ლ. — ნახევარი საუკუნე სასა-მართლო ორგანოებში. № 2, გვ. 87.

მოზიციალური მასალა.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ.“ № 4, გვ. 63-74.



საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“. № 5, გვ. 65-78.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი „სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, შესრულებისა და დენონსაციის წესის შესახებ“. № 5, გვ. 79-84.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“. № 6, გვ. 77-80.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება „სსრ კავშირის მოქალაქეობის თაობაზე სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ“. № 6, გვ. 81.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე. № 3, გვ. 70.

დებულება საქართველოს სსრ პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოს საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს შესახებ. № 3, გვ. 81-82.

კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ № 3, გვ. 70-79.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) № 2, გვ. 3-33.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეკლარაცია. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღებისა და გამოცხადების შესახებ. № 2, გვ. 34.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი. საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) სამოქ-

მედოდ შემოღების შესახებ. № 2, გვ. 35-36.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“. № 3, გვ. 80.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „მოქალაქეების მიერ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შენობათა და ნაგებობათა თვითნებური აგებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“. № 3, გვ. 80.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლებისა და მათი შრომის და საყოფაცხოვრებო პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის საქმეში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ამოცანების შესახებ“. № 4, გვ. 75-84.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. სამხედრო ვალდებულების კანონის შესრულების შესახებ. № 4, გვ. 84-85.

ინფორმაცია. № 1, გვ. 78-91, № 2, გვ. 81-90, № 3, გვ. 83-91; № 4, გვ. 86-93; № 5, გვ. 85-96, № 6, გვ. 82-93.

არბიტრაჟის პრაქტიკა. № 2, გვ. 91-93. ნარევი. № 3, გვ. 62-64.

ცნობები ავტორთა შესახებ. № 1, გვ. 95; № 2, გვ. 96; № 3, გვ. 96; № 4, გვ. 96; № 5, გვ. 96, № 6, უღის მესამე გვერდი.

ნეკროლოგები.

ბურდულაძე ი. № 2, გვ. 95;

იოსელიანი ზ. № 2, გვ. 94;

მაჭავარიანი მ. № 3, გვ. 92-93;

ქაჯია ხ. № 4, გვ. 94-95;

ხარატიშვილი გ. № 6, გვ. 94-96.

შანიძე ვ. № 3, გვ. 94-95.

გასწორება

ქურნალის 1978 წლის № 6 45-ე გვერდზე პირველი აბზაცის მეორე სტრიქონში „საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის“ ნაცვლად უნდა იყოს „საბინაო-სამშენებლო კოლექტივი“, 59-ე გვერდზე მეორე აბზაცის მეორე სტრიქონში 1781 მუხლის ნაცვლად 1731 მუხლი.

ცნობები ავტორთა შესახებ

ალბერტ მიხეილის ძე აბესაძე — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ორმოცი შრომის, 3 წიგნისა და 2 ბროშურის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ბიძინა ვარლამის ძე საპანაძე — თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 15 შრომის, 2 მონოგრაფიისა და 1 ბროშურის ავტორი, მეშვიდედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ზოტა გიორგის ძე ფაფიაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ოცამდე შრომისა და 3 წიგნის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ამირან გელაშანის ძე მიჭაძე — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 5 შრომის ავტორი, მესამედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ავთანდილ ღომენტის ძე სულაშა — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, მეორედ გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ცილა ვასილის ასული ხომერიკი — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მშაქის რესპუბლიკური არქივის გამგე, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ინა სპუჰინსკი — პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პირველად გამოდის ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

იკოპ ვაღერიანის ძე ფშტაბარაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 30 შრომისა და 3 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

«САВЧОТА САМАРТАЛИ» № 1, 1979. (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

65999



ՅՆԵՆ ԵՐ ԵՅՅ.

ИНДЕКС 70185